

www.mes.gov.ge



საქართველო, თბილისი 0102, უზნაძის 52
ტელ./ფაქსი: +995 32 942006



თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება (გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი, „მომავლის სახლი“, „სათნოება“ და „ლამპიონი“)

შეფასების ანგარიში

ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“
და
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
(USAID) ფინანსური მხარდაჭერით

ანგარიში მომზადებულია კატარჟინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის
მიერ, ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“

აპრილი 2007, თბილისი

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

შინაარსი

ნაწილი I – შესავალი	3
1. შესავალი	3
2. ანგარიშის სტრუქტურა	3
3. შეფასების გუნდი	4
4. შეფასების ხანგრძლივობა	4
5. მეთოდოლოგია	5
6. შეზღუდვები	6
7. მაღლიერება	6
ნაწილი II – შეფასების შედეგები	7
1. გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი	7
1.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები	7
1.2 ცენტრის მომსახურება	9
1.3 ადამიანური რესურსები	13
1.4 ცენტრის მენეჯმენტი	15
1.5 ფინანსები და აქტივები	16
1.6 ფიზიკური გარემო	17
2. „მომავლის სახლი“	20
2.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები	20
2.2 ცენტრის მომსახურება	22
2.3 ადამიანური რესურსები	25
2.4 ცენტრის მენეჯმენტი	27
2.5 ფინანსები და აქტივები	27
2.6 ფიზიკური გარემო	29
3. „სათნოება“	31
3.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები	31
3.2 ცენტრის მომსახურება	33
3.3 ადამიანური რესურსები	36
3.4 ცენტრის მენეჯმენტი	37
3.5 ფინანსები და აქტივები	38
3.6 ფიზიკური გარემო	39
4. „ლაპიონი“	41
4.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები	41
4.2 ცენტრის მომსახურება	43
4.4 ცენტრის მენეჯმენტი	48
4.5 ფინანსები და აქტივები	48
4.6 ფიზიკური გარემო	49
ნაწილი III – რეკომენდაციები	52

ნაწილი I – შესავალი

1. შესავალი

2007 წლის იანვარში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დეინსტიტუციონალიზაციის სამუშაო ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ თბილისში არსებული ოთხი რეზიდენტული ტიპის ინსტიტუცია, გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი, „მომავლის სახლი“, „სათნოება“ და „ლამპიონი“, რომლებსაც ამ დრომდე მუნიციპალიტეტი აფინანსებდა, სამინისტროს ბიუჯეტს გადაეცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ თავშესაფრების გარდაქმნის საქმეში დახმარება ითხოვა. ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ახალი ცხოვრების დასაწყისი“ გუნდი გამოეხმაურა ამ თხოვნას და შესთავაზა სამინისტროს, რომ ამ ოთხი თავშესაფრის პირველადი სწრაფი შეფასებისათვის ორ სოციალურ მუშაკს გამოყოფდა და სამინისტროს ამ კვლევის ჩატარებისათვის ტექნიკურ ექსპერტიზას გაუწევდა. ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ სამინისტროს დაჰპირდა, რომ ამ შეფასების შედეგების საფუძველზე მიაწვდიდა რეკომენდაციების პაკეტს ცენტრების სამომავლო ფუნქციონირებისა და სტრუქტურის შესახებ და განიხილავდა ცენტრების რესტრუქტურისაციის პერსპექტივას.

შეფასების ჩარჩო, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა ბავშვების მდგომარეობა, ცენტრში მიმდინარე აქტივობები, ბავშვის მონაწილეობისა და დაცვის საკითხები, ადამიანური რესურსები, მენეჯმენტი, ფინანსები და ინსფრასტრუქტურა, ფედერაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ მოამზადა 2007 წლის თებერვალსა და მარტში და შეათანხმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. თვით შეფასება „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და განათლების სამინისტროს დამკვირვებლების მონაწილეობით ჩატარდა აპრილში.

2. ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელიც შვიდ თავს მოიცავს, წარმოადგენს შეფასების შესახებ საბაზისო ინფორმაციას, დამკვირვებლების გუნდს და დეტალებს დაკვირვების ხანგრძლივობისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ეხება შეფასების შეზღუდვებს და მათ, ვისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ამ შეფასების წარმოება.

მეორე ნაწილში, რომელიც ხუთი თავისაგან შედგება, ავტორები წარმოადგენენ ანგარიშის შედეგებს, რომელსაც მოჰყვება შეფასების აღმოჩენების შეჯამება თითოეული ცენტრისათვის. ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები: მიღებისა და გაწერის კრიტერიუმები და მათი გამოყენება პრაქტიკაში, ოჯახური სიტუაცია, ძირითადი პრობლემები, ცენტრებში დარჩენის ტიპური ხანგრძლივობა, ბენეფიციარების კმაყოფილება მომსახურებით და ბავშვების დაცვისა და ჩართულობის (მონაწილეობის) საკითხები;
- ცენტრების მიერ შემოთავაზებული მომსახურება, მათი მიმართება ცენტრების მისიასა და ბენეფიციარების საჭიროებებთან, მომსახურების დაგეგმვა, ცენტრის აქტივობების ძირითადი ფოკუსის სფეროები და მომსახურების ხარისხი;
- ადამიანური რესურსები – თანამშრომლების რაოდენობა და თანამშრომელი-ბავშვის თანაფარდობა, თანამშრომლების მიღების პროცედურები, თანამშრომლების პროფესიული გამოცდილება და ტრენინგები, თანამშრომლების ასაკი, ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობა მოვალეობებისა და სამუშაო დროის გადანაწილების თვალსაზრისით, ადამიანური რესურსების განვითარების საშუალებები და პერსონალის კმაყოფილება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

- ცენტრების მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშგების მექანიზმების ჩათვლით, დირექტორთა საბჭოს არსებობა და ფუნქციონირება;
- ფინანსები და აქტივები, საკუთრების საკითხების, ბიუჯეტის სტრუქტურის, დანახარჯების ანალიზის და ბიუჯეტის გარდა სხვა წყაროებიდან მიღებული მატერიალური დახმარების ჩათვლით;
- ფიზიკური გარემო, რაც გულისხმობს სანიტარულ და უსაფრთხოების ნორმებს, ბენეფიციარი ბავშვების ასაკისა და სქესის მიხედვით განცალკევებას, წყალს, ელექტრომომარაგებას, გათბობისა და ვენტილაციის სათანადო სისტემებს, ცენტრის ბენეფიციარების განთავსებას და მათი პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვის საკითხებს;

მესამე ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები ცენტრების სამომავლო ფუნქციონირებისა და რესტრუქტურისა და საჭიროებებთან დაკავშირებით. და ბოლოს, ცალკე დოკუმენტში მოცემულია შეფასების მასალები (ფორმები, ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფების კითხვები და ა.შ.).

3. შეფასების გუნდი

შეფასების გუნდი შედგებოდა ოთხი დამკვირვებლის, ორი სუპერვიზორისა და გუნდის ხელმძღვანელისაგან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორ სოციალურ მუშაკს, თამუნა მდივანსა და ციცო გვენეტაძეს, სუპერვიზიას უწევდა ეთერ ზურებიანი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. ფედერაციას „გადავარჩინოთ ბავშვები“ წარმოადგენდა ორი დამკვირვებელი, მარიკა მღებრიშვილი (საზოგადოება „ბილიკის“ პრეზიდენტი) და მაია ალხაზიშვილი (ქუჩის მობილური სამსახურის ლიდერი, „ბავშვი და გარემო“), რომელთაც ყველაზე უფრო რთულ სიტუაციაში მყოფი, მათ შორის – ქუჩის ბავშვებისათვის მომსახურების მიწოდების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ ორი დამკვირვებლის სუპერვიზიას ახორციელებდა თეონა ასლანიშვილი, „გადავარჩინოთ ბავშვების“ პროექტის „ახალი ცხოვრების დასაწყისი“ ოფიცერი. შეფასების მთელ გუნდს ხელმძღვანელობდა კატარუინა ვარგანი, პროექტ „ახალი ცხოვრების დასაწყისის“ დირექტორი.

შეფასების გუნდი დაყოფილი იყო ორ ჯგუფად, რომელთაგან თითოეულის შემადგენლობაში იყო ერთი დამკვირვებელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და ერთი - „გადავარჩინოთ ბავშვებიდან“. ეს ორი ჯგუფი მუშაობდა შემდეგ ცენტრებთან¹:

- გლდანი და „ლამპიონი“ – მარიკა მღებრიშვილი და ციცო გვენეტაძე;
- „მომავლის სახლი“ და „სათნობა“ – თამუნა მდივანი და მაია ალხაზიშვილი.

4. შეფასების ხანგრძლივობა

შეფასების პროცესი მიმდინარეობდა 2007 წლის თებერვალი-აპრილის განმავლობაში. შეფასება შედგებოდა შემდეგი ფაზებისაგან:

- შეფასების გეგმისა და მეთოდოლოგიის მომზადება – თებერვალი 2007
- ფორმებისა და მასალების შექმნა – მარტი 2007
- საინფორმაციო/სასწავლო სესია დამკვირვებლებისათვის – 28 მარტი, 2007
- ფიზიკური გარემოს შეფასება, თანამშრომლებისათვის განკუთვნილი კითხვარების აღმინისტრირება და დოკუმენტაციის შესწავლა:
 - გლდანი - 3 აპრილი, 2007

¹ დამკვირვებლების თხოვნით, პირველი ორი შეფასების ვიზიტი მთლიანი შეფასების გუნდის, ორი სუპერვიზორისა და ჯგუფის ხელმძღვანელის მონაწილეობით ჩატარდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა დამკვირვებლების ორ გუნდად დაყოფა, - თითოეულში „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თითო წარმომადგენლითა და სუპერვიზორით.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

- „მომავლის სახლი“ - 4 აპრილი, 2007
- „სათნოება“ და „ლამპიონი“ - 5 აპრილი, 2007
- პირველი ფაზის მონაცემების ანალიზი – 12, 13 და 16 აპრილი, 2007
- ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან და ფოკუს ჯგუფები:
 - გლდანი და „მომავლის სახლი“ - 17 პრილი, 2007
 - „სათნოება“ და „ლამპიონი“ - 18 აპრილი, 2007
- მეორე ფაზის მონაცემების ანალიზი – 24-25 აპრილი, 2007
- ანგარიშის მომზადება – 28 აპრილი – 4 მაისი, 2007.

5. მეთოდოლოგია

შეფასების გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები (დანართი 3), რომელიც ერთობლივად მომზადდა „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, წარმოადგენდა შეფასების საფუძველს. შეფასება ცენტრებში განხორციელდა ორი ფაზის მეშვეობით, თითოეულ ფაზას მოსდევდა ანალიზი. პირველი ფაზის განმავლობაში დამკვირვებლებმა ჩაატარეს ცენტრის ფიზიკური გარემოს შემოწმება გარემოზე დაკვირვების ფორმის მიხედვით (დანართი 4). მათ შემოწმების დღეებში ცენტრში წარმოდგენილ ძირითად პერსონალს (მათ შორის, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს, პედაგოგებს, აღმზრდელებსა და ექიმებს) სთხოვეს ანონიმური კითხვარების შევსება (დანართი 6). პროცესს ესწრებოდა ერთ-ერთი დამკვირვებელი, რათა უზრუნველყო, რომ ყველა თანამშრომელმა სწორად გაიგო კითხვები და დამოუკიდებლად გასცა პასუხები კითხვებს. და ბოლოს, დამკვირვებლებმა, ცენტრების ადმინისტრაციის (დირექტორის ჩათვლით) დახმარებით დოკუმენტაციის გადამოწმების ფორმის მიხედვით მოახდინეს დოკუმენტაციის ანალიზი.

პირველი ფაზის მონაცემების ანალიზმა საშუალება მოგვცა, დაგვეხევა მეორე ფაზის დროს გასარკვევი საკითხები; მეორე ფაზა შედგებოდა ძირითად პერსონალთან და დირექტორთან ინდივიდუალური ინტერვიუებისა და ბავშვებთან და ოჯახის წევრებთან ფოკუს-ჯგუფებისაგან, რაც ცენტრების ტერიტორიაზე ჩატარდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ცენტრების მიხედვით შეგროვილი მონაცემების შეჯამება:

ინსტრუმენტები	ცენტრები			
	გლდანი	„მომავლის სახლი“	„სათნოება“	„ლამპიონი“
კითხვარები თანამშრომლებისათვის (58)	9 (1 ფსიქოლოგი, 4 სოციალური მუშაკი, 2 აღმზრდელი, 2 მასწავლებელი/პედაგოგი, 1 ექიმი, 1 ექთანი)	19 (1 ფსიქოლოგი, 1 ექთანი, 2 „სოციოლოგი“, 3 ღამის პედაგოგი, 4 პედაგოგი, 3 დღის პედაგოგი, 3 აღმზრდელი)	12 (1 სოციალური მუშაკი, 1 ექიმი, 1 ექთანი, 1 მასწავლებელი, 7 აღმზრდელი, 1 თანამშრომელს პოზიცია არ დაუსახელებია)	18 (1 ფსიქოლოგი, 1 ექთანი, 1 ექიმი, 2 მასწავლებელი, 12 აღმზრდელი, 1 სოციალური მუშაკი)
ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან (24)	7 ფსიქოლოგი ექიმი ექთანი	6 ფსიქოლოგი სოციალური მუშაკი	5 დირექტორი ფსიქოლოგი ექიმი	6 ექთანი აღმზრდელი დირექტორი

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

	სოციალური პედაგოგი სოციალური მუშაკი აღმზრდელი გენერალური დირექტორი	აღმზრდელი ექიმი მასწავლებელი ი დირექტორის მოადგილე	აღმზრდელი მასწავლებელი ი	ექიმი მასწავლებელი ი სოციალური მუშაკი
ფოკუს-ჯგუფი ბავშვებთან (25)	6 15 წლის – 2/მდ, მამრ 18 წლის – 2/მამრ 10 წლის – 1/მამრ 11 წლის – 1/მდედრ	7 12 წლის – 1/მდედრ 12 წლის – 1/მდედრ 13 წლის – 1/მამრ 13 წლის – 1/მამრ 15 წლის – 1/მდედრ 15 წლის – 1/მამრ 14 წლის – 1/მდედრ	6 11 წლის – 3 13 წლის – 3	6 15 წლის – 1/მდედრ 13 წლის – 2/მდედრ და მამრ 12 წლის – 2/მდედრ და მამრ 11 წლის – 1/მამრ
ფოკუს-ჯგუფი ოჯახის წევრებთან (14)	–	4 ოჯახის წევრი	6 ოჯახის წევრი	4 ოჯახის წევრი

6. შეზღუდვები

შეფასება არ იყო დაგეგმილი იმგვარად, რომ მოეცვა ცენტრის ფუნქციონირების ყველა ასპექტი; ის წარმოადგენდა მხოლოდ სწრაფ შეფასებას. შესაბამისად, ბევრი საკითხისათვის დამატებითი იფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო იქნება დამატებითი სიღრმისეული კვლევა.

გარდა ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა შეფასების ყველა მეთოდის გამოყენება ყველა ცენტრში: მაგალითად, გლდანში პირველი ვიზიტის დროს, ცენტრში ყველა თანამშრომელი არ იმყოფებოდა და გარდა ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მშობლების მობილიზება ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად. „მომავლის სახლში“ დამკვირვებლებმა ვერ შეძლეს დირექტორის ინტერვიუება, რადგან იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მის ნაცვლად ესაუბრნენ დირექტორის მოადგილეს. და ბოლოს, რადგან ცენტრებში დოკუმენტაციის ნაწილი ან ფრაგმენტული იყო და/ან არასრული, დოკუმენტაციის შემოწმების ფორმის მეშვეობით დამკვირვებლებმა სასურველ კითხვებზე მხოლოდ არასრული პასუხები მიიღეს.

7. მადლიერება

ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვებს“ სურს გამოხატოს მადლიერება თამთა გოლუბიანისა და მისი კოლეგების მიმართ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სამმართველოში, შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში მათი მუდმივი მხარდაჭერისათვის. ასევე, განსაკუთრებული მადლობა ოთხივე ცენტრის მენეჯმენტს, თანამშრომლებს, ბენეფიციარ ბავშვებსა და მათი ოჯახის წევრებს მათ მიერ კვლევისთვის დათმობილი დროის, მათი თანამშრომლობისა და ყურადღებისათვის და იმისათვის, რომ შეფასებისათვის ძალიან ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდეს. და ბოლოს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტ „ახალი ცხოვრების დასაწყისის“ საქმიანობისათვის აღმოჩენილი მუდმივი მხარდაჭერისათვის საქართველოს მთავრობისათვის ბავშვის კეთილდღეობისა და დენსტიტუციონალიზაციის რეფორმის დახმარების კუთხით.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ნაწილი II – შეფასების შედეგები

1. გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი

1.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები

სამიზნე ჯგუფები და მიღება: ცენტრის დოკუმენტაციისა და პერსონალის მიერ შევსებული კითხვარების მიხედვით, ცენტრის ბენეფიციარები არიან ქუჩის ბავშვები, ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და მზრუნველობამოკლებული ბავშვები. ბენეფიციარების არსებული სიები არ არის დაყოფილი ასაკის ან ასაკის მიხედვით; ცენტრში ვიზიტების დროს წარმოებული დაკვირვების შედეგად ბიჭების რაოდენობა სჭარბობს გოგონების რაოდენობას. როგორც დირექტორმა განაცხადა, 2007 წლის იანვრიდან ასაკობრივი გადანაწილება შემდეგნაირი იყო: 6-დან 17 წლამდე ბავშვები – 63%, რომელთაგან 33%-ს წარმოადგენენ 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები და 30%-ს – 12-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები; 18 და მეტი ასაკის ბენეფიციარები – 28% და დედები მცირეწლოვანი ბავშვებით – 9%.

„ცენტრი იღებს ქუჩის ბავშვებსაც და მათაც, ვინც ბრალდებულია კანონდარღვევაში, თუმცა ფორმალურად ცენტრი ამ უკანასკნელთ არ უნდა იღებდეს. ბავშვები „შერეულები“ არიან მიუხედავად ცენტრში მათი ყოფნის მიზეზისა, ასაკისა და სქესისა.“

- ადამიანის უფლებათა დარღვევა საქართველოში – ალტერნატიული ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კომიტეტს. აპრილი 2006

ცენტრს არ აქვს ბენეფიციარების ყოველდღიური ან ყოველთვიური სიები გარდა იმ სიებისა, რომლებიც აღრიხავს, თუ რომელმა ბავშვმა მიიღო საკვები ცენტრში და 2005 წლის ივნისიდან, ცენტრის გახსნის დღიდან, ბენეფიციართა საერთო სიებისა (მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლით). რაც შეეხება არსებულ სიებს, საშუალოდ ცენტრი საკვებით უზრუნველყოფს 20-30 ბავშვს, თუმცა, მონიტორინგის ვიზიტების დროს ცენტრში ბავშვების რაოდენობა 20-ზე ნაკლები იყო. ჯამში, გახსნის დღიდან ცენტრს ჰყოლია 245 ბენეფიციარი, მათ შორის – 54 ამ კალენდარული წლის განმავლობაში. თუმცა ზოგიერთი სარეგისტრაციო ჩანაწერი 2007 წლის იანვრიდან მხოლოდ 24 ბავშვს აფიქსირებს.

ცენტრს არ გააჩნია წერილობითი, კონკრეტული მიღების კრიტერიუმები. თანამშრომლების თანახმად, ბავშვები ძირითადად საქართველოს რეგიონებიდან და თბილისის სხვადასხვა უბნიდან მოდიან. თვითონ ბავშვები მიიჩნევენ, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა გლდანიდან ან ახლომდებარე სოფლებიდანაა. ისინი, როგორც წესი, ცენტრში მოჰყავს პოლიციას; ბავშვები თვითონაც მოდიან, ან თანატოლებს მოჰყავთ, რადგან „მათ თავშესაფარი ან საჭმელი სჭირდებათ“; ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვები რეზიდენტული ტიპის დაწესებულებებიდან ან ოჯახებიდან გარბიან და მოდიან ცენტრში, ხშირად რამდენჯერმე ზედიზედ. ძალიან იშვითად თვით მშობლებს მოჰყავთ ბავშვები ცენტრში. ბევრ ბავშვს აქვს კრიმინალური ისტორია. თანამშრომლების თანახმად, ცენტრში ბავშვების მიღების შესახებ გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს.

პრობლემების/საჭიროებების შეფასება: ცენტრში მოხვედრის შემდეგ ბავშვი გადის რეგისტრაციასა და სამდღიან კარანტინს, რაც გულისხმობს ცენტრის ექიმისა და ექთნის მიერ სამედიცინო შემოწმებას, პირველად ჰიგიენურ პროცედურებს და ცენტრის ფსიქოლოგის მიერ პირველად შეფასებას. ამ შეფასებისა და შემდგომი ფსიქოლოგიური მეთოდების საფუძველზე ხდება ბავშვის პრობლემების („ფსიქოლოგიური პორტრეტის“) იდენტიფიცირება. ბავშვების ყველაზე მწვავე პრობლემებს შორის თანამშრომლებმა დაასახელეს ტოქსიკური ნივთიერებების

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

მოსმარება, ქცევითი პრობლემები („სარისკო ქცევა“) და ოჯახური პრობლემები.
რამდენიმე ბავშვს აქვს კრიმინალური ისტორია. თუ ბავშვი ცენტრში საკმაოდ ხნის
განმავლობაში დარჩება, სოციალური მუშაკი და/ან დირექტორი მის სოციალურ
პრობლემებზე მუშაობასაც იწყებენ (მათ შორისაა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების
აღება, ოჯახური სიტუაციის შეფასება, იურიდიული საკითხების მოგვარება და ა.შ.).

ბენეფიციართა შესახებ ჩანაწერები: ცენტრი მუშაობისას არ იყენებს შემთხვევის
მართვის სიტემას და არც აქვს გაცნობიერებული, თუ რას გულისხმობს ის („მათ
(თანამშრომლებმა) არ იციან, როგორ აწარმოონ ქეისი“). თითოეული ბავშვისათვის
არსებობს რამდენიმე დოკუმენტი, მაგრამ ეს დოკუმენტები ინახება ცალ-ცალკე იმის
მიხედვით, თუ ვინ მოამზადა თითოეული (მაგალითად, ფსიქოლოგიური შეფასების
შედეგები ინახება ფსიქოლოგის ოთახში, სამედიცინო ისტორია ინახება ექიმის
კაბინეტში და ა. შ.) და არა როგორც ბავშვის ერთიანი საქმე. დირექტორმა აღნიშნა,
ბავშვის დოკუმენტაციის ერთად თავმოყრა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი სხვა
ინსტიტუციაში უნდა იქნეს გადაყვანილი. ბავშვებისათვის არ მზადდება რაიმე
სისტემატური მომსახურების ან აქტივობის გეგმები.

ცენტრში დარჩენის მაქსიმალური ვადა: ცენტრს არ აქვს განსაზღვრული
ბენეფიციარების დარჩენის ოფიციალური მაქსიმალური ვადა, თუმცა თავდაპირველად
ცენტრი ბავშვების ექვსი თვის განმავლობაში დარჩენაზე იყო გათვლილი.
თანამშრომლების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ერთი წელია მაქსიმალური ვადა,
თუმცა მათ ასევე აღნიშნეს, რომ დარჩენის ხანგრძლივობა ინდივიდუალურად
განისაზღვრება თითოეული ბენეფიციარის განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით

„ჯერ ივსება ოქმი დაცვასთან იმ პირების მიერ ვინც ბავშვი მოიყვანა. ექიმი მორიგეობს და ბავშვს უტარებს სამედიცინო შემოწმებას. ბავშვები ქვედა ოთახებში (იზოლაციაში) რჩებიან. დილას ფსიქოლოგი ავსებს თავის ანკეტას, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ადვენს ფსიქოლოგიურ პორტრეტს. (2-3 დღეში, ან იმავე დღეს, რომ ბავშვი არ გაიპაროს). ექიმი ავსებს სამედიცინო ბარათს და ბავშვს უნიშნავს მედიკამენტებს. თუ ბავშვი ამბობს, რომ ოჯახთან პრობლემა აქვს და არ საუბრობს მის შესახებ, ეძებენ სკოლას და მისი მეშვეობით - მშობლებს. თუ მშობელი ბავშვს ამათხოვრებს, მაშინ ბავშვს ბავშვთა სახლში ვე ზავნით. ოჯახებში დაბრუნების შემთხვევები ძალიან არასტაბილურია. ზოგჯერ განათლების სამინისტრო ითხოვს წერილს იმის შესახებ, რომ ბავშვი თვითონ მშობლებმა მოიყვანა. ყველაფერ ამას სოციალური მუშაკი ან დირექტორი აკეთებს. ზოგჯერ ინფორმაციის მოსაძიებლად მივმართავთ რაიონებში რესურს-ცენტრებსა და ვამბეუბას. თანამშრომლები იწყებენ დაბადების მოწმობის აღებას არქივში“.

- გენერალური დირექტორი

(„ბავშვები რჩებიან, ხანამ მათი იდენტიფიცირება არ მოხდება“). ცენტრი ღია ტიპის თავშესაფარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვები მოდიან და ტოვებენ ცენტრს, როცა მოესურვებათ. დირექტორმა აღნიშნა, რომ ხდება ბავშვების „ბრუნვა“ ცენტრში, ანუ ბავშვები მოდიან მცირე ხნით, შემდეგ ტოვებენ ცენტრს და მერე ისევ ბრუნდებიან.

ცენტრიდან გაწერა: ცენტრს არ აქვს ბენეფიციარების გაწერის კრიტერიუმები. თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ გაწერის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ბავშვის ასაკი – როცა მას 18 წელი შეუსრულდება. თუმცა ვიზიტისას დამკვირვებლებმა ნახეს 18-ზე უფროსი ასაკის რამდენიმე ბენეფიციარი. ცენტრში ასევე ცხოვრობდა დედა ორი მცირეწლოვანი შვილით.

თანამშრომლების განცხადებით, შემთხვევების უმეტესობაში ბავშვების გაწერა ხდება იმიტომ, რომ ისინი თვითონ ტოვებენ ცენტრს, ხდება მათი სხვა ინსტიტუციებში მიმართვა ან ოჯახებში დაბრუნება. რამდენიმე თანამშრომელმა ახსენა ისეთი სიტუაცია, როცა ბავშვის გაწერა ხდება იმის გამო, რომ მისი ოჯახის წევრები „მოდიან და მიჰყავთ ბავშვები“. ცენტრი არ აწარმოებს შემაჯამებელ ჩანაწერებს ბავშვების ოჯახებში

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

“უფროსი ასაკის ბავშვები, რომელთაც დაბალი ინტელექტი აქვთ და არ აქვთ თავშესაფარი – ჩვენ მათ შესახებ თბილისის მერიას მივწერეთ. მათ შემოგვთავაზეს ქუთაისის მოხუცთა თავშესაფარი, სადაც იქნებოდა ეს ბავშვები გადაყვანილნი. ერთი 32 წლის ვოვო გადავიყვანეთ იქ. ის გონებრივად ჩამორჩენილი იყო.“

- ინდივიდუალური ინტერვიუ თანამშრომელთან

რეინტეგრაციისა და მათი სხვა ინსტიტუტებში განთავსების შესახებ და ამიტომ ძნელია განსაზღვრა იმისა, თუ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელია ყველაზე ხშირი. გარდა ამისა, თანამშრომლებმა და ბავშვებმა ახსენეს, რომ ცენტრის რამდენიმე ყოფილი ბენეფიციარი ამჟამად ცენტრში აღარ არის იმის გამო, რომ სასჯელს იხდის.

ცენტრი ცდილობს, რომ ბავშვები ოჯახებში დააბრუნოს. ეს პრინციპი პრაქტიკულად ასე ხორციელდება: ბავშვებს აბრუნებენ ოჯახებში და შემდეგ ისევ იღებენ, თუ ისინი სახლიდან გამოიქცევიან. შემდეგ ბავშვებს კვლავ ოჯახში აბრუნებენ და ეს პროცედურა ხორციელდება რამდენჯერმე, სანამ ცხადი არ გახდება, რომ ბავშვი ოჯახში აღარ დარჩება. ოჯახების უმრავლესობაში საკმაოდ სერიოზული და მრავალფეროვანი ფსიქო-სოციალური პრობლემები არსებობს. აშკარაა, რომ

ბავშვის ოჯახში დაბრუნების შემთხვევებში ადგილი აქვს სათანადო შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ნაკლებობას ცენტრის მხრიდან.

თანამშრომლების აზრით, ბავშვი ცენტრში რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სხვა ვარიანტი ვერ გამოიძებნა (ოჯახში დაბრუნება ან სხვა ინსტიტუციაში გადაყვანა). თანამშრომლების თანახმად, ბავშვების ცენტრიდან გაწერის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება დირექტორის მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვი თვითონ წყვეტს ცენტრის დატოვებას. ადგილობრივი რესურს-ცენტრი გლდანის ცენტრს დახმარებას უწევს იმ შემთხვევებში, როცა ხდება ბავშვის სხვა ინსტიტუციაში გადაყვანა/მიმართვა, ხოლო ის შემთხვევები, როცა ხდება ბავშვის ოჯახში დაბრუნება, თვით ცენტრის მიერ საკუთარი რესურსებით გვარდება.

შემდგომი მეთვალყურეობა: ცენტრში არ არსებობს შემდგომი მეთვალყურეობის ფორმალური პროცედურები იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც დატოვეს ცენტრი. პერსონალის ნახევარმა განაცხადა, რომ შემდგომი მეთვალყურეობის მიზნით დაკონტაქტება ხდება ექვს თვეში ერთხელ, მეორე ნახევარმა არაერთგვაროვანი პასუხები გასცა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შემდგომი მეთვალყურეობის სამუშაოები, თუ ასეთი საერთოდ ტარდება, ძალიან არასისტემატურია. თვით ბავშვებმა განაცხადეს: „როცა ისინი (ბავშვები) მიდიან აქედან, არაინ ფიქრობს, რა ხდება“.

1.2 ცენტრის მომსახურება

მიზნები და ინდიკატორები: ცენტრის დებულებაში „სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია“ და „სხვა პრობლემების მოგვარება“ მოხსენიებულია, როგორც ცენტრის საქმიანობის ორი ძირითადი მიზანი. რაც შეეხება თანამშრომლების მოსაზრებებს, მათი აზრით, ცენტრის ძირითადი მიზნებია: საბაზისო მომსახურების მიწოდება (31%), ფსიქო-სოციალური დახმარება (30%), დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირება (24%), ოჯახებთან მუშაობა (9%) და განათლება (6%). ცენტრს არ აქვს შემუშავებული ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მიზნების შესრულების დონე შემოწმდება. ცენტრი ყოველკვარტალურ ანგარიშებს ამზადებდა ხოლმე მერიისათვის, მაგრამ ეს ანგარიშები უფრო აღწერითი ხასიათის იყო და ასეთ ანალიზს არ გულისხმობდა. მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში განათლების სამინისტროში ჯერ არც ერთი ანგარიში არ ყოფილა წარდგენილი და შეიმჩნევა დაბნეულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ანგარიშგება იქნება საჭირო.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თელა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ცენტრის აქტივობები: ცენტრს არ გააჩნია აქტივობების რაიმე განრიგი ან კურიკულუმი (სასწავლო გეგმა). დამკვირვებლებმა ცენტრში ვიზიტისას ნახეს ბავშვების მიერ ხელგარჯილობის სახელოსნოში გაკეთებული ნამუშევრები, თუმცა ვიზიტების პერიოდში ბავშვები არ იყვნენ ჩართულები რაიმე ტიპის სტრუქტურირებულ აქტივობაში, ისინი დადიოდნენ ცენტრის ტერიტორიაზე ან უყურებდნენ ტელევიზორს როცა ცენტრს მიეწოდებოდა ელექტროენერგია. რამდენიმე ბავშვმა განაცხადა, რომ „როცა წვიმს, ბავშვები აქ არიან მთელი დღე და ტელევიზორს უყურებენ“. ერთადერთი განრიგი, რაც არსებობს, არის კვების განრიგი („არაფერი ხდება რეგულარულად გარდა კვებისა“, „ბავშვებს ძალიან ბევრი თავისუფალი დრო აქვთ და ამის გამო ისინი ქუჩაში მიდიან“ - განაცხადა რამდენიმე თანამშრომელმა.) ყოველდღიური განრიგისა და სარეაბილიტაციო პროგრამის არქონის შესახებ უკვე 2005 წლის დეკემბერში² არსებობდა ანგარიში, თუმცა როგორც ჩანს, სიტუაცია მას შემდეგ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ფსიქოლოგი ბავშვის შეფასებას ახდენს არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში ბავშვის შემოსვლიდან და არსებობს ჩანაწერები სამედიცინო შემოწმების, ოჯახური სიტუაციის შეფასების, თვითრეპრეზენტაციაში დახმარების, იურიდიული დოკუმენტების აღებისა და სხვა მსგავსი საქმიანობების შესახებ. არ მოიპოვება ბავშვებთან სხვა სახის სისტემატური მუშაობის დამადასტურებელი რაიმე ჩანაწერი. დირექტორმა რამდენჯერმე ახსენა, რომ ბავშვების „ფილტრაცია“ (მიღება, პირველადი იდენტიფიკაცია და შეფასება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღებაში დახმარება და სხვა სერვისებში გადამისამართება) ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს და ეს არის სფერო, რომელშიც ცენტრი ყველაზე უფრო კომპეტენტურია.

ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება ბენეფიციარი ბავშვების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე პრობლემად დასახელდა; ამ ბავშვების რეაბილიტაცია სპეციალურ თერაპიულ პროგრამებს საჭიროებს. ასეთი პროგრამების არარსებობის გამო კი დადებითი შედეგები ძალიან ცოტაა.

თანამშრომლების თანახმად, ცენტრის ძირითადი საქმიანობა ბავშვების ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაა (თავშესაფარი, საკვები, ტანსაცმელი და საბაზისო სამედიცინო მომსახურება). თანამშრომლების მიერ ჩამოთვლილი სხვა აქტივობებია: ხელოვნება (სიმღერა, ცეკვა) და ხელგარჯილობა, სპორტი და ბავშვებისათვის ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა. რამდენიმე თანამშრომელმა ახსენა ახალი აქტივობაც – ინგლისურის გაკვეთილები კვირაში სამჯერ. ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი, ცენტრში ჰქონდეთ კომპიუტერები და უფრო მეტი სპორტული ღონისძიება. თანამშრომლებს ასევე სურთ, ცენტრში გახსნან პროფესიული მომზადების სახელოსნო (ხეზე კვეთა და კერამიკა).

ბევრ ბავშვს აღენიშნება სხვადასხვა ფსიქოლოგიური დარღვევა და მათი განათლების დონე არ აღემატება წერა-კითხვის ცოდნის ბაზისურ დონეს. ცენტრში არ არის სპეციფიური საგანმანათლებლო პროგრამები (როგორცაა დაჩქარებული და სკოლის პროგრამის „დაწვეის“ საგანმანათლებლო კურიკულუმი), რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ ბავშვების განათლების სისტემაში რეინტეგრაციას, თუმცა ისწავლება ზოგიერთი საბაზისო უნარი („არ არსებობს საგანმანათლებლო გეგმა“). არც ერთი ამჟამინდელი ბენეფიციარი არ დადის სკოლაში. ცენტრი არ მუშაობს ბავშვების სკოლაში მიყვანის მიმართულებით, რადგან, როგორც დირექტორმა ახსნა, მოსალოდნელია ბავშვების მცირე პერიოდში სხვა ინსტიტუციაში გადაყვანა. ბავშვებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვებს სურთ

² იხილეთ სტატია „მედია ნიუსში“, 04/12/2005, სათაურით „გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი არაეფექტურია“ (“The Gldani Adaptation Centre for Children is Ineffective”)

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

სკოლაში დაბრუნება და მიაჩნიათ, რომ ცენტრმა მათ მხარი უნდა დაუჭიროს ამაში
(„მე მინდა სკოლაში წავიდე და ექიმი გავხდე“, „ის (ცენტრის თანამშრომელი) უნდა
იყოს ადამიანი, ვინც გვირჩევს, რა უნდა გავაკეთოთ“).

კითხვაზე, თუ რას აკეთებს ცენტრი ბავშვებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების
უნარების სასწავლებლად, თანამშრომლებმა აღნიშნეს პირადი ჰიგიენის დაცვა და
დალაგება/დასუფთავება. მათ ასევე ჩამოთვალეს „ძირითადი აქტივობები, რომლებიც
ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში დაეხმარება“: უფროსი ასაკის
ბავშვებისათვის დასაქმების საშუალებებთან დაკავშირება (100%), პროფესიული
მომზადების საშუალებებთან დაკავშირება (91%) და სოციალური დახმარების
სხვადასხვა წყაროებთან დაკავშირება (64%). ინდივიდუალური ინტერვიუების
შედეგადაც დადგინდა, რომ თანამშრომლები მუშაობენ ბავშვებისათვის დასაქმებისა
და პროფესიული მომზადების საშუალებების მოძიების კუთხით და აღნიშნული იყო
რამდენიმე წარმატებული ისტორიაც (მათ შორის ხანგრძლივი ურთიერთობა „აქსისის
ქალთა დახურულ კლუბთან“, სამშენებლო კომპანია „აქსისის“ საქველმოქმედო
განყოფილებასთან). თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ პროფესიული მომზადებისა
და დასაქმების საშუალებების მოძიება „პირადი კონტაქტების“ საშუალებით ხდება.
ბავშვებთან და მომავალ დამქირავებლებთან და ტრენერებთან გარკვეული წინასწარი
მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება და ხდება ბავშვების სუპერვიზია
მუშაობის/პროფესიული მომზადების მიმდინარეობისას, მაგრამ სასურველი იქნებოდა
მათთან უფრო სისტემატიზირებული და მეთოდოლოგიური მუშაობა. ბავშვები
განიცდიან შესაბამისი ცხოვრებისეული უნარების ნაკლებობას (მათ შორის
ნებისყოფის, პუნქტუალობის, პასუხისმგებლობის გრძნობის და სტურქტურირებულ
გარემოსთან შეგუების) იმისათვის, რომ შეინარჩუნონ სამსახური და მხოლოდ
რამდენიმე შეძლო ეს. თანამშრომლებმა ასევე განაცხადეს, რომ უფრო მეტი ბავშვის
მომზადებას შეძლებდნენ, ბიუჯეტში ამისათვის თანხა რომ იყოს გამოყოფილი
(ზოგიერთი მოსამზადებელი კურსი ფასიანია).

ოჯახებთან მუშაობა: თანამშრომლებისა და ბავშვების
თანახმად, ბენეფიციარი ბავშვების უმეტესობას ჰყავს
მშობლები. ამ ოჯახებს, როგორც წესი, სერიოზული
პრობლემები აქვთ, მათ შორის, ალკოჰოლისა და
ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება,
პროსტიტუცია, ოჯახური ძალადობა, უკიდურესი
სიღარიბე და ბავშვის ექსპლუატაცია. ცენტრს არ
გააჩნია ოჯახებთან მუშაობის ფორმალური მექანიზებში,
გარდა ბავშვის მშობლისათვის გადაცემის შესახებ
მშობლის მიერ ფორმალური დოკუმენტის ხელმოწერისა
იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი ოჯახში ბრუნდება.
ოჯახების კვლევა და რეინტეგრაციის მიზნით
სისტემატური მუშაობა არ არის ეფექტური.

„თუ ბავშვის მშობლები
მოიძებნა და თუ ბავშვი
თანახმაა, მას ვაბრუნებთ
ოჯახში. თუ ბავშვი
გამოიქცა, როგორც წესი,
მას რამდენჯერმე
ვაბრუნებთ ოჯახში და
შემდეგ ვავზავნი
სხვაგან ან ვიტოვებთ
ცენტრში.“
- გენერალური
დირექტორი

ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ ოჯახებთან მუშაობა სოციალური მუშაკის
მოვალეობაა, რაც მისი სამუშაოს აღწერილობაშიც არის აღნიშნული. თუმცა
ზოგიერთი თანამშრომელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სოციალურ
მუშაკებსა და ზედა დონის მენეჯმენტს შორის მოვალეობათა გამოიჯვნა ბუნდოვანია.

თანამშრომელთა 37% მიიჩნევდა, რომ ოჯახებს უკავშირდებიან თვეში ერთხელ, 27%-
მა განაცხადა, რომ ოჯახებს ექვს თვეში ერთხელ უკავშირდებიან, 36%-ს კი არ
ჰქონდა ინფორმაცია ოჯახებთან დაკავშირების სიხშირის შესახებ. პერსონალის
ნახევარის თანახმად, ოჯახებთან მუშაობის ყველაზე უფრო ხშირი ფორმაა
ფსიქოსოციალური და იურიდიული კონსულტაციები. თანამშრომლების მიერ
მოსხენიებული ოჯახების დახმარების სხვა ფორმებია: ვიზიტი/კონტაქტი ოჯახთან

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

და ბავშვების ოჯახური სიტუაციის შეფასება. თანამშრომლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ზოგჯერ ბავშვებს აბრუნებენ ოჯახებში ან თვით თანამშრომლების მცდელობის შედეგად ან მშობლების სურვილითა და მოთხოვნით. რადგან არ არსებობს ასეთი შემთხვევების სია, შეუძლებელი იყო იმის შეფასება, თუ რამდენად ხშირია ან წარმატებულია ოჯახში დაბრუნების შემთხვევები. დირექტორის თანახმად, სტაბილური რეინტეგრაციის შემთხვევები იშვიათია და შედარებით ხშირად რეგიონებში ხდება. რამდენიმე ბავშვმა განაცხადა, რომ გარკვეული კონტაქტი აქვთ ოჯახებთან, მაგრამ ზოგერთი „ნათესაებს წლების განმავლობაში ვერ ხედავს“. ბავშვების, ისევე როგორც თანამშრომლების პერსპექტივიდან, ძალიან ცოტაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ბავშვის მის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება მის ჭეშმარიტ ინტერესებს შეესაბამება. არ ტარდება სისტემატური კვლევა ოჯახის დისინტეგრაციის ძირეული მიზეზების დასადგენად და მათზე სამუშაოდ. ცენტრში არ აღუნიშნავთ გაშვილობილების არც ერთი შემთხვევა.

ბავშვის უსაფრთხოება და დაცვა: ცენტრს არ გააჩნია ფორმალური პროცედურები ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, თუმცა როგორც ჩანს, თანამშრომლებს აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს ბავშვის დაცვა. თითქმის ყველა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როცა უფროსი ასაკის ბავშვები უმცროსებს ართმევენ ფულსა და სხვა პირად ნივთებს და ბავშვებს შორის დროდადრო ხდება ჩხუბიც. თითქმის ყველა ბავშვი ეწევა სიგარეტს ცენტრში და არის ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევებიც, მაგრამ „ისინი აქ წებოს არ ყნოსავენ“. ზოგჯერ ბენეფიციარები ქუჩიდან ნასვამ მდგომარეობაში ან წებოს ზემოქმედების ქვეშ მოდიან და ხშირად აგრესიულად იქცევიან. ერთმა ბავშვმა აღნიშნა მარისუანას მოწვევაც. აღნიშნული იყო ბავშვების თვით-დაზიანების შემთხვევებიც („ისინი ხელებს იჭრიან – შთაბეჭდილების მოსახდენად“). რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ცენტრი ასეთი შემთხვევების შესახებ არავის აცნობებს და მათ შინაგანი რესურსებით უმკლავდება, რადგან „ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ კრიმინალური წარსულის მქონე ბავშვები კვლავ კრიმინალურ სისტემაში მოხვედრისაგან“. ერთ-ერთი თანამშრომლის კომენტარის მიხედვით, „თანამშრომლებმა არ უნდა თქვან ისეთი რამ ან არ უნდა ჩაიდინონ ისეთი რამ, რაც ბავშვების წინაშე არ შეიძლება“.

რამდენიმე ბავშვმა გარკვეული უკმაყოფილება გამოთქვა ზოგიერთ თანამშრომელთან ურთიერთობის შესახებ. ზოგმა ბავშვმა განაცხადა ყურადღების/სუპერვიზიის ნაკლებობის („ზოგი აღმზრდელი ყურადღებას გვაქცევს, ზოგი სამზარეულოში მიდის“), ყვირილის ან ფიზიკური დასჯის და ზოგ თანამშრომელთან არამეგობრული დამოკიდებულების შესახებ ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან. ბავშვებმა განაცხადეს, რომ ცენტრში შემოსვლისას მათ ჩხრეკენ და ართმევენ ფულსა და სხვა ძვირფას ნივთებს. თანამშრომლებმა ეს არ დაადასტურეს.

ბავშვების მათ ოჯახებში დაბრუნების პრაქტიკა (რაც გაწერის შესახებ განყოფილებაშია აღწერილი) და დაბრუნების ასეთი განმეორებითი ბუნება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ბავშვების უზრუნველყოფის, ექსპლუატაციისა და მათზე ძალადობის შემთხვევებისაგან დაცვისა და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინების კუთხით.

თუ გავითვალისწინებთ ცენტრის დიდ ფართობსა და სტრუქტურირებული სუპერვიზიის ნაკლებობას, და ასევე იმ ფაქტს, რომ გადაუდებელი და კრიზისული სიტუაციის მსხვერპლი ბავშვები, ნარკოტიკების მომხმარებლებთან, ახალგაზრდა კანონდამრღვევებსა და ახალგაზრდა უსახლკარო მოზრდილებთან ერთად ცხოვრობენ ცენტრში, უნდა მოგვარდეს ცენტრში ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხი.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

ბავშვების მონაწილეობა (ჩართულობა): პერსონალის უმრავლესობამ განაცხადა, რომ ბავშვებს რეგულარულად ეკითხებიან აზრს და მათ აზრს ითვალისწინებენ. პრაქტიკაში არ გამოიყენება ბავშვებისათვის მათი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას წერილობითი თანხმობის ჩამორთმევის პრინციპი. ცენტრში ბავშვების აზრის გამოკითხვის ძირითადი მექანიზმები შემდეგია: არაფორმალური საუბრები („ცალკეულ ბავშვებთან საუბრები“ - 71%) და სპეციალური ინდივიდუალური შეხვედრები (29%). თანამშრომლებს არ ჰქონდათ პასუხი ამ ღონისძიებების სისწორისა და რეგულარობის შესახებ („ჩვენ არ გვაქვს ბავშვებთან რეგულარული შეხვედრები, მაგრამ ხშირად ვესაუბრებით მათ“). თანამშრომლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ბავშვების აზრის სტრუქტურირებული სახით ანალიზი არ ხდება, მაგრამ ხდება მათი გათვალისწინება ცენტრის აქტივობების დაგეგმვისას.

ფოკუს ჯგუფის დროს რამდენიმე ბავშვმა განაცხადა, რომ მათ სურთ, ნებადართული იყოს ცენტრში საკვების შეტანა და მომზადება, მაგრამ თანამშრომლები მათ ამის უფლებას არ აძლევენ. ბავშვებმა ასევე აღნიშნეს, რომ ცენტრის წინა ადმინისტრაციის დროს მათ აზრებს უფრო ხშირად ითვალისწინებდნენ. თუმცა ამ განცხადების ანალიზისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ცენტრის ბიუჯეტის 50%-ით შემცირება და ამასთან დაკავშირებული ფინანსური შეზღუდვები.

13 ადამიანური რესურსები

პერსონალის რაოდენობა: ცენტრში 31 ადამიანი მუშაობს, მათ შორის 4 - ნახევარ განაკვეთზე. ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი 11 ადამიანს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პერსონალის ზუსტი გადანაწილება:

	სრული განაკვეთი	ნახევარი განაკვეთი	მოსალისე
ადმინისტრაციული	8	-	-
ფსიქოლოგი	1	-	-
სოციალური მუშაკი	2	2	-
ექიმი	1	-	-
ადმინისტრაცია	3	-	-
დამხმარე პერსონალი	2	-	-
მასწავლებელი	2	-	1
იურისტი	1	-	-
მზარეული	2	-	-
დამლაგებელი	2	-	-
დარაჯი	4	-	-

ცენტრის თანამშრომლების საშუალო ასაკია 42 წელი. თანამშრომლებს შორის არის ერთი 23 წლამდე ასაკის და ერთი – საპენსიო ასაკის (60 წელზე მეტის) თანამშრომელი.

თანამშრომლების სამსახურში მიღების პროცესი და პირადი საქმეები: ცენტრში არ არსებობს ჩანაწერები იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა პერსონალის მიღება. როგორც თანამშრომლებმა განმარტეს, მათი უმეტესობა სამსახურში მიიღეს თბილისის მერიის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად. დირექტორმა განაცხადა, რომ რადგან ცენტრს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსი აქვს, იურიდიულად მას ვაკანსიების გამოცხადება არ მოეთხოვება. ახალი თანამშრომლების მიღება ხდება დირექტორთა საბჭოს პირადი რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, ცენტრს არ აქვს ჩამოყალიბებული თანამშრომლების აყვანის პროცედურები.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თითოეულ თანამშრომელს აქვს პირადი საქმე, რომელიც შეიცავს განცხადებას სამსახურში მიღების შესახებ, ავტობიოგრაფიას და სამედიცინო ცნობას. ცენტრის დებულებაში არის ასევე თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობაც. თანამშრომლების განცხადებით, პერსონალის მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობითაც და პრაქტიკული მუშაობის დროსაც. თუმცა, ზოგიერთი თანამშრომელი მიიჩნევდა, რომ „ყველამ უნდა იცოდეს მისი მოვალეობები და არ უნდა ერეოდეს სხვის ფუნქციებში“ ან „სამუშაო მოვალეობები არ არის სწორად დაყოფილი; კარგად არ არის დაგეგმილი, ვინ რა უნდა გააკეთოს“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრს არ აქვს აქტოვობების განრიგი ან კურიკულუმი ან ბენეფიციარი ბავშვებისათვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა და ბავშვები დროის უდიდეს ნაწილს ცენტრში უქმად ყოფნაში ატარებენ, რეკომენდებულია პერსონალის რაოდენობის, მათი ფუნქციებისა და სამუშაო გრაფიკის გადასინჯვა.

“(ცენტრი) ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმისაგან, როგორც უნდა იყოს სარეაბილიტაციო ცენტრი ქუჩის ბავშვებისათვის. ეს ხდება არა მხოლოდ ცენტრის თანამშრომლების სურვილისა და ექსპერტიზის ნაკლებობის გამო, არამედ ასევე საქართველოს ბავშვის დაცვის სისტემის, კერძოდ მისი რესურსებისა და კანონმდებლობის, სისუსტის გამოც.”

- ადამიანის უფლებათა დარღვევა საქართველოში – ალტერნატიული ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კომიტეტს. აპრილი, 2006

პერსონალის განათლება და მომზადება: უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე ძირითად პერსონალს მათი მოვალეობის შესასრულებლად შესაბამისი განათლება გააჩნია. თანამშრომლების 64% მიიჩნევს, რომ აქვს საკმარისი პროფესიული მომზადება. თუმცა ცენტრს არ აქვს იმ ტრენინგების ჩამონათვალი, რომლებიც მისმა თანამშრომლებმა გაიარეს, და ასევე არ აქვს თანამშრომლების პროფესიული მომზადების საკუთარი პროგრამა; თანამშრომლების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ აქვს შესაბამისი ტრენინგ კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. თუმცა, კითხვაზე ცენტრის ყველაზე მწვავე პრობლემების შესახებ, თანამშრომლების 64%-მა დაასახელა არაკვალიფიცირებული ან არასათანადოდ კვალიფიცირებული პერსონალი და პერსონალთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. ყველა თანამშრომელმა გამოთქვა პროფესიული უნარების შემდგომი ამაღლების სურვილი.

რამდენიმე თანამშრომელმა გამოთქვა სურვილი, ცენტრის აღმზრდელებს ფსიქოლოგიური განათლება ჰქონდეთ. ბავშვებმაც აღნიშნეს, რომ უნდათ უკეთესი აღმზრდელები ჰყავდეთ, თუმცა რამდენიმე მათგანზე ძალიან დადებითად ისაუბრეს.

პერსონალის სამუშაო საათები და პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობა: ცენტრს არ აქვს პერსონალისათვის ტაბელების სისტემა და დამკვირვებლებმა ცენტრში შენიშნეს დროის მენეჯმენტის მხრივ გარკვეული ნაკლოვანებები. სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ დღეში 8 და კვირაში 40 საათს (ხუთ დღეს), ხოლო ნახევარ განაკვეთზე მყოფი თანამშრომლები მუშაობენ ამ დროის ნახევარს. გამონაკლისს წარმოადგენენ აღმზრდელები, რომლებიც კვირაში ორჯერ 24-საათიან ცვლებში მუშაობენ. სამუშაო საათები უნდა შემცირდეს, რადგან აღმზრდელები არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვებს მეთვალყურეობას უწევენ ღამით, ცენტრში სხვა პერსონალის არყოფნის დროს.

ტაბელის არარსებობა და გარკვეულწილად ცვალებადი სამუშაო საათები ართულებს იმის ნათლად განსაზღვრას, თუ როგორია ცენტრში პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობა. დაკვირვებისა და თანამშრომლების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში, სამუშაო საათებში, თუ ცენტრში ყველა ძირითადი თანამშრომელი და ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა (30) იმყოფება, თანაფარდობა 1:3 იქნება, ხოლო ღამით თანაფარდობაა 1:10 (ღამის

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

განმავლობაში ცენტრში ყოველთვის იმყოფება 4 თანამშრომელი: ორი აღმზრდელი, ერთი დარაჯი და ღამის ექთანი).

გუნდური მუშაობა და სამუშაოთი კმაყოფილება: რამდენიმე თანამშრომელმა უკმაყოფილება გამოთქვა ცენტრში გუნდური მუშაობის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით („არ ხდება გუნდური მუშაობა, არ არის განრიგი, ყველაფერი ქაოტურია, სუბორდინაციის დაცვა არ ხდება“). ტარდება პერსონალის რეგულარული შეხვედრები ცენტრის მუშაობისა და „ბავშვების მდგომარეობის განსახილველად“, სულ მცირე, თვეში ერთხელ, თუმცა ზოგმა თანამშრომელმა ვერ შეძლო ამ შეხვედრების სისწორის ზუსტად დასახელება (ზოგჯერ შეხვედრები ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერ, ზოგჯერ – სამ თვეში ერთხელ). როგორც ზოგიერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, „თანამშრომლობა პერსონალს შორის მხოლოდ მათი ინიციატივით ხდება“. შედარებით მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა აქვთ ფსიქოლოგსა და სოციალურ მუშაკებს. თანამშრომლების 72%-მა განაცხადა, რომ კმაყოფილია ამჟამინდელი სამსახურით და 54% დარწმუნებული იყო მათი სამომავლო დასაქმების უსაფრთხოებაში (ზოგიერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ისინი გაგრძელებად 3-თვიან კონტრაქტებზე არიან და შესაბამისად, არ არიან დარწმუნებულნი ხანგრძლივად დასაქმების შესახებ). თანამშრომლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაბალი ხელფასის გამო, რასაც სამუშაო მოტივაციის დაქვეითება მოსდევს. ზოგმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ აკმაყოფილებთ ის სამუშაო, რასაც კრიზისული ინტერვენციის მიმართულებით აკეთებენ, მაგრამ ნაკლებად აკმაყოფილებთ რეაბილიტაციის მიმართულებით ჩატარებული სამუშაო.

14 ცენტრის მენეჯმენტი

ცენტრის იურიდიული სტატუსი: გლდანის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი გაიხსნა 2005 წლის 1-ელ ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიმღები, საორიენტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრის ადგილას. ცენტრი დარეგისტრირებულია, როგორ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს.), დაფუძნებული თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ.

მენეჯმენტის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსიდან გამომდინარე, ცენტრს ჰყავს დირექტორთა საბჭო, რომელიც სამი ადამიანისგან შედგება: გენერალური დირექტორი, ტექნიკური დირექტორი და ფინანსური დირექტორი. დამკვირვებლები ესაუბრებოდნენ გენერალურ დირექტორს. დირექტორის ინფორმაციით, საბჭოს წევრები დანიშნა თბილისის მერიამ ცენტრის დარეგისტრირების დროს და საბჭოსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტიც მერიაში ინახება. ცენტრში არ არსებობს ჩანაწერები საბჭოს წევრების შესახებ.

ასევე არ არსებობს ჩანაწერები საბჭოს რეგულარული შეხვედრების შესახებ: რა ხდება შეხვედრების დროს და იღებს თუ არა საბჭო ერთობლივ გადაწყვეტილებებს ცენტრის მუშაობის შესახებ. თუმცა პერსონალის 82% მიიჩნევს, რომ ცენტრის მუშაობის შესახებ გადაწყვეტილებებს საბჭო იღებს. საბჭოს საქმიანობაში არ მონაწილეობენ ბავშვები და მშობლები. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სამივე დირექტორი ყოველდღე ცენტრში იმყოფება და მათი შეხვედრებიც ყოველდღე ხდება მაგრამ ამ შეხვედრებს არ აქვს ფორმალური სტრუქტურა და არ ხდება ოქმების წარმოება. შეხვედრებზე განიხილება ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა, ცენტრში შეკეთების/რემონტის საჭიროება, საკვების შემოწირულობა ან მენიუს შემადგენლობა. გრზელვადიანი გეგმების დასახვა არ ხდება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

პერსონალის დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ანგარიშვალდებულია უშუალოდ
გენერალური დირექტორის წინაშე და რომ გენერალური დირექტორივე იღებს
გადაწყვეტილებას ბენეფიციარების მიღებისა და გაწერის შესახებ.

პერსონალის კმაყოფილება ცენტრის ამჟამინდელი მენეჯმენტით: თანამშრომლების
45%-მა განაცხადა, რომ ცენტრში პერსონალის მენეჯმენტი კარგია, ხოლო დანარჩენმა
55%-მა შეაფასა ის როგორც „არც კარგი, არც ცუდი“. როცა თანამშრომლებს
ვთხოვეთ, ჩამოეთვალოთ ცენტრის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა,
რესპონდენტების 27%-მა მენეჯმენტი დაასახელა ასეთ პრობლემურ საკითხებს შორის.
მაგალითად, თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ „ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა
გამოსწორდეს“ ან „ხელმძღვანელობის როლი უნდა იყოს თანამშრომლების
ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა“. ზოგიერთმა თანამშრომელმა ასევე განაცხადა,
რომ ცენტრში არ არსებობს თანამშრომლების მოტივაციისა სამუშაო განწყობის
შექმნისა და შესრულებული სამუშაოს დაფასების სისტემა.

1.5 ფინანსები და აქტივები

შენობის მფლობელობა: ცენტრის შენობა და ტერიტორია ეკუთვნის შინაგან საქმეთა
სამინისტროს. ცენტრი ამჟამად შენობით სარგებლობს თბილისის მერიასა და შინაგან
საქმეთა სამინისტროს შორის არაფორმალური სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე.
ცენტრის ფორმალური მისამართი სხვაა – მიტოვებული შენობა, რომელიც ცენტრის
დაარსების მომენტისათვის თბილისის მერიას ეკუთვნოდა. შენობა, რომელშიც
ცენტრი ფაქტობრივად ფუნქციონირებს, შ.ს.ს.-საგან არასოდეს გადასცემია სხვა
უწყებას, რათა მას ემოქმედა, როგორც სოციალური მომსახურებას. შენობის შ.ს.ს.-
საგან ნებისმიერი სხვა უწყებისათვის გადაცემა ეკონომიკური განვითარების
სამინისტრომ უნდა აწარმოოს, მაგრამ ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა.

ცენტრის ბიუჯეტი: ცენტრის წლიური ბიუჯეტი 2007 წლისათვის შეადგენს 200.000
ლარს და გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ხელფასი – 65.6%
- საქონელი და მომსახურება (34.4%):
 - კომუნალური ხარჯები – 13.9%
 - კვება – 12.8%
 - ოფისი და აღჭურვილობა – 3%
 - სატრანსპორტო საშუალებები (საწვავი და ტრანსპორტის შენახვის ხარჯები) – 2.5%
 - ავეჯი და ტანსაცმელი – 1.8%
 - სხვა ხარჯები – 0.7%
 - სამედიცინო ხარჯები – 0.5%

2007 წლის იანვარში განათლების სამინისტროსთვის გადაცემამდე ცენტრი
ფინანსდებოდა თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის მიერ. თანამშრომლების ინფორმაციით, ცენტრის ბიუჯეტი შემცირდა
350.000-დან 200.000 ლარამდე, რამაც გამოიწვია ხელფასისა და შეთავაზებული
მომსახურების საგრძნობი შეკვეცა.

წელიწადში საკვებისათვის განსახდებელია 25.542 ლარი (როგორც დირექტორმა
აღნიშნა, ეს გამოანგარიშებული იყო, როგორც ბავშვზე დღეში 3 ლარი, ასე რომ
ბიუჯეტში ჩადებული თანხმა საკმარისია დღეში 24 ბავშვისათვის). საბაზისო
სერვისების გარდა, ბიუჯეტში არ არის სხვა პუნქტი, რომელიც ბავშვებისათვის
რომელიმე სხვა მომსახურებას შეეხებოდა.

მატრიალური შემოწირულობები: დირექტორმა ჩამოთვალა რამდენიმე მატრიალური
შემოწირულობა, რომელსაც ცენტრი იღებს. მათ შორისაა ყოვლდღიური უფასო პური,

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

მედიკამენტების უფასო მიწოდება და საკვების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის რამდენიმე შემოწირულობა. ცენტრს ასევე აქვს შეთანხმება რძის პროდუქტებისა და სარეცხი საშუალებების მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შეძენის შესახებ. ცენტრი აწარმოებს ყველა მატერიალური შემოწირულობის ჩანაწერებს.

ხარჯები: ცენტრი პირდაპირ აწარმოებს შესყიდვებს შერჩეულ მომწოდებლებთან საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების გზით. დირექტორის თანახმად, კვარტალში ერთხელ ცენტრს განათლების სამინისტროდან ანგარიშზე ერიცხება თანხა. ცენტრის სტრუქტურა და დანახარჯების შესახებ არსებული დოკუმენტაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოითვალოს, თუ რამდენი იხარჯება ერთ ბავშვზე და ერთ რომელიმე აქტივობაზე. დირექტორის თანახმად, რეალური დანახარჯები საკვებზე უფრო მცირეა ბიუჯეტში აღნიშნულთან შედარებით პურის ყოველდღიური უფასო მიღების გამო და განისაზღვრება წელიწადში 17.000 ლარით. გაურკვეველია, თუ რაზე ნაწილდება დანარჩენი 7.500 ლარი.

ფინანსური დოკუმენტაცია: ცენტრს ჰყავს ბუღალტერი, რომელიც აწარმოებს ყველა ფინანსურ დოკუმენტაციას. ცენტრში არსებობს დანახარჯების ამსახველი დოკუმენტები (ქვითრები, ანგარიშ-ფაქტურები, ფინანსური ანგარიშები).

თანამშრომლების კმაყოფილება ცენტრის ფინანსური მდგომარეობით: პერსონალი ზოგადად უკმაყოფილოა ცენტრის ფინანსური მდგომარეობით. თანამშრომლების 82%-მა ფინანსური პრობლემები პირველ ნომრად დაასახელა ცენტრის პრობლემებს შორის. ყველაზე უფრო ცუდად დაფინანსებულ სფეროებს შორის თანამშრომლებმა დაასახელეს ხელფასი (მაგალითად, აღმზრდელების ამჟამინდელი ხელფასი აქამდე არსებულზე 43%-ით ნაკლებია), სამედიცინო მომსახურება 14 წლის და უფროსი ასაკის ბავშვისათვის (რომელთაც აღარ ეკუთვნით უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამა), ბავშვებისათვის პირადობის დამადასტურებელი და სხვა იურიდიული დოკუმენტების აღება, სათამაშოების, საკანცელარიო ნივთებისა და ტანსაცმლის შეძენა, ტრანსპორტი და ბავშვებისათვის ლაშქრობებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობა, პროფესიული განათლების სახელოსნოების შექმნა, კომუნალური გადასახადები (გაზი, ელექტროენერგია, წყალი და დასუფთავება) და უკეთესი კვება.

1.6 ფიზიკური გარემო

ცენტრის ფართობი და მისი გადანაწილება: გაურკვეველი მფლობელობის გამო ცენტრის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ტერიტორიის რაიმე გეგმა ამ პროექტი და არ არსებობს ინფორმაცია დაკავებული ტერიტორიის საერთო ფართობის შესახებ. ცენტრის ტერიტორია შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- მთავარი შენობა, H ასოს მსგავსი მოყვანილობით – დერეფნით დაკავშირებული ორი ფლიგელი. წინა ნაწილი ორსართულიანია, ხოლო უკანა – ერთსართულიანი.
- ორი მიმდებარე შენობა, ერთი შედარებით დიდი და მეორე პატარა. დიდი შენობა ამჟამად არ გამოიყენება, პატარა შენობაში კი გათბობის სისტემაა მოთავსებული.
- ეზო

ძირითად, გამოყენებულ შენობაში ფართობის გადანაწილება შემდეგნაირია:

- საძინებელი ოთახები – 12 (ამჟამად გამოყენებულია 9)
- საძინებელი ოთახები აღმზრდელებისათვის - 2
- აბაზანა - 6
- ტუალეტი - 8
- ადმინისტრაციის ოთახები - 5

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

- აქტივობის ოთახები – 4 (დარბაზი, „ბიბლიოთეკა“ - წიგნების გარეშე, აქტივობების ოთახი და სამლოცველო)
- სამზარეულო - 1
- სასადილო - 1
- სამრეცხაო - 1
- საკარანტინო ოთახები – 2

სანიტარული და უსაფრთხოების პირობები: რადგან საქართველოში ამჟამად არ არსებობს ფორმალური სანიტარული ინსპექციის მექანიზმები, გლდანის ცენტრსაც არ აქვს სანიტარული შემოწმების რაიმე საბუთი. ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კერძო უწყებასთან, რომელიც პერიოდულად (2 თვეში ერთხელ) სანიტარულ სამუშაოებს აწარმოებს ცენტრში. მონიტორინგის ვიზიტების დროს წარმოებული დაკვირვებები მიუთითებს, რომ ცენტრი ძირითადად სუფთაა და კარგ სანიტარულ მდგომარეობაშია, სააბაზანოსა და ტუალეტის გარდა. ბავშვებისათვის განკუთვნილი ყველა აბაზანა და ტუალეტი შესაკეთებელია, არ არის საპონი, პირსახოცები და ტუალეტის ქაღალდი და ყველა მათგანი ჭუჭყიანია. ცენტრში მოდის წყალი, ხოლო ცხელი წყალი ირთება მხოლოდ დილას და საღამოს საათებში, რადგან „სულ ჩართული ძალიან ძვირი ჯდება“, როგორც დირექტორმა ახსნა.

სამზარეულო და საკვების შესანახი სათავსოები სუფთაა და ცენტრში არის მუშა მდგომარეობაში მყოფი მაცივრები. ასევე სუფთა და საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია სასადილო ოთახი. ცენტრში არ არის ადგილი, სადაც ბავშვები საკუთარი საკვების მომზადებას შეძლებდნენ, თუმცა მათ ამისი სურვილი აქვთ. საკვები ყველა ბავშვისათვის ერთად მზადდება და მისი მიწოდება განსაზღვრულ საათებში ხდება, დღეში 4-ჯერ. დღიური მენიუს შედგენა ექიმის მიერ ხდება. პირველი ვიზიტისას სადილის მენიუ ნოყიერი იყო და საკვების მრავალფეროვნება – დამაკმაყოფილებელი, მეორე ვიზიტისას – შედარებით ნაკლები, თუმცა, როგორც ჩანს, საკვები ზოგადად ჯანსაღი და დამაკმაყოფილებელი მრავალფეროვნებისაა.

ცენტრს აქვს ცალკე გამოყოფილი საკარანტინო განყოფილება, რომელიც შედგება ექიმის ოთახისაგან, ახალმოსული ბავშვებისათვის განკუთვნილი საძინებელი ოთახის, ინფექციური დაავადების მქონე ბავშვებისათვის განკუთვნილი იზოლატორისა და სველი წერტილისაგან (სუფთა და კარგ მდგომარეობაში). შემოწმების დროს საკარანტინო განყოფილებაში ასევე ცხოვრობდა დედა ორი მცირეწლოვანი ბავშვით. დირექტორმა განაცხადა, რომ იგი ოჯახური ძალადობის გამო თავშესაფრის გარეშე დარჩა და ცენტრმა მას აქ ცხოვრების უფლება მისცა.

ცენტრში არის სამრეცხაო მუშა მდგომარეობაში მყოფი რამდენიმე სარეცხის მანქანით. ბავშვებს აქვთ საშუალება, რომ თვითონ გაირეცხონ საკუთარი ტანსაცმელი.

შენიშნა სტრუქტურულად კარგ მდგომარეობაშია და შესამჩნევია, რომ აქ ჩატარებულია გარკვეული სარემონტო სამუშაოები. პირველი სართულის მთელი ერთი ფრთა საძინებელი ოთახებით ამ მომენტისათვის გამოუყენებელია – ნაწილობრივ იმის გამო, რომ ის დაზიანებულია და ნაწილობრივ იმი გამო, რომ, დირექტორის განცხადებით ცენტრში ამჟამად არ არის იმდენი ბავშვი, რომ ყველა საძინებელი დაიკავონ.

ცენტრს აქვს ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა (რომლის ჩართვა ელექტროენერჯის საშუალებით ხდება), რომელიც ჩართული იყო შემოწმების მომენტისათვის. დირექტორის თანახმად, როგორც წესი, ცენტრს ელექტროენერჯია მიეწოდება, მაგრამ მეორე ვიზიტისას ელექტროენერჯია გამორთული იყო თითქმის

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

მთელი დღის მანძილზე; ცენტრს არ გააჩნია გენერატორი. როცა ელექტროენერგია
გამორთულია, გათბობის სისტემაც არ მუშაობს. რამდენიმე ადგილას დაზიანებულია
ელექტროჩამრთველები და ჩანს ელექტროგაყვანილობა, რაც ბავშვებისათვის
საფრთხეს წარმოადგენს. ავეჯის შექმნა 2005 წელს მოხდა, მაგრამ ცუდი ხარხის იყო
და ნაწილი უკვე დამტვრეულია.

საძინებელი ოთახები: ცენტრში სულ 12 საძინებელი ოთახია, რომელთაგანაც 9
ოთახია გამოყენებული. საძინებელი ოთახები პატარაა და ერთ ოთახში 4-დან 8
ბავშვამდე ცხოვრობს. იმ ოთახებში, სადაც 4-ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს,
ორსართულიანი საწოლებია მოთავსებული და ოთახები ზედმეტად გადატვირთულია.
ზოგადად, ოთახების ზომის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა ოთახში 2-4
ბავშვზე მეტი არ ყოფილიყო. თითოეულ ბავშვს აქვს ცალკე საწოლი ბალიშით,
ღებით, ზეწართა და საბნით. საძინებლები ისეა განლაგებული, რომ სქესების
მიხედვით ბავშვების დაყოფა შესაძლებელია – გოგონებსა და ბიჭებს შენობის
სხვადასხვა ფრთაში სძინავთ, რომლებიც დერეფნით არის გამოყოფილი, თუმცა
ბავშვების ასაკის მიხედვით დაყოფა არ ხდება. მაგალითად, ბიჭების მხარეს,
ახალგაზრდა უსახლკარო ბენეფიციარებსა და ახალგაზრდა კანონდამრღვევებს
მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად სძინავთ. ცენტრში საკმარისი ფართობია იმისათვის,
რომ ასაკის მიხედვითაც მოხდეს დაყოფა.

აღმზრდელებს ცალკე საძინებელი ოთახები აქვთ – თითო ოთახი თითო ფრთაში –
სადაც მათ ღამით სძინავთ. როგორც ადრე აღვნიშნეთ, 24-საათიანი სამუშაო
გრაფიკის გამო ძალიან რთულია, რომ ისინი ღამის განმავლობაში ფხიზლობდნენ.

როგორც ჩანს, ბავშვებს გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ საკუთარი საძინებელის
არჩევაში. მაგალითად, ერთ-ერთმა მოზარდმა გოგონამ მოითხოვა, რომ საძინებელ
ოთახში მხოლოდ თვითონ ყოფილიყო და მას ეს თხოვნა შეუსრულეს.

ბენეფიციარი ბავშვების პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვა:
თანამშრომლების 73% მიიჩნევს, რომ თუ ბავშვს მარტო დარჩენა მოუნდება, ცენტრში
მოიძებნება სათანადო ადგილი, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. თუმცა
დამკვირვებლებს რაიმე ასეთ ოთახი ან ადგილი არ უნახავთ. საძინებელი ოთახები
განმარტობის გარკვეულ საშუალებას იძლევა, თუმცა მათში არ არის კარადები
საკეტი, სადაც ბავშვები პირად ნივთებს შეინახავდნენ.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

2. „მომავლის სახლი“

2.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები

„მამა ნარკომანია და ამჟამად ციხეშია. დედამ მოგვმართა და ჩვენ მისი ორი შვილი მივიღეთ. დედამ სამსახური იშოვა. ისინი ჯერ კიდევ ცალ-ცალკე ცხოვრობენ“.

„დედამ მოიყვანა ორი შვილი; მას არავინ ჰყავდა, რომ ბავშვები დაეტოვებინა. ის მუშაობს და შვილები ტვირთად აწვა. ბავშვებს გონებრივი ჩამორჩენილობა აღენიშნებათ და დედას მათი მარტო დატოვება არ შეუძლია“.

- ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან

სამიზნე ჯგუფი და ბავშვების მიღება: ცენტრის წესდებაში არ არის დაკონკრეტებული სამიზნე ჯგუფის მახასიათებლები, თანამშრომლების მიერ შევსებული კითხვარების მიხედვით კი გამოვლინდა, რომ ბავშვების უმრავლესობა არის ღარიბი ოჯახებიდან (რესპონდენტების 84%-ის აზრით), უსახლკარო/ქუჩის ბავშვები (რესპონდენტების 79%) და მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვები (რესპონდენტების 74%). 20 შემთხვევითად არჩეული ბავშვის დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ისეთი ბავშვის დოკუმენტაცია, რომელსაც ცენტრში მოსვლამდე ქუჩის ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სიღარიბე, საცხოვრებლის უქონლობა და სოციალური დაუცველობა ის მთავარი მიზეზებია, რის გამოც ოჯახები ბავშვებს ცენტრში ტოვებენ. ზოგიერთმა თანამშრომელმა ახსენა ისეთი შემთხვევებიც (6 ბავშვი), როცა ბავშვები ცენტრში მხოლოდ დღის

განმავლობაში მოდიან და ღამით სახლში ბრუნდებიან.

ცენტრის დოკუმენტაცია არ აკონკრეტებს ბენეფიციარების ასაკობრივ ჯგუფებს; მხოლოდ აღნიშნულია, რომ ცენტრი განკუთვნილია 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვების უდიდეს ჯგუფს წარმოადგენენ 12-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები (დაახლოებით 50%), შემდეგ მოდის 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფი (30%). მესამე ჯგუფი 18 წლის და უფროს ბავშვებს მოიცავს (10%). ცენტრში ასევე იმყოფება 6 წელზე უმცროსი რამდენიმე ბავშვი და რამდენიმე ბავშვიანი ოჯახი.

თანამშრომლების თანახმად, ბავშვები არიან საქართველის რეგიონებიდან (რესპონდენტების 100%), თბილისის სხვადასხვა უბნიდან (რესპონდენტების 95%) და იმავე უბნიდან, სადაც ცენტრი მდებარეობს (რესპონდენტების 63%).

„ღირექტორი ესაუბრება ბავშვს და ეკითხება ოჯახური სიტუაციის შესახებ. ღირექტორის გადაწყვეტილების შემდეგ ოჯახური სიტუაციის შესახებ სოციალური მუშაკი ესაუბრება ბავშვს (ჩანაწერები არ კეთდება). შემდეგ ბავშვს უკვე ექიმი სინჯავს. ვარკვეული დროის შემდეგ ფსიქოლოგი წერს დასკვნას. ამისათვის რაიმე დადგენილი დრო არ არსებობს. ბავშვების სხვა სახის შეფასება არ ხდება“.

- ინდივიდუალური ინტერვიუ თანამშრომელთან

ცენტრი აწარმოებს ბენეფიციარი ბავშვების ყოველდღიურ, ყოველთვიურ და საერთო, შემაჯამებელ აღრიცხვას. საშუალოდ, ცენტრის მომსახურებას იღებს დღეში 39 და თვეში – 55 ბავშვი. 2006 წლის იანვრიდან ცენტრს ჰყავდა 120 ბენეფიციარი.

ცენტრს არ გააჩნია ბავშვების მიღების წერილობითი კრიტერიუმები, რადგან, როგორც ღირექტორმა განაცხადა, „მიღებები ხორციელდება განათლების სამინისტროს სოციალური მუშაკების მიერ“. თანამშრომლების მიერ ჩამოთვლილი მიღების ყველაზე ხშირი მიზეზებია: მშობლის მზრუნველობის ნაკლებობა (რესპონდენტების 53%-ის აზრით), სიღარიბე (რესპონდენტების 47%) და სამედიცინო ან ფსიქოლოგიური პრობლემები (რესპონდენტების 32%).

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თანამშრომლების მიერ დასახელებული მიღების სხვა მიზეზებია: უსახკარობა/ქუჩის ცხოვრება ან მშობლის თხოვნა. თანამშრომლების თანახმად, ჩვეულებრივ, ბავშვი ჯერ მოჰყავთ ცენტრში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება მისი ფორმალური მიღების შესახებ ერთობლივად დირექტორის, მისი მოადგილისა და სახელმწიფო სოციალური მუშაკების მიერ. გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა ბავშვი გადმოჰყავთ სხვა ინსტიტუტიდან განათლების სამინისტროს სოციალური მუშაკების გადაწყვეტილებით.

ბენეფიციარების შესახებ არსებულ ყველა დოკუმენტაციაშია დაფიქსირებული და თანამშრომლებმაც დაასახელეს მომართვის ყველაზე ხშირი წყაროები. თანამშრომლების მიერ შევსებული კითხვარების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მომართვას ყველაზე ხშირად აწარმოებენ: მშობლები (რესპონდენტების 95%-ის აზრით), პოლიცია (89%) და ბავშვის სხვა ნათესავები (რესპონდენტების 47%). მომართვის სხვა წყაროა სხვა რეზიდენტული ტიპის დაწესებულებები; გარდა ამისა ბავშვები ზოგჯერ თავისით მოდიან. ბოლო ორი ტიპის შემთხვევები ძალიან იშვიათია.

პრობლემების/საჭიროებების შეფასება: თანამშრომლების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ცენტრში შემოსვლისას ხდება თითოეული ბავშვის პრობლემებისა და საჭიროებების განსაზღვრა ძირითადად (80%) „ბავშვებთან ფსიქოლოგიური ინტერვიუების“ მეშვეობით, „გარემოს შეფასებით/ოჯახებთან ინტერვიუებით“ (42%) და „ემპათიით“ (32%). ყველა თანამშრომელმა ოჯახური პრობლემები ბავშვის პრობლემებს შორის პირველ ნომრად დაასახელა. დანარჩენი ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემაც ოჯახურ სიტუაციას უკავშირდებოდა და გულისხმობდა ფსიქოსოციალურ პრობლემებს და სიღარიბეს/უმუშევრობას („მე პირდაპირი შეხება არ მაქვს, მაგრამ მინახავს, როგორ ტიროდნენ (ოჯახის წევრები) და ამბობდნენ, რომ საჭმელი არ აქვთ“). შემთხვევითად შერჩეული ბავშვების ნახევარის პირადი დოკუმენტაცია შეიცავდა პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზს.

ბენეფიციართა შესახებ ჩანაწერები: თითოეულ ბავშვს აქვს ცალკე პირადი საქმე, სადაც ერთად ინახება მის შესახებ არსებული ყველა დოკუმენტაცია. დოკუმენტები, როგორც წესი, მოიცავს: ბავშვის დაბადების მოწმობას და/ან პირადობის მოწმობას (ორიგინალი ან ასლი) ბავშვის მიღებისა და გაწერის შესახებ ინფორმაციას, ბავშვის ფსიქოლოგიურ დახასიათებას და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რაც ცენტრს შეიძლება ბავშვის შესახებ გააჩნდეს. ცენტრს არ გააჩნია შემთხვევის მართვის სისტემა.

ცენტრში დარჩენის მაქსიმალური ვადა: ცენტრს არ აქვს ბავშვების ცენტრში დარჩენის რაიმე მაქსიმალური ვადა, გარდა წინადადებისა, რომ ცენტრი „7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის“ არის განკუთვნილი. თანამშრომლების 53% მიიჩნევს, რომ ბავშვის ცენტრში დარჩენის მაქსიმალური დასაშვები ვადაა 8-9 წელი. რაც შეეხება იმას, თუ რეალურად რამდენ ხანს რჩებიან ბავშვები ცენტრში, თანამშრომლების 44%-მა დაასახელა 7-8 წელი, 17%-მა – 5 წელი, ხოლო დანარჩენებს პასუხი არ გაუციათ. ბევრი ბავშვი ცენტრში ძალიან ხანგრძლივად რჩება, ზოგჯერ მთელი ბავშვობის განმავლობაშიც.

ცენტრიდან გაწერა: ცენტრს არ აქვს ბავშვების გაწერის რაიმე ფორმალური კრიტერიუმი. თანამშრომლების უმრავლესობა აცხადებს, რომ გაწერის ყველაზე ხშირი მიზეზებია უფროსი ასაკის ბავშვების ბავშვების გათხოვება ან დასაქმება და ბავშვის ზედა ასაკობრივი ზღვრის, 18 წლის ასაკის, მიღწევა. რამდენიმე თანამშრომელმა გაშიშვლებების ორი შემთხვევა ახსენა, თუმცა დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ გაშიშვლებების შემთხვევები საერთოდ არ ყოფილა. ერთ-ერთ თანამშრომელს არაფორმალურად შვილობილად ჰყავს წაყვანილი ერთ-ერთი ბენეფიციარი. რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ოჯახის რეინტეგრაციის

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

შემთხვევები ძალიან იშვიათია და 2007 წლის იანვრიდან ასეთი შემთხვევა არ
ყოფილა. არავის უხსენებია ბავშვების სხვა ინსტიტუციებში გადაყვანა/მიმართვა.

თანამშრომლების სამი მეოთხედის განცხადებით, გადაწყვეტილებას ბავშვების
გაწერის შესახებ დირექტორი და ცენტრის ადმინისტრაცია იღებს. დირექტორის
მოადგილემ განაცხადა, რომ ეს ფუნქცია გადაეცა ადგილობრივ რესურს-ცენტრს.
ცენტრიდან გარიცხული ან სხვაგან გადაყვანილი ბავშვებს პირადი საქმეებში
გაკეთებულია მოკლე ჩანაწერი ამის შესახებ.

შემდგომი მეთვალყურეობა: ცენტრი თანამშრომლებისგან არ მოითხოვს, რომ
სერვისიდან წასული ბავშვების შემდგომი მეთვალყურეობა განხორციელდეს.
თანამშრომლების ნახევარმა განაცხადა, რომ ბავშვის წასვლის შემდეგ
მეთვალყურეობის მიზნით, თვეში ერთხელ ხდება ოჯახში ვიზიტი ან ტელეფონით
დარეკვა. პერსონალის 16%-მა აღნიშნა, რომ მეთვალყურეობის მიზნით ბავშვებთან
დაკავშირება არ ხდება. თანამშრომლების თანახმად, ოჯახის რეინტეგრაციის იშვიათ
შემთხვევებშიც არ ხდება მეთვალყურეობა („ბავშვები (ცენტრში) თვითონ მოდიან,
არავინ ამოწმებს ოჯახებს“; „რეინტეგრაცია ხდება მშობლის მოთხოვნით და ბავშვის
სურვილის გათვალისწინებით, მაგრამ ოჯახების შეფასება არ ხდება. ჩვენ
რეინტეგრირებულ ბავშვებზე მეთვალყურეობას არ ვაწარმოებ“).

2.2 ცენტრის მომსახურება

მიზნები და ინდიკატორები: ცენტრის წესდებაში ჩამოთვლილია ცენტრის რამდენიმე
მიზანი, მათ შორის, ბავშვების უზრუნველყოფა ოჯახური ტიპის გარემოთი, ბაზისური
მომსახურებითა და რეკრეაციით. როგორც ჩანს, თანამშრომლები კარგად იცნობენ
ძირითად მიზნებს; ყველა თანამშრომელმა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია
ცენტრის უმთავრეს მიზნად დაასახელა, რასაც მოჰყვებოდა განათლება (58%) და
პროფესიული მომზადება/დასაქმება (53%). ერთადერთი გამონაკლისი იყო „ოჯახური
ტიპის გარემო“; როდესაც თანამშრომლებს ვთხოვეთ, ჩამოეთვალოთ ოჯახური ტიპის
ზრუნვის ძირითადი თავისებურებები, ვერავინ შესძლო ძირითადი თავისებურებების
ჩამოთვლა.

ცენტრს არ აქვს შემუშავებული ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც მიზნების
შესრულებას გაზომავდა. მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში ცენტრმა
მხოლოდ ერთი დოკუმენტი მოამზადა საკუთარი საქმიანობის შესახებ - ეს იყო
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის; ეს დოკუმენტი შეიცავს ძალიან
ზოგად ინფორმაციას ცენტრის ისტორიისა და ძირითადი საქმიანობის შესახებ და არ
შეიცავს ანალიზს იმისა, თუ რამდენად კარგად სრულდება მიზნები. პერსონალი
(89%) დარწმუნებულია, რომ ცენტრის მიერ მიწოდებული მომსახურება მის მიზნებს
შეესაბამება. მენეჯმენტმა ზუსტად არ იცის, სამინისტრო მოითხოვს თუ არა
ანგარიშებს, და რა ფორმატით ან რა სიხშირით იქნება ეს ანგარიშები
მოსამზადებელი.

ცენტრის აქტივობები: ცენტრი ბავშვებს აწვდის საბაზისო მომსახურებას:
საცხოვრებელს, ოთხჯერად კვებას, ტანსაცმელს და ჰიგიენას. სამედიცინო
მომსახურებას ბავშვებს ცენტრის სამედიცინო პერსონალი უწევს ასოციაცია
„გენეზისთან“ თანამშრომლობით და სხვა სახელმწიფო კლინიკებში/საავადმყოფოებში
მიმართვის გზით.

ცენტრს არ აქვს აქტოვობების წილობითი ცხრილი ან კურიკულუმი. რამდენიმე
თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ისინი იმ მოვალეობებს ასრულებენ, რასაც
ყოველდღიური სიტუაცია მოითხოვს („დღე წინასწარ დაგეგმილი არ არის“).
თანამშრომლების მიერ ჩამოთვლილი აქტოვობები შეიძლება დავაჯგუფოთ, როგორ
არაფორმალური აქტივობები, რაც გულისხმობს ცეკვას, სიმღერასა და მუსიკას,

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

პოეზიას და თეატრს, ხელგარჯილობას, უცხო ენის კურსებსა და სპორტს. ბავშვები მონაწილეობენ ცენტრში და ცენტრის გარეთ გამართულ სპორტულ ღონისძიებებში. ცენტრში ხშირად აწყობს ბავშვების მიერ გაკეთებული ნივთების გამოფენა-გაყიდვებს. ასევე ეწყობა დაბადების დღეებიც.

სკოლის ასაკის ბავშვები კერძო სკოლაში დადიან. ბავშვები სკოლაში და უკან ცენტრში ყოველ დღე სკოლის ავტობუსს დაჰყავს. ზოგი ბავშვი ყოველდღე ან შაბათ-კვირას კოლეჯში დადის. ყველა ეს საგანმანათლებლო სერვისი ცენტრს უფასოდ მიეწოდება. ცენტრში ბავშვებს ყოველდღიურად ესმარებიან საშინაო დავალების მომზადებაში.

ფსიქო-სოციალური დახმარების კუთხით ყველა ნამშრომელმა განაცხადა, რომ აქტივობები ისეა შედგენილი, რომ მოხდეს „შრომისა და სტრუქტურირებული აქტივობების მეშვეობით ბავშვების რეაბილიტაცია“ და რამდენიმე შემოქმედებითი აქტივობა დაასახელა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა ფსიქოლოგის მიერ წარმოებული კონსულტაციაც.

„პოტენციურ დამსაქმებლებს პირადი კონტაქტების მეშვეობით ეძებენ. თუ რომელიმე ბავშვი რაიმე კონკრეტული საშუალოთია დაინტერესებული, მაშინ მას ამ კომპანიასთან აკავშირებენ. თუ ბავშვს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება უნდა, ამ ბავშვებისათვის ივსე შეღავათები ვრცელდება, რაც ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისათვის. მხოლოდ 4-5 ბავშვს აქვს დამთავრებული უნივერსიტეტი. ამჟამად უნივერსიტეტში არავინ სწავლობს. ძირითადად ბავშვები მიმტანებად იწყებენ მუშაობას. ისინი სამსახურს წინასწარი მომზადების გარეშე იწყებენ. რთულ ბავშვებს საკუთარი ნებით არ უნდათ მუშაობა/სწავლა. ბავშვების დახმარება არ მოწოდება“.

- ინდივიდუალური ინერგიუ თანამშრომელთან

ცენტრი ცდილობს, ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები შეასწავლოს. თანამშრომლების მიერ შევსებული კითხვარების თანახმად, ცენტრი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ბავშვებისათვის პირადი ჰიგიენის, რეცხვისა და დალაგების სწავლებაზე. თანამშრომლების 30%-მა ასევე აღნიშნა ისეთი უნარები, როგორცაა საკვების მომზადება და საკუთარი ფულის განკარგვა.

თანამშრომლებმა ჩამოთვალეს ისეთი აქტივობები, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ ბავშვები ცენტრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადდნენ. ყველა თანამშრომელმა პირველ ადგილზე პროფესიული მომზადება დაასახელა, რასაც მოჰყვებოდა დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირება და საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა. პროფესიულ განათლებაში იგულისხმებოდა ისეთი კურსები, როგორცაა ჭრა-კერვა, ხეზე კვეთა, თექა, მინანქარი და კერამიკა. ცენტრის ზოგიერთი აქტივობა, რომელსაც

თანამშრომლები „პროფესიულ მომზადებას“ უწოდებენ, უფრო მეტად ხელსაყრელად ან ხელგარჯილობად უნდა იყოს მიჩნეული, რადგან არავის უხსენებია ამ მიმართულებით დასაქმების არც ერთი შემთხვევა. რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ცენტრში ბავშვების პროფესიული მომზადება არ ხდება. რამდენიმე ასევე აღნიშნა, რომ მოზრდილი ბავშვების პროფესიული მომზადების საშუალებებთან დაკავშირება ხდება ცენტრის გარეთ; რამდენიმე ბავშვი პროფესიულ განათლებას იღებს კოლეჯში. მშობლებმა განაცხადეს, რომ კარგი იქნებოდა, ცენტრს პროფესიული განათლების კურსებიც რომ ჰქონდეს.

დასაქმების საშუალებების მოძიება პირადი კონტაქტების საშუალებით ხდება. არ მიმდინარეობს ბავშვის ან დამსაქმებლის განსაკუთრებული მომზადება, გარდა ბავშვსა და დამსაქმებელთან წინასწარი შეხვედრებისა და საუბრებისა და დამსაქმებლის ბავშვის შესახებ ინფორმირებისა (ბავშვებს ეკითხებიან, თუ რა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

აინტერესებთ და სამუშაოდ წინასწარი მომზადების გარეშე მიჰყავთ“). ზოგიერთი თანამშრომელი მიიჩნევდა, რომ ბავშვის სამუშაოსათვის მომზადება დამქირავებლის მოვალეობაა. თანამშრომლების თანახმად, ბავშვების ნაწილი მუშაობს მიმტანებად და ნაწილი – მშენებლობაზე. რამდენიმე თანამშრომელმა ბავშვების დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორებად დაასახელა „სამუშაო ჩვევების“ და მუშაობის სურვილის არქონა. დასაქმების შემთხვევების სამეთვალყურეო ღონისძიებები არასტრუქტურირებულია („პრობლემის შემთხვევაში დამსაქმებელი დირექტორს დაურეკავს“ - განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა) და მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხდება დაახლოებით თვეში ერთხელ ვიზიტებისა და უფრო ხშირად, სატელეფონო საუბრების მეშვეობით. რადგან ცენტრში არ არსებობს ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რამდენმა ბენეფიციარმა დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება ცენტრიდან გასვლის შემდეგ, გაწეული სამუშაოს წარმატებულობის შეფასება ძალან რთულია.

„დედა ოთხი წლის ასაკიდან ბავშვთა სახლში იზრდებოდა. შემდეგ ის ოჯახმა იშვილა, რომელმაც ბოლოს სახლიდან გამოაგდო. ის პატარა ბავშვთან ერთად დარჩა. მისი ქმარი ნარკომანი აღმოჩნდა. ცენტრში ბავშვთან ერთად მოვიდა და ახლა ისინი ერთად ცხოვრობენ ცენტრში.“
- ფოკუს ჯგუფი ოჯახებთან

„დედამ დ. ჩვენს ცენტრში მაშინ დატოვა, როცა ის 6 თვის იყო და ის აქ 16 წლის ასაკამდე დარჩა. შემდეგ ბებიამ (მამის დედამ) იპოვა ბავშვის დედა, რომელსაც უკვე სხვა ოჯახი ჰყავდა. ბავშვი დედასთან დაბრუნდა და ახლაც მასთან ერთად ცხოვრობს.“
- დირექტორის მოადგილე

ოჯახებთან მუშაობა: პერსონალის თანახმად, ცენტრის ბენეფიციარი ოჯახების უმრავლესობას ოჯახი აქვს. როცა ბავშვი ცენტრში ოჯახის წევრს მიჰყავს, მან ხელი უნდა მოაწეროს სპეციალურ „გადაცემის დოკუმენტს“. გარდა ამისა, ცენტრს არ აქვს შემუშავებული ოჯახებთან რეინტეგრაციის მიმართულებით მუშაობის მექანიზმები. თანამშრომლების 78%-მა აღნიშნა, რომ მათი კონტაქტი ოჯახებთან ხშირია (თვეში ერთხელ), ხოლო დანარჩენმა თანამშრომლებმა მიუთითეს, რომ ეს ხდება ექვს თვეში ერთხელ ან ოჯახთან დაკავშირება საერთოდ არ ხდება. ოჯახებთან მუშაობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებად დასახელდა ოჯახებში სტუმრობა და დარეკვა; თანამშრომლების 25%-მა ასევე აღნიშნა, რომ მშობლებიც მოდიან ცენტრში. ბავშვებმაც და ოჯახის წევრებმაც განაცხადეს, რომ ინარჩუნებენ ერთმანეთთან კონტაქტს („მშობლები შეილებთან ორ კვირაში ერთხელ მოდიან, ხანდახან კვირაში ერთხელაც. ზოგი (ბავშვი) შაბათ-კვირას და დღესასწაულებს ოჯახთან ერთად ატარებს“).

მშობლებმა განაცხადეს, რომ ცენტრის თანამშრომლების დამოკიდებულება მათ მიმართ დადებითია; უმრავლესობამ ახსენა, რომ ცენტრის მიერ მათთვის გაწეული უმნიშვნელოვანესი დახმარება მათი დასაქმებაა („ცენტრი მშობელს პროფესიის შესწავლაში დაეხმარა. ახლა ის სხვებს ასწავლის და ფიქრობს, რომ ცენტრმა მისთვის მაქსიმუმი გააკეთა“; „მშობელმა მიმართა დირექტორს, რომელმაც ის ერთ-ერთ ოთახში შეუშვა და სამსახურის მოძებნაში დაეხმარა“). ფოკუს ჯგუფში მონაწილე ყველა მშობელმა აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ მათი ოჯახებისათვის გაწეული დახმარება მდგომარეობს მათი ბავშვებისათვის სტრუქტურირებული გარემოს შექმნაში, სადაც მათ სწავლისა და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ.

თანამშრომლების თანახმად, ოჯახებთან მუშაობა ძირითადად სოციალური მუშაკის მოვალეობაა, თუმცა დირექტორი, ფსიქოლოგი და მასწავლებლებიც იყვნენ დასახელებულნი, როგორც ოჯახებთან მუშაობაზე პასუხისმგებლები. რადგან ცენტრში არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვის რეინტეგრაცია მოხდა, რთულია შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის შეფასება. ზოგმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ როგორც წესი, ბავშვები ოჯახებში არ ბრუნდებიან.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ 2007 წელს ოჯახის რეინტეგრაციის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ბავშვის უსაფრთხოება და დაცვა: ცენტრს არ გააჩნია ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფი შინაგანი პროცედურები ან მექანიზმები. სასურველია, რომ ეს ორივე ცნება, განსაკუთრებით კი ბავშვის დაცვა, უკეთესად ჰქონდეთ გააზრებული თანამშრომლებსაც და ადმინისტრაციასაც. ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ სიგარეტის მოწვევა, ჩხუბის არახშირი და ქურდობის ერთეული შემთხვევები ცენტრში ბავშვების უსაფრთხოების ერთადერთ მუქარას წარმოადგენს. ნახსენები იყო სუიციდის ერთი მცდელობა. ბავშვებმა განაცხადეს, რომ თანამშრომლებთან და სხვა ბავშვებთან მათ კარგი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა აქვთ. არ გამოვლენილა ფიზიკური დასჯის შემთხვევები.

ბავშვების მონაწილეობა (ხართულობა): თანამშრომლების სამმა მეოთხედმა განაცხადა, რომ ცენტრი იკვლევს და ითვალისწინებს ბავშვების მოსაზრებებს ცენტრის საქმიანობის შესახებ. არ გამოიყენება ბავშვისაგან წერილობითი თანხმობის მიღება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მის ცხოვრებას ეხება. ბენეფიციარების აზრების შეგროვების ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდი, თანამშრომლების თანახმად, არის სპეციალური შეხვედრები და ანონიმური წერილების ყუთი. რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ ამ მონაცემებს ანალიზებენ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. დანარჩენმა თანამშრომლებმა თქვეს, რომ „აღმზრდელები ეკითხებიან ბავშვებს აზრს, ისინი არ იწერენ ინფორმაციას, მაგრამ იმას სთვლიან. იმ წუთასვე ანალიზებენ. ამის განხილვა შემდეგ არ ხდება“. ბავშვებმა ასევე ახსენეს თანამშრომლებთან შეხვედრები, სადაც ისინი საკუთარ სურვილებზე საუბრობენ და განაცხადეს, რომ „ბავშვების სურვილებს ითვალისწინებენ“. თანამშრომლები ამ დებულებას დაეთანხმნენ, მაგრამ აღნიშნეს, რომ ბავშვების ინტერესების გათვალისწინება ფინანსურ შესაძლებლობაზეც არის დამოკიდებული. ბავშვებმა მოინდომეს, რომ მოხდეს შენობის გარემონტება და ცენტრში მეტი სპორტული ღინძიება ტარდებოდეს.

2.3 ადამიანური რესურსები

პერსონალის რაოდენობა: ცენტრში 36 თანამშრომელი მუშაობს, ყველა სრულ განაკვეთზე, მათ შორის 21 ადამიანი მუშაობს უშუალოდ ბავშვებთან. ცენტრის პერსონალის ზუსტი განაწილება ასეთია:

	სრულ განაკვეთზე	ნახევარ განაკვეთზე	მოხალისე
აღმზრდელი (დღის)	10	-	-
აღმზრდელი (ღამის)	6	-	-
ფსიქოლოგი	1	-	-
“სოციოლოგი” (სოციალური მუშაკი)	1	-	-
ექიმი	1	-	-
ადმინისტრაცია	3	-	-
ბუღალტერი	1	-	-
მწე	1	-	-
ექთან-დოქტოლოგი	1	-	-
მუსიკის პედაგოგი	1	-	-
მზარეული	2	-	-
დამლაგებელი	3	-	-
დარაჯი	3	-	-
მრეცხავი	1	-	-
ხელოსანი	1	-	-

ცენტრში თანამშრომლების საშუალო ასაკია 44 წელი. ცენტრში მუშაობს 23 წელზე ნაკლები ასაკის 4 ადამიანი და საპენსიო ასაკის (60-ზე მეტი წლის) 7 თანამშრომელი.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თანამშრომლების სამსახურში მიღების პროცესი და პირადი საქმეები: ამჟამინდელ თანამშრომლებს შორის არიან „მომავლის სახლის“ დამფუძნებლებიც, რომლებიც ცენტრში მისი დაარსების დღიდან მუშაობენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ერთ-ერთმა დირექტორმა პირდაპირ შესთავაზა სამსახური. თანამშრომლების ნაწილის სამსახურში მიღება მოხდა ფორმალური მიღების პროცესის მეშვეობით (მედიაში გაკეთებული განაცხადების საპასუხოდ საჭირო საბუთების შეტანა და გასაუბრება). ცენტრის დოკუმენტაციაში არ მოიპოვება გამოცხადებული ვაკანსიის განცხადებები. დირექტორის მოადგილის თანახმად, თანამშრომლების მიღების პროცედურა შედგება “ინტერვიუსაგან, რათა დადგინდეს მისი სამუშაო გამოცდილება და შესძლებს თუ არა ამ კატეგორიის ბავშვებთან მუშაობას“.

ყველა თანამშრომლისათვის გახსნილია პირადი საქმე, რომელიც შეიცავს განცხადებას სამსახურში მიღების თხოვნით, ავტობიოგრაფიას, სარეკომენდაციო წერილებსა და სამედიცინო ცნობას. თითოეული პოზიციისთვის არსებობს სამუშაო აღწერილობაც.

პერსონალის განათლება და მომზადება: თანამშრომლების უმეტესობა (63%) ფიქრობს, რომ გავლილი აქვთ სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები. თუმცა თანამშრომლების მხოლოდ 43%-მა შესძლო, დაესახელებინა ის ტრენინგები, რაც მათ ცენტრში მუშაობის პერიოდში გაიარეს. თანამშრომლებს თვითონვე აქვთ ამ ტრენინგების სერიფიკატები, მაგრამ ცენტრში არ არსებობს რაიმე შემაჯამებელი საბუთი იმ ტრენინგებისა, რომლებშიც თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა და არ არსებობს პროფესიული განვითარების/კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა თანამშრომლებისათვის. თანამშრომლების 37%-მა არასაკმარისად კვალიფიცირებული პერსონალი ცენტრის ძირითად პრობლემებს შორის დაასახელა. რამდენიმე თანამშრომელი უკმაყოფილოა საკუთარი მუშაობის ეფექტურობით. უმრავლესობამ ასევე გამოხატა პროფესიული განათლების უფრო მეტი საშუალებების საჭიროება („თითქოს ერთ ადიგლზე გაეჩერდი“; „კვალიფიკაციის ამაღლება მჭირდება“; „ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ტრენინგი არ გამივლია“). ცენტრის თანამშრომლების აზრით, ყველაზე უფრო საჭირო ტრენინგების თემებია ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობა, ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობა, პედაგოგიკა და ბავშვის კეთილდღეობის საკითხები.

„მოვიდივარ ცენტრში. თუ ვინმეს მეცადინეობა უნდა, ვამეცადინებ. ბავშვებთან ერთად ვუყურებთ ტელევიზორს, და შემდეგ, 9:30-ზე დასაძინებლად ვამზადებთ. ბავშვებს ვახსენებთ, რომ დაიბანონ, ტანსაცმელი მოიწესრიგონ, მიხედონ პირად ჰიგიენას და შემდეგ პატარა ბავშვებს ეძინებათ. უფროსი ასაკის ბავშვები ამბობს ყვებიან, მოზრდილი ბავშვები ტელევიზორს ცალკე უყურებენ, ნაგრამ მე დროდადრო თვალყურს ვადევნებ. დამის განმავლობაში საძინებელ ოთახებს გამოწმებ. დასაძინებლად მივიდივარ 2 საათზე და 8-ზე ვიღვიძებ. ჰიგიენა, საუზმე და ბავშვებს სკოლაში ვაცილებ.“
- ინდივიდუალური ინერვიუ თანამშრომელთან

პერსონალის სამუშაო საათები და პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობა: დღისით, როდესაც ყველა თანამშრომელი ცენტრში იმყოფება, პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობაა 1:2. დამით ეს თანაფარდობაა 1:20. ყველა თანამშრომელი სრულ განაკვეთზე მუშაობს და არსებობს ტაბელი. მხოლოდ მასწავლებლები აცხადებენ, რომ აქვთ 8-საათიანი სამუშაო დღე (კვირაში 40 საათი). სოციალური მუშაკები აცხადებენ, რომ დღეში 7 და კვირაში – 21 საათს მუშაობენ, რაც ნახევარ განაკვეთს უფრო შეესაბამება, ვიდრე სრულს. უკეთესი იქნებოდა, ეს ყველაფერი უფრო სტუქტურირებული იყოს, რათა შესაძლებელი იყოს თანამშრომლების სამუშაო დროის უფრო ეფექტურად გამოყენება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ღამის განმავლობაში ცენტრში ყოველთვის არის სამი თანამშრომელი (ორი აღმზრდელი და ერთი დარაჯი). ღამის აღმზრდელები ყოველ მესამე დღეს მუშაობენ 16-საათიან ცვლაში, რაც ზედმეტად ხანგრძლივი დროა მათთვის, ვინც მთელი ღამის განმავლობაში ბავშვების უსაფრთხოებასა და დაცვაზე უნდა აგოს პასუხი. ღამის პერსონალის თქმით, სამსახურში ყოფნისას მათ ღამით 6 საათი სძინავთ.

გუნდური მუშაობა და სამუშაოთი კმაყოფილება: თანამშრომლების თანახმად, ცენტრში მათი მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ ბავშვების შემთხვევებთან დაკავშირებით თანამშრომლობა არ ხდება, თუმცა თანამშრომლების ნაწილის აზრი განსხვავებული იყო. ზოგადად, თანამშრომლები მიიხნევენ, რომ ისინი მუშაობენ, როგორც გუნდი. როგორც ქვემოთ იქნება ახსნილი, ცენტრში არსებობს „პედ. საბჭო“, როგორც თანამშრომლობის შინაგანი მექანიზმი.

თანამშრომლების მხოლოდ 25% ჰქონდა უსაფრთხოების განცდა სამსახურთან დაკავშირებით, თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ ცენტრი მუშაობას გააგრძელებს. ყველა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ არ აკმაყოფილებს ხელფასი (მაგალითად, ექიმისა და პედაგოგის ხელფასი თვეში 120 ლარს შეადგენს).

2.4 ცენტრის მენეჯმენტი

ცენტრის იურიდიული სტატუსი: „მომავლის სახლი“ 1998 წელს დაარსდა და იგი ამჟამად საბიუჯეტო ორგანიზაციის სტატუსით ფუნქციონირებს, მაგრამ დაგეგმილია სტატუსის შეცვლა საჯარო სამართლის იურიდიული პირით.

მენეჯმენტის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: ცენტრს ჰყავს დირექტორი და დირექტორის მოადგილე, მაგრამ არ ჰყავს დირექტორთა საბჭო ან მისი ეკვივალენტი ორგანო. როგორც თანამშრომლება განაცხადეს, ცენტრის მუშაობის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს დირექტორი (58%) ან ადმინისტრაცია და პერსონალი (42%). თანამშრომლების უმრავლესობა (89%) მიიხნევს, რომ ანგარიშვალდებულნი არიან დირექტორის ან მისი მოადგილის წინაშე.

ცენტრს გააჩნია შინაგანი, გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა, რომელიც შედგება უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე პერსონალისაგან, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „პედ. საბჭოს“. ეს სტრუქტურა მსგავსია საბჭოთა კავშირის დროს სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში არსებული სისტემისა. თანამშრომლების რეგულარული შეხვედრები/კრებები ტარდება თვეში ერთხელ. ამ კრებების დროს განიხილება ცენტრის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები („ადმინისტრაციული საკითხები“) და „ბავშვებისა და თანამშრომლების ის მწვავე პრობლემები, რომლებიც აქამდე დაგროვდა“. რამდენიმე თანამშრომელმა ახსენა, რომ ზოგჯერ ბავშვებიც მონაწილეობენ ამ შეხვედრებში. შეხვედრების ოქმის ჩაწერა არა ხდება.

პერსონალის კმაყოფილება ცენტრის ამჟამინდელი მენეჯმენტით: ცენტრის თანამშრომლების 63% ცენტრის ამჟამინდელ მენეჯმენტს აფასებს, როგორც კარგს, ხოლო 37% აცხადებს, რომ ის „არც კარგია, არც ცუდი“. თანამშრომლების მხოლოდ 16%-მა დაასახელა მენეჯმენტი ცენტრის უმთავრეს პრობლემებს შორის.

2.5 ფინანსები და აქტივები

შენობის მფლობელობა: დირექტორის განცხადებით, ცენტრის შენობა ქალაქის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და ცენტრს სარგებლობაში გადაეცა უზურფრუქტის საფუძველზე.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ცენტრის ბიუჯეტი: 2007 წლის იანვრამდე ცენტრს აფინანსებდა თბილისის მერია, მას შემდეგ კი ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან ფინანსდება. ცენტრი დაფინანსების გარკვეულ ნაწილს გარეშე დონორებისგან იღებს, მაგალითად შვიცარიული “Foundation Jonas”-იდან (მუსიკალური განათლება), ელიზაბეტ გასტის ფონდისგან (გერმანია) არტ თერაპიისათვის, მოზრდილი ბენეფიციარებისათვის პროფესიული განათლებისა და ცენტრის ნაწილობრივი რემონტისათვის.

ცენტრის 2007 წლის ბიუჯეტი 189.900 ლარს შეადგენს. ეს თანხა გულისხმობს შემდეგს:

- მიმდინარე ხარჯები (96.6%):
 - ხელფასი – 33.5%
 - კვება – 29%
 - კომუნალური ხარჯები – 20%
 - რბილი ინვენტარი და უნიფორმა – 5%
 - საოფისე ხარჯები – 4.7%
 - სხვა ხარჯები – 2.3%
 - ტრანსპორტის ხარჯები (საწვავი და შეკეთება) – 1.8%
 - სამედიცინო ხარჯები – 0.8%

- კაპიტალური ხარჯები (3.4%)

კაპიტალური ხარჯები მოიცავს ტექნიკის, ტრანსპორტისა და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენისა და რემონტის ხარჯებს. ბიუჯეტის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული ბავშვებისათვის განკუთვნილი რაიმე სერვისის გარდა საბაზისო სერვისებისა.

მატერიალური შემოწირულობები: ბოლო ორი წლის განმავლობაში ცენტრს რძის პროდუქტებით ამარაგებს „ეკოფუდი“. დროგამოშვებით ცენტრი იღებს შემოწირულობას ტანსაცმლის სახითაც. ცენტრი ასევე სარგებლობდა დონორების მხარდაჭერით, მაგალითად მათი ხელშეწყობით მოხდა სამკერვალო ოთახის აღჭურვა (დიდი ბრიტანეთის საელჩო), საწოლებისა და ლოგინის თეთრეულის შექმნა (იტალიის საელჩო) და სხვა. ცენტრს აქვს თანხების მოძიების გამოცდილებაც. ცენტრს ხანგრძლივი პარტნიორობა აკავშირებს ასევე მსოფლიო სასურსათო პროგრამასთან, რომელიც ცენტრს საკვები პროდუქტებით (ზეთი, ფქვილი და ლობიო) ამარაგებს. ბავშვები დადიან კერძო სკოლაში და კოლეჯებში, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციამ ცენტრისათვის გადასახადი გააუქმა.

ხარჯები: ცენტრის დანახარჯები კარგად არის დოკუმენტირებული. ბიუჯეტის ამჟამინდელი სტრუქტურიდან გამომდინარე შეუძლებელია თითოეულ ბავშვზე ან აქტივობაზე დახარჯული თანხის გამოთვლა. ერთადერთ გამონაკლისს საბაზისო სერვისები წარმოადგენს.

ხელფასებისა და სოციალური გადასახადებისათვის გაწერილი თანხა (ყველაზე მსხვილი პუნქტი ბიუჯეტში) შეადგენს 63.600 ლარს. ცენტრიდან მიღებული საშტატო განრიგის მიხედვით, რეალურად ხელფასებზე იხარჯება თვეში 4.315 ლარი (წელიწადში 51.780 ხელფასზე და 10.356 სოციალურ გადასახადზე, რაც ჯამში 62.136 ლარს შეადგენს), რაც ოდნავ მცირეა, ვიდრე ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა.

ბიუჯეტში კვებისათვის ჩადებული თანხა საკმარისია 51 ბავშვისათვის დღეში 3 ლარის გათვალისწინებით. რამდენადაც ცენტრის ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა დღეში საშუალოდ 40-ს არ აღემატება და ცენტრი საკვები პროდუქტების რეგულარულ შემოწირულობასაც იღებს, სავარაუდოა, რომ კვებაზე ცენტრის რეალური დანახარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულთან შედარებით წელიწადში დაახლოებით 10.000 ლარით ნაკლები იქნება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ფინანსური დოკუმენტაცია: ცენტრში არსებობს ყველანაირი ფინანსური დოკუმენტაცია და არსებობს ასევე თანამშრომელი, რომელიც აღრიცხვასა და ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს.

თანამშრომლების კმაყოფილება ცენტრის ფინანსური მდგომარეობით: კითხვარების შევსებისას მხოლოდ ორმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ ცენტრს საკმარისი ფინანსები გააჩნია. თანამშრომლების ნახევარმა ფინანსური პრობლემები ცენტრის ძირითად პრობლემებს შორის დაასახელა. პერსონალის აზრით, დაფინანსების ნაკლებობას ყველაზე მეტად განიცდის ხელფასი და შენობის სარემონტო სამუშაოები. სხვა საჭიროებებია: საწოლის თეთრეული, პირსახოცები, ტანსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები გოგონებისათვის, სახელმძღვანელოები ბავშვებისათვის და ავეჯი.

2.6 ფიზიკური გარემო

ცენტრის ფართობი და ფართობის გადანაწილება: ცენტრში ვერავინ უპასუხა კითხვას ცენტრის ფართობის შესახებ. თანამშრომლების თანახმად, ცენტრს შესაბამისი დოკუმენტებიც არ აქვს. ცენტრი შედგება შემდეგი დანიშნულების ოთახებისაგან:

- საძინებლები – 7
- სააბაზანო ოთახები - 2 (12 საშხაპით)
- ტუალეტები – 2 - ბავშვებისათვის და 1 - პერსონალისთვის
- ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები – 6
- აქტოვობის ოთახები – 6
- სამზარეულო - 1
- სასადილო – 1
- სამრეცხაო – 1
- სათავსოები – 2 (საკეებისა და ტანსაცმლისათვის)

2001 წელს მიწისძვრის შედეგად შენობის ნაწილი სერიოზულად დაზიანდა, კრიტიკულ მდგომარეობაშია და ამჟამად არ გამოიყენება. ცენტრს აქვს მცირე ეზოც. თანამშრომლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ფართობის სიმცირის გამო, მაგალითად ცალკე სასწავლო ოთახის არარსებობის გამო („ჩვენ ამისათვის სასადილოს ვიყენებთ“).

სანიტარული და უსაფრთხოების პირობები: ბოლო წლების განმავლობაში კერძო და კორპორატიული დონორების ხელშეწყობით ცენტრში ჩატარდა გარკვეული სარემონტო სამუშაოები (სახურავის შეკეთება, აბაზანებისა და ტუალეტების შეკეთება, სპორტული მოედნის მოწყობა, სასადილო ოთახის განახლება და აღჭურვა, საძინებელი ოთახები და საცეკვაო ოთახი, გათბობის სისტემა და ელექტროგაყვანილობის შეცვლა). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცენტრის ძირითადი შენობა ნაწილობრივ სტრუქტურულად არამყარია. როგორც აცხადებენ, ჩატარდა ცენტრის შენობის შეფასება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია.

ცენტრს არ გააჩნია სანიტარული ინსპექციის შემოწმების საბუთები, რადგან საქართველოში არ არსებობს უწყება, რომელიც ასეთ ინსპექციებს ჩატარებდა. ცენტრს ხელშეკრულება აქვს დადებული კერძო კომპანიასთან, რომელიც ცენტრში დეზინფექციას აკეთებს. თანამშრომლებმა ვერ დაასახელეს, თუ რა სიხშირით ტარდება დეზინფექცია.

ცხელი წყალი მოდის მხოლოდ სამზარეულოში, ტუალეტში მხოლოდ ცივი წყალია. ტუალეტები შესაკეთებელია და ჭუჭყიანია. საშხაპეები განლაგებულია ძირითადი შენობის გარეთ, ცალკე შენობაში, რომელიც შემოწმების დროს ჩაკეტილი იყო და დაკვირვებლებმა მათი მდგომარეობა ვერ შეაფასეს. ტუალეტებში არ იყო საპონი,

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

პირსახოცები და ტუალეტის ქაღალდი. ცენტრს აქვს მუშა მდგომარეობაში მყოფი სარეცხის მანქანები, მაგრამ არ არსებობს ადგილი, სადაც ბავშვები საკუთარი ტანსაცმლის გარეცხვას შეძლებდნენ.

სამზარეულო სუფთაა და ადჭურვილია მაცივრებით; არის ასევე საკვების შენახვისათვის გათვალისწინებული სათავსოც. ყოველდღიურ მენიუს აღგენენ ექიმი და ექთან-დიეტოლოგი. ბავშვებს უფლება აქვთ, თვითონ გაიმზადონ საკვები და დროდადრო ასეც იქცევიან.

ცენტრს აქვს გაზზე მომუშავე გათბობის სისტემა, მაგრამ შემოწმების დროს ის გამორთული იყო და დამკვირვებლებმა ვერ შეაფასეს, საკმარისად ათბობს თუ არა ის შენობას. როგორც ცენტრში გვითხრეს, ელექტროენერგია მათ სტაბილურად მიეწოდებათ, მაგრამ ელექტროგაყვანილობა არ არის უსაფრთხო, ბევრი ჩამრთველი ან გატეხილია, ან საერთოდ არ არის და კედლებიდან რამდენიმე ადგილას გამოშვებულია ელექტროსადენები.

ვენტილაცია ცენტრის სერიოზულ პრობლემაა – ბავშვების საწოლი ოთახების ფანჯრები დერეფანში გადის და არა გარეთ.

ცენტრს არ აქვს გამოყოფილი ცალკე ოთახი ავადმყოფი და ახლად შემოსული ბავშვებისათვის, თუმცა ამისათვის საკმარისი ფართობი არსებობს. თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ექიმის ოთახის ინვენტარი არაადაქმაყოფილებულია და წყალი არ მოდის.

დასაძინებელი პირობები: საძინებელ ოთახებში 6-7 ბავშვს სძინავს; ოთახები დიდია და გადატვირთული არაა. ოთახებში არის აუცილებელი ავეჯი, მაგრამ ზოგიერთი ნივთი დაზიანებულია. გოგონებისა და ბიჭებისათვის ცალკე საძინებელი ოთახებია გამოყოფილი და მცირე ასაკის ბავშვებიც განცალკევებულნი არიან უფროსებისაგან. თითოეულ ბავშვს აქვს ცალკე საწოლი ბალიშით, ლეიბით, ზეწართა და საბნით. აღმზრდელებს ცალკე საძინებელი ოთახები არ აქვთ. ღამით მამაკაცი აღმზრდელი ბიჭების ოთახში რჩება, ხოლო ქალი აღმზრდელი – გოგონების ოთახში. ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში, ღამით ცენტრში რჩება ექთანიც.

თანამშრომლებმა განაცხადეს საძინებელ ოთახებში ავეჯის (მაგიდები, სკამები და კარადები) ნაკლებობის შესახებ და აღნიშნეს, რომ საჭიროა ახალი ლეიბების შექმნა („ბავშვებს ენურეზი აქვთ და ლეიბები მალე უვარგისი ხდება“).

ბუნეფიციარი ბავშვების პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვა: ყველა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ თუ ბავშვს მარტო დარჩენა მოუნდა, ცენტრში მოიძებნება შესაბამისი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. როგორც წესი, ასეთი ოთახი ბავშვის საძინებელი ოთახი ან სამასწავლებლოა. ბავშვებს პირადი ნივთების შენახვა საკუთარ ოთახებში, კარადებში შეუძლიათ. კარადები არ იკეტება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

3. „სათნობა“

3.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები

სამიზნე ჯგუფი და ბავშვების მიღება: ცენტრის წესდებაში მითითებულია მხოლოდ სამიზნე ჯგუფის ასაკი (5-13 წელი). თანამშრომლების თანახმად, ცენტრის ძირითად

„ბავშვი მოიყვანა ბებიამ, რადგან ბავშვის დედა პერიოდულად მიდიოდა სახლიდან; მამა არ იცოდა სად არის. ბებია ავადმყოფია და უჭირს ბავშვის დამოუკიდებლად აღზრდა.“

„დედა თურქეთშია, მამა გარდაიცვალა. დედამ სახლი გაყიდა და ბავშვები ბებიას დაუტოვა. ბებია წავიდა უკრაინაში და ბავშვები ბებიის დასთან დარჩნენ, რომელმაც უსახსრობის გამო ჩააბარა ბავშვები.“

- ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან და მშობლის სათანადო მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. შემთხვევითად არჩეული ბავშვების პირადი საქმეების გადამოწმებისას არც ერთი ქუჩის ბავშვი არ გამოვლინდა. პერსონალის 92% აცხადებდა, რომ ბენეფიციარი ბავშვები თბილისიდან არიან, და უმეტესობა – იგივე უბნიდან, სადაც ცენტრი მდებარეობს, თუმცა ინდივიდუალურ ინტერვიუებში მათ ბავშვების საცხოვრებელი ადგილის შესახებ არაერთგვაროვანი პასუხები გავცეს. ამ მონაცემების გადასამოწმებლად და დასაზუსტებლად დამატებითი კვლევა საჭირო.

ცენტრის ბენეფიციარების ასაკი სამიზნე ჯგუფის შესაბამისია; ცენტრში მხოლოდ ერთი 4 წლის ბავშვი იყო. პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე, უდიდესი ასაკობრივი ჯგუფია 6-12 წლის ბავშვები (ბენეფიციართა 82%), ამას მოსდევს 12-14 წლის ბავშვები (10%) და 6 წელზე მცირე ასაკის ბავშვები (8%). ოჯახებთან ფოკუს

ჯგუფის დროს პრობლემებს შორის ნახსენები იყო ის, რომ ცენტრი არ იღებს მცირეწლოვან ბავშვებს, რის გამოც და-ძმის დაშორება ხდება. ბავშვების სიები აჩვენებს, რომ 2006 წლის იანვრის შემდეგ ცენტრს ბენეფიციარების სტაბილური რაოდენობა (56) ჰყავს ყოველდღიურად და ყოველთვიურად.

ბავშვების პირად საქმეებში მითითებულია მომართვის წყარო. თანამშრომლების განცხადების თანახმად, მომართვას ყველაზე ხშირად აწარმოებენ სხვა ნათესავები (რესპონდენტების 100%-ის აზრით), და მშობლები (რესპონდენტების 83%). შემთხვევითად შერჩეული ბავშვების პირადი საქმეებიც აჩვენებს, რომ სხვა ინსტრუქციებიდან ბავშვების გამოგზავნის იშვიათი შემთხვევებიც არსებობს. ერთი თანამშრომლის ბავშვი დადის ცენტრში და ესწრება აქტივობებს.

ცენტრს არ აქვს მიღების ფორმალური კრიტერიუმები. ადრე, თუ ცენტრში თავისუფალი ადგილი იყო, ხდებოდა ადგილობრივი გამგეობის არასრულწლოვანთა კომისიის ინფორმირება, რომელიც მშობელს ცენტრში აგზავნიდა. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანთა კომისიამ არსებობა შეწყვიტა, ცენტრმა დაიწყო ბავშვების მიღება მშობლებისაგან მიღებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე. ამჟამად თანამშრომლებს არ აქვთ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ბავშვის ცენტრში დარჩენის შესახებ. ცენტრის პერსონალი მუშაობს ბავშვისა და ოჯახის სიტუაციის შეფასებაზე. თანამშრომლების თანახმად, ბავშვების მიღება ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე (მნიშვნელოვნების მიხედვით): მშობლის მზრუნველობას მოკლებულობა, ღარიბი/მრავალშვილიანი ოჯახები და ბავშვების „კარგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა“. როგორც დირექტორმა განაცხადა, „ეს („სათნობა“) არის ცენტრი ჯანმრთელი ბავშვებისათვის“. თანამშრომლების უმრავლესობა ასევე

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“

ფიქრობს, რომ დირექტორი არის გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, თანამშრომლების 40%-მა კი განაცხადა, რომ გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობა.

პრობლემების/საჭიროებების შეფასება: როდესაც ბავშვი ცენტრში შემოდის, მას პირველად ხვდება ამისათვის განკუთვნილი პერსონალი („ბავშვი თავდაპირველად ესაუბრება დირექტორსა და ფსიქოლოგს და შემდეგ მას ექიმი სინჯავს“). შემდეგ ბავშვს გზავნიან აღმზრდელთან („ათავსებენ ჯგუფში“) და ოჯახის წევრებს სთხოვენ, ცენტრში მოიტანონ ბავშვის საბუთები. შემდეგ ფსიქოლოგი აფასებს ბავშვის პრობლემებსა და უნარებს. ასევე მოწმდება ოჯახური სიტუაცია. რამდენიმე თანამშრომლის განცხადებით, ეს საწყისი პროცესი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში გრძელდება. ყველაზე უფრო მწვავე პრობლემებს შორის თანამშრომლებმა დაასახელეს სიღარიბე, მშობლის მზრუნველობის ნაკლებობა და ოჯახის უსახლკარობა. ასევე ნახსენები იყო ოჯახური ძალადობისა და მშობლების გაშორების შემთხვევები. ოჯახის წევრებმა და ბავშვებმა ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკურ ფაქტორებზე უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შორის. ოჯახის წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ზოგიერთი მშობელი ბავშვს იმიტომ ტოვებს, რომ „არ უნდათ (ბავშვები)“. რეპოსნდენტებს არ დაუსახელებიათ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვების პირად საქმეებში არ არის დაფიქსირებული მათი პრობლემები და საჭიროებები.

„მათ (ბავშვებს) მშობლის სითბო აკლიათ. შეიძლება შესაძლებლობა არ ქონდეთ მშობლებს, მაგრამ მოვიდნენ, გვნახონ, მოგვეფერონ. საკუთარი ოჯახი აკლიათ“.
- ფოკუს ჯგუფი ბავშვებთან

„ბავშვებს და აღმზრდელებს ძალიან კარგი ურთოვერობა აქვთ, მაგრამ ბავშვებისათვის ოჯახი მაინც უფრო მნიშვნელოვანია.“
- ინდივიდუალური ინტერვიუ თანამშრომელთან

ბენეფიციართა შესახებ ჩანაწერები: თითოეული ბავშვისათვის არსებობს პირადი საქმე, რომელიც შეიცავს შემდეგ დოკუმენტებს: დაბადების მოწმობა, არასრულწლოვანთა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის ცენტრში ჩარიცხვის შესახებ, დირექტორის ბრძანება ბავშვის მიღების შესახებ (გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე) და ბავშვის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. რადგან გამგეობა პასუხისმგებელი აღარ არის ბავშვების მიღებაზე, ცენტრი მშობლებს სთხოვს, დაწერონ განცხადება ბავშვების მიღების თხოვნით, სადაც ასევე აღწერილი იქნება ოჯახის მდგომარეობა. ცენტრში არ არის შემთხვევის მართვის სისტემა.

ცენტრში დარჩენის მაქსიმალური ვადა: ცენტრი არ აკონკრეტებს, თუ როგორია ბენეფიციარების ცენტრში დარჩენის მაქსიმალური ვადა, გარდა ზედა ასაკობრივი ზღვარის დაწესებისა. თანამშრომლები ფიქრობენ, რომ ბავშვების ცენტრში დარჩენის მაქსიმალური დასაშვები ვადაა 8 წელი (რეპონდენტების 64%-ის აზრით), 6-7 წელი (27%) და სანამ ბავშვი ზედა ასაკობრივ ზღვარს მიაღწევს (9%). ბავშვების ცენტრში დარჩენის რეალურ ვადასთან დაკავშირებით თანამშრომლებმა იგივე რიცხვები დაასახელეს (თითოეული – თანამშრომლების 33%-მა). ბევრი ბავშვი ცენტრში 5-დან 13 წლამდე, მთელი დასაშვები პერიოდის განმავლობაში რჩება და თანამშრომლები ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებენ ასაკობრივ ზღვარსა და ცენტრში დარჩენის მაქსიმალურ დასაშვებ ხანგრძლივობას.

ცენტრიდან გაწერა: ცენტრს, ზედა ასაკობრივი ზღვარის გარდა, არ აქვს გაწერის ფორმალური კრიტერიუმები. თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ბავშვები ცენტრიდან მიდიან, არის ასაკი (ზედა ასაკობრივი ზღვარი) და მისი სხვა ინსტრუქციაში გადაყვანა. ცენტრში არ არსებობს იმ ბავშვების სია, რომლებიც სხვა ინსტიტუტებში იყვენენ გადაზავნილი, მაგრამ მათი პირად საქმეებში კეთდება ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რატომ შეწყვიტა ბავშვმა სერვისით

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

სარგებლობა. თანამშრომლების 67%-მა ახსენა ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაცია „ოჯახური სიტუაციის გაუმჯობესების შემდეგ“, მაგრამ აღნიშნული იყო, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია. ყველა თანამშრომელმა დაადასტურა, რომ არ მომხდარა არც ერთი ბავშვის გაშვილობილება. ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს – ცენტრის ბავშვები მცირე ასაკის არიან და შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი მშვილობელი ოჯახების პოვნა. ყველა თანამშრომელი მიიჩნევს, რომ გაწერის შესახებ გადაწყვეტილებებს დირექტორი იღებს.

შემდგომი მეთვალყურეობა: პერსონალმა განაცხადა, რომ ცენტრიდან წასული ბავშვების შემდგომი მეთვალყურეობა ხდება ექვს თვეში ერთხელ (თანამშრომლების 55%), წელიწადში ერთხელ (27%) და თვეში ერთხელ (18%). რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ შემდგომი მეთვალყურეობა არ ხდება. ორი შესაძლო გამოსავალი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ცენტრიდან მიდიან, არის სხვა ინსტიტუტებში გადაყვანა და ოჯახში რეინტეგრაცია. ინსტიტუტში გადაყვანის შემთხვევაში მეთვალყურეობა საჭიროდ არ ითვლება. ოჯახის რეინტეგრაციის შედარებით იშვიათ შემთხვევებში თანამშრომლების აზრი შემდგომი მეთვალყურეობის წარმოებასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი იყო: უმრავლესობამ განაცხადა, რომ მეთვალყურეობა არ ხდება, მაგრამ ნაწილი განსხვავებული აზრის იყო („მეთვალყურეობა იშვიათად ხდება და ამის მიზეზი ისაა, რომ ოჯახებს არ მოსწონთ, როცა თანამშრომლები მათთან მიდიან. თუმცა ისინი ცდილობენ მონიტორინგი 3 თვეში ერთხელ განახორციელონ“; მონიტორინგი წელიწადში 4-ჯერ ტარდება. აკვირდებიან, დადის თუ არა ბავშვი სკოლაში, როგორ ეგუება ოჯახს“).

3.2 ცენტრის მომსახურება

მიზნები და ინდიკატორები: ცენტრის წესდებაში დასახელებული მთავარი მიზნებია განათლება და საზოგადოებაში ინტეგრირება, ძირითადი მომსახურების მიწოდება (საცხოვრებელი, კვება, ტანსაცმელი, ჰიგიენა და სამედიცინო დახმარება) და ფსიქო-სოციალური დახმარება. არ არსებობს ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც შემოწმდებოდა ცენტრის მიზნების შესრულება. თანამშრომლების თანახმად, ცენტრის მუშაობის ძირითადი მიზნებია (მნიშვნელოვნების მიხედვით): განათლება, ოჯახური გარემოს შექმნა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, ჯანდაცვა, ბავშვებისათვის მორალური პრინციპების/პატრიოტიზმის სწავლება. პერსონალის 92% მიიჩნევდა, რომ ეს მიზნები სრულდება.

ცენტრის აქტივობები: ცენტრს აქვს აქტივობების სია და ყოველდღიური განრიგი, რომელიც კედლებზეც არის გაკრული. ცენტრში არ არსებობს ამ აქტივობების წერილობითი აღწერა (პროგრამა ან კურიკულუმი), მაგრამ ცენტრის გარემო ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სამუშაო ძალიან სისტემატიზირებულად და სტრუქტურირებულად სრულდება.

ცენტრი ბავშვებს 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს საბაზისო სერვისებით, ოთხჯერადი კვებით, ტანსაცმლითა და საბაზისო სამედიცინო მომსახურებით. დამატებითი მკურნალობისათვის ბავშვებს აგზავნიან სახელმწიფო კლინიკებსა და საავადმყოფოებში. ასოციაცია „გენეზისი“ მუდმივ სამედიცინო დახმარებას უწევს ცენტრის ბენეფიციარებს.

ბავშვებისათვის რეზიდენტული ტიპის მზრუნველობა ორგანიზებულია „საოჯახო ერთეულების“ ფორმით; ცენტრში სულ სამი ასეთი ერთეული არსებობს. თანამშრომლებმა ვერ შეძლეს, ფართობის ფიზიკური ორგანიზაციისა და პერსონალსა და ბავშვებს შორის თბილი და მზრუნველი ურთიერთობების გარდა სხვა მახასიათებლებითაც დაეხასიათებინათ საოჯახო ტიპის რეზიდენტული მზრუნველობა.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

სკოლამდელი ასაკის ბავშვები სწავლობენ ლექსებს, ასოების ცნობასა და თვლას, თამაშობენ და უტარდებთ მუსიკის გაკვეთილები. მათ აქვთ „საბავშვო ბაღის გამოსაშვები კლასის პროგრამის ეკვივალენტური“ პროგრამა. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი დადის ახლომდებარე სკოლაში. მათ სკოლამდე და უკან, ცენტრისაკენ, აცილებს აღმზრდელი. სკოლა ცენტრიდან 30 მეტრის მოშორებით მდებარეობს. მასწავლებლები ბავშვებს საშინაო დავალების მომზადებაში ესმარებიან. გარდა ამისა, ბავშვებს აქვთ მრავალფეროვანი სკოლის შემგომი აქტივობები, მათ შორის ხელოვნება და ხელგარჯილობა, ცეკვა და სიმღერა, თამაშები და სპორტი, ჭრა-კერვა, სამოდელიო ჩვენებები, წარმოდგენები და კონცერტები. ხდება ასევე დაბადების დღეების, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება. ცენტრში ფსიქო-სოციალური დახმარება განისაზღვრება, როგორც „ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან და ღირეპტორთან ინდივიდუალური საუბრები“. ცენტრი ასევე დიდ ყურადღებას ამახვილებს რელიგიურ განათლებაზე.

რაც შეეხება ბავშვებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების სწავლებას, ყველა თანამშრომელმა დაასახელა პირადი ჰიგიენა, რეცხვა და დალაგება. 30%-მა დაასახელა საკუთარი ფულის განკარგვა, 17%-მა – ბავშვებისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის სწავლება, ხოლო 8%-მა კი საჭმლის მომზადება. ერთმა თანამშრომელმა გამოთქვა „ოჯახურთან უფრო მიახლოებული ატმოსფეროს შექმნის“ სურვილი, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, გულისხმობს თუ არა ეს ბავშვებისათვის უფრო მეტი დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების სწავლებას. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწონთ, როცა „მასწავლებლებს დასუფთავებასა და საჭმლის მომზადებაში ესმარებიან“.

„მშობლები მოდიან ცენტრში და ესაუბრებიან ღირეპტორს და მასწავლებლებს. თანამშრომლები თვითონ არ ნახულობენ (ოჯახებს). ცოტა (ბავშვი) ბრუნდება (ოჯახში) – თუ ოჯახს ეკონომიურად აღარ უჭირს, თვითონ მიჰყავთ.“
 - ინდივიდუალური ინტერვიუ თანამშრომელთან

ოჯახებთან მუშაობა: ზოგიერთი თანამშრომლის ინფორმაციით, ბავშვების 80%-ს ჰყავს ოჯახები. ეს აღმოჩენა დამატებით შესწავლას საჭიროებს, რადგან თანამშრომლებმა არაერთგვაროვანი ინფორმაცია მოგვაწოდეს. თანამშრომლებმა ოჯახებთან მუშაობის შემდეგი მეთოდები დაასახელეს: ინდივიდუალური საუბრები, ვიზიტები და სატელეფონო საუბრები, მშობლების ინფორმირება ბავშვების წარმატებისა და პრობლემების შესახებ, რჩევის მიცემა.

თანამშრომლების მიერ შევსებული კითხვარებიდან

„ზოგიერთი (მშობელი) მოდის. ესაუბრება ღირეპტორს, აღმზრდელს და ფსიქოლოგს. (თანამშრომლები) ტელეფონით უკავშირდებიან, თუ საქმე აქვთ ბავშვთან დაკავშირებით. ოჯახების პრობლემებია: ღლით დედა, დანგრეული ოჯახი, უკიდურესი გაჭირვება. თუ მშობელს სურს, მიჰყავს ბავშვი. თვითონ ცენტრი არ მუშაობს რეინტეგრაციისათვის. (ოჯახებს) არ ამოწმებენ. არ მახსოვს, რამდენი ბავშვი დაბრუნდა ოჯახში.“
 - ინდივიდუალური ინტერვიუ თანამშრომელთან

გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები ოჯახებს უკავშირებიან თვეში ერთხელ (65%), ექვს თვეში ერთხელ (21%) ან საერთოდ არ უკავშირდებიან ოჯახებს (14%). სამუშაო არ არის სისტემატიზირებული ან სტრუქტურირებული (მაგალითად, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ოჯახებთან მუშაობის შესახებ კითხვას ამგვარად უპასუხა: „მშობლები თვითონ მოდიან. ისინი მოდიან, როდესაც ბავშვები ავად არიან, ან შაბათ-კვირას. თუ სახლში არიან, თანამშრომელს შეუძლია ესტუმროს მათ“). გარდა ამისა, მშობლებმაც განსხვავებული პასუხები გასცეს კითხვას თანამშრომლების მათთან სტუმრობის სიხშირის შესახებ, მათ შორის: „არასოდეს“, „პრობლემის შემთხვევაში“ და „თვეში ერთხელ“. თანამშრომლების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ოჯახებთან მუშაობაზე

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

პასუხისმგებელია სოციალური მუშაკი, მაგრამ ხშირად იყენებს დასახელებული
დირექტორი და აღმზრდელებიც.

ოჯახის წევრებმაც და ბავშვებმაც აღნიშნეს, რომ ბავშვისა და ოჯახის კონტაქტების
სისშირე სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა („ზოგი ბავშვი სახლში მიდის შაბათ-
კვირას. ზოგ მშობლეს არ შეუძლია ბავშვების სახლში წაყვანა, მაგრამ სასეირნოდ
მიჰყავთ. სხვები საერთოდ არ მიდიან. ზოგი ბავშვი ზაფხულში მიდის, ზოგი –
კვირაში ერთხელ“).

როგორც აცხადებენ, არიან მშობლები, რომლებიც შვილებს თითქმის ყოველდღე
აკითხავენ, და არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ აკითხავენ ბავშვებს.
როგორც ჩანს, ცენტრის ბენეფიციარებს შორის რამდენიმე ბავშვი მხლოდ დღისით
მოდის ცენტრში, ღამე კი სახლში ბრუნდება, მაგრამ დამატებითი კვლევა საჭირო ამ
აღმოჩენის დასადასტურებლად. ზოგადი მოსაზრება ასეთია, რომ ბავშვების
უმრავლესობას კონტაქტი აქვს საკუთარ ოჯახს და არიან ისეთი ბავშვები,
რომლებიც შაბათ-კვირასა და დღესასწაულებს/არდადეგებს ოჯახში ატარებენ.

ოჯახების ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლები მოხარულები იყვნენ, რომ ცენტრი მათ
შვილებს განათლებისა და შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობას აძლევს.
ამავე დროს, მათ აღნიშნეს, რომ ბავშვებზე ზრუნვის გარდა, ცენტრი არაფერს
აკეთებს ოჯახური სიტუაციის გასაუმჯობესებლად („ცენტრში არაფერი ხდება ისეთი,
რაც ოჯახების პირობებს გააუმჯობესებდა“; „ყველაზე სასარგებლო რამ, რისი
გაკეთებაც ცენტრს შეუძლია, დასაქმება იქნებოდა“). ოჯახის წევრებმა განაცხადეს,
რომ „თუ ბავშვი მიტოვებული არ არის, ყველა მშობლელი წაიყვანს თავის ბავშვს,
თუ ფული ექნება“.

ბავშვების შემთხვევითად შერჩეულ პირად საქმეებში არ არსებობდა რაიმე ჩანაწერი
ოჯახებთან ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ცენტრში არ არსებობს
რეინტეგრირებული ბავშვების ცალკე სია, მაგრამ შესაძლებელი იქნებოდა გაწერილი
ბავშვების რაოდენობის გამოთვლა ბავშვების პირადი საქმეების მიხედვით.
თანამშრომლების განცხადებით, 2007 წელს ბავშვის ოჯახში რეინტეგრაციის
შემთხვევა არ ყოფილა.

ბავშვის უსაფრთხოება და დაცვა: ცენტრს არ აქვს შინაგანი პროცედურები ბავშვების
დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თანამშრომლებს არც ერთი
ცნება არ ესმით სათანადოდ, თუმცა მონდომებულები არიან, ბავშვის უსაფრთხოება
დაიცვან. აღმზრდელებმა განაცხადეს, რომ მათ ღამით არ სძინავთ და საკუთარი
საძინებელი ოთახიც არ აქვთ. ცენტრში არის ცალკე ოთახი ინფექციური დაავადების
მქონე ბავშვების იზოლირებისათვის. ცენტრის ყველა თანამშრომელი და ბავშვი
ერთსულოვნად აცხადებდა, რომ ბავშვის დაცვისა და უსაფრთხოების პრობლემა
ცენტრში არ არსებობს – მხოლოდ ერთმა მშობელმა განაცხადა, რომ ცენტრს „არ
აქვს საკმარისი თანხა იმისათვის, რომ ღობე გააკეთოს. ბავშვები იპარებიან, რაც
საშიშია. უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული“. ერთ-ერთმა თანამშრომელმაც
აღნიშნა კარგი ღობის არარსებობა, როგორც ერთადერთი პოტენციური საფრთხე,
რაც შეიძლება ბავშვებს ემუქრებოდეთ. მეორე სარისკო სიტუაცია, რამდენიმე
თანამშრომლის აზრით, არის სიტუაცია, როდესაც მშობელი ნასვამ მდგომარეობაში
მოდის ცენტრში და აგრესიულად იქცევა. ფიზიკური დასჯის შემთხვევები ნახსენები
არ ყოფილა. ბავშვებმა განაცხადეს, რომ „მასწავლებლები ხშირად არ ბრაზდებიან“
და „თუ ბავშვი ცუდად იქცევა, მასწავლებელი მას დაელაპარაკება, ყურს აუწევს და
კუთხეში დააყენებს“.

რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ბავშვების დაცვას საფრთხე რომ
ემუქრებოდეს, დირექტორს მიმართავდნენ. სხვებმა განაცხადეს, რომ თვითონვე

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

მიიღებდნენ საჭირო ზომებს („ვიგებ, ვინ არის დამნაშავე და ვსჯი, კუთხეში ვაყენებ“).
 რამდენიმეს აზრი იყო პოლიციაში დარეკვა და მხოლოდ ერთმა თანამშრომელმა
 ახსენა მშობლების ინფორმირება.

ბავშვების მონაწილეობა (ხართულობა): თანამშრომლების უმეტესობამ (83%)
 განაცხადა, რომ რეგულარულად იკვლევენ ბავშვების აზრს ცენტრის მომსახურების
 შესახებ და ამ მოსაზრებებს ცენტრის სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისათვის
 იყენებენ. ბავშვების აზრის შეგროვებისათვის, თანამშრომლების ინფორმაციით,
 ყველაზე ხშირად გამოიყენება ბავშვებთან სპეციალური შეხვედრები და მათთან
 ინდივიდუალური საუბრები. ბავშვებისაგან წერილობითი თანხმობის მიღება მხოლოდ
 ერთხელ იყო აღნიშნული, მაგრამ დადასტურებული არ ყოფილა. თანამშრომლების
 უმეტესობამ განაცხადა, რომ აღმზრდელები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები
 ყველაზე ხშირად არიან ჩართულები ბავშვების აზრის მოპოვებასა და დირექტორთან
 ერთად მათ განხილვაში. ბავშვების აზრის კვლევისა და ანალიზის პროცესი
 ფორმალურად სტრუქტურირებული არ არის. თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ
 ბავშვების აზრის გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვისას ხდება იმდენად,
 რამდენადაც ამის საშუალებას ფინანსური რესურსები იძლევა. მასწავლებლებმა
 აღნიშნეს, რომ ბავშვებს შეუძლიათ სურვილებითა და მოთხოვნებით მასწავლებლებს
 მიმართონ (ბავშვები ცენტრში ყველა თანამშრომელს „მასწავლებელს“ უწოდებენ,
 მიუხედავად მათი ფუნქციისა) და რომ თანამშრომლები ცდილობენ, მათი სურვილები
 გაითვალისწინონ, ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში („ბავშვების აზრი
 გათვალისწინებულია. თუ ეს უმრავლესობის სურვილია, აღმზრდელები ამას
 მაქსიმალურად ითვალისწინებენ, თუ შესაბამისი ფინანსები არსებობს“).

3.3 ადამიანური რესურსები

პერსონალის რაოდენობა: ცენტრში სულ 29 თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის 15
 უშუალოდ მონაწილეობს ბავშვებთან მუშაობაში.

	სრული განაკვეთი	ნახევარი განაკვეთი	მოხალისე
აღმზრდელი	10	-	-
ფსიქოლოგი	1	-	-
სოციალური მუშაკი	1	-	-
ექიმი	1	-	-
ადმინისტრაცია	3	-	-
დამხმარე პერსონალი	9	2	-
მასწავლებელი	1	-	-
ექთანი	1	-	-
ექთანი/ღამის ძიძა	1	-	-

თანამშრომლების საშუალო ასაკია 43 წელი, ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი 30
 წლისაა, ყველაზე უფროსი კი – 54 წლის.

თანამშრომლების სამსახურში მიღების პროცესი და პირადი საქმეები: ამჟამინდელ
 თანამშრომლებს შორის სამი ადამიანი 1998 წელს ცენტრის გახსნამდე მუშაობდა
 იმავე შენობაში განთავსებულ საბავშვო ბაღში და აქვე გააგრძელეს მუშაობა, როცა
 საბავშვო ბაღი გადაკეთდა 24-საათიან რეზიდენტული ტიპის დაწესებულებად.
 თვითონ დირექტორი საბავშვო ბაღის გამგე იყო და მისი დახურვის შემდეგ,
 საკუთარი ინიციატივით დააარსა „სათნოება“. რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა,
 რომ ისინი პირადად დირექტორმა მიიღო სამსახურში. ცენტრში არ არსებობს
 თანამშრომლების მიღების რაიმე ფორმალური პროცედურა; პოტენციური
 თანამშრომლების შეფასება ხდება მათი ავტობიოგრაფიისა და დირექტორთან
 გასაუბრების საფუძველზე.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თითოეული თანამშრომლისათვის გახსნილია პირადი საქმე, რომელიც შეიცავს დიპლომის ასლს, ტრენინგის სერტიფიკატებს, სამუშაოს აღწერილობასა და განცხადებას სამსახურში მიღების შესახებ. სამუშაოს აღწერილობები მოცემულია ცენტრის წესდებაშიც.

პერსონალის განათლება და მომზადება: თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი განათლება და მათმა უმრავლესობამ (67%) განაცხადა, რომ გავლილი აქვთ სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები. თუმცა, როდესაც მათ დეტალების შესახებ ვკითხეთ, ვერ შეძლეს ჩამოეთვალათ ტრენინგის თემები, ხოლო რამდენიმემ განაცხადა, რომ ტრენინგი არ გაუვლია. თანამშრომლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ტრენინგი ესაჭიროება, თუმცა ვერ დაასახელეს, თუ კონკრეტულად რა თემაზე უნდათ ტრენინგი, ან ჩამოეთვალეს მათ სამუშაოსთან დაკავშირებული ძალიან ზოგადი და საბაზისო თემები (მაგალითად, ფსიქოლოგს უნდოდა ტრენინგი ფსიქო-დიაგნოსტიკაში). ცენტრს არ აქვს შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა. რადგან რეზიდენტული ტიპის დაწესებულებაში მუშაობა განსხვავებულ უნარებს მოითხოვს იმისაგან, რაც პერსონალს საბავშვო ბაღში სჭირდება, თანამშრომლების კვალიფიკაციის საკითხი ალბათ კიდევ ერთხელ, უფრო დეტალურად უნდა გადაისინჯოს.

პერსონალის სამუშაო საათები და პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობა: ღამით ცენტრში ყოველთვის იმყოფება სამი თანამშრომელი (ორი ღამის ძიძა და ერთი დარაჯი). დღის განმავლობაში, როცა ყველა თანამშრომელი სამსახურშია, პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობაა 1:4, ღამით კი - 1:19.

ყველა თანამშრომელი სრულ განაკვეთზე მუშაობს; ცენტრში არ არსებობს ტაბელების სისტემა, მაგრამ დღის აღმზრდელები აცხადებენ, რომ მუშაობენ დღეში 7 საათს/კვირაში 6 დღეს, სოციალური მუშაკი და ექიმი – დღეში 7 საათს/კვირაში 5 დღეს და მასწავლებლები – დღეში 6 საათს/კვირაში 6 დღეს. დღის აღმზრდელები 7-საათიანი გრაფიკით მუშაობენ (8:00-15:00 და 15:00-20:00), ხოლო ღამის ძიძები საღამოს 10 საათიდან დღის 8 საათამდე. ექთანი აცხადებს, რომ მუშაობს მაშინ, როცა საჭიროა.

როგორც დირექტორმა განაცხადა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ურჩია ცენტრს, აშკამინდელი თანამშრომლების რაოდენობა სოციალური მუშაკის თანამდებობის გაუქმების ხარჯზე შეემცირებინა და გაეზარდა დანარჩენი პერსონალის ხელფასი. განათლების სამინისტრო ამ განაწყვეტილებას ხსნის ცენტრის სოციალური მუშაკის დაბალი პროფესიული კვალიფიკაციით. რეკომენდებულია, რომ ცენტრს შტატში ჰყავდეს სოციალური მუშაკი.

გუნდური მუშაობა და სამუშაოთი კმაყოფილება: თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ ისინი კარგად მუშაობენ, როგორც გუნდი, თუმცა ბევრმა ასეთი გუნდური მუშაობა დაახასიათა, როგორც „არაფორმალური“. ყველა თანამშრომელმა ცენტრში მუშაობით ძლიერი კმაყოფილება გამოხატა. უკმაყოფილების ძირითადი ფაქტორი იყო დაბალი ხელფასი, რასაც მოჰყვებოდა პროფესიული ზრდის საშუალებების არქონა. თანამშრომლების 58%-მა განაცხადა, რომ აქვთ უსაფრთხოების განცდა ცენტრში დასაქმებასთან დაკავშირებით და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას.

3.4 ცენტრის მენეჯმენტი

ცენტრის იურიდიული სტატუსი: ცენტრი „სათნობა“ დაარსდა 1998 წელს ყოფილი ბავშვთა სახლის რეზიდენტული ტიპის დაწესებულებად გადაკეთების შემდეგ.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ამჯამად მისი სტატუსია საბიუჯეტო ორგანიზაცია. ცენტრის დირექტორს არ აქვს ინფორმაცია, იგეგმება თუ არა ამ სტატუსის შეცვლა.

მენეჯმენტის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: ცენტრს არ ჰყავს დირექტორთა საბჭო ან რაიმე ეკვივალენტური სტრუქტურა. თანამშრომლების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი აზრით, განაწვევტილებებს ცენტრის საქმიანობისა და ბენეფიციარების შესახებ დირექტორი იღებს.

თანამშრომლების შეხვედრები ტარდება თვეში ერთხელ. განიხილება ცენტრში ყოველდღიური საქმიანობის ის საკითხები, რაც წინა თვის შეხვედრის შემდეგ დაგროვდა. გარდა ამისა, ყოველ ოთხშაბათს დირექტორი აღმზრდელებთან კრებას ატარებს. განსახილველ თემებს შორის არ არის ბავშვების შემთხვევები. პერსონალი ერთობლივად არ მუშაობს ბავშვების შემთხვევებზე. არ ხდება შეხვედრებისა და კრებების ოქმის წარმოება.

დირექტორმა განაცხადა, რომ ცენტრის საქმიანობის გეგმას შეიმუშავებს აღმინისტრაცია (დირექტორი და მისი მოადგილე); დირექტორი აცხადებს: „არ ვსაჭიროებ (სხვების აზრს საქმიანობის დაგეგმვისას), ისე აზრს ვეკითხები“. რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ „ერთობლივი დაგეგმვა არაოფიციალურია.“

პერსონალის კმაყოფილება ცენტრის ამჟამინდელი მენეჯმენტით: გამოკითხული თანამშრომლების 55%-მა ცენტრის მენეჯმენტი დაახასიათა, როგორც კარგი, დანარჩენმა 45%-მა კი - როგორც „არც კარგი, არც ცუდი“. ინდივიდუალური ინტერვიუების დროს არც ერთ თანამშრომელს არ უპასუხია ამ კითხვაზე.

3.5 ფინანსები და აქტივები

შენიშვნის მფლობელობა: ცენტრის დირექტორმა განაცხადა, რომ შენობა ადგილობრივ გამგეობას ეკუთვნის, მაგრამ დარწმუნებული არ იყო და არც შესაბამისი დოკუმენტაცია გააჩნდა.

ცენტრის ბიუჯეტი: ბიუჯეტის სტრუქტურა ძალიან ზოგადია. ცენტრის ბიუჯეტი 2007 წლისათვის 187.000 ლარს შეადგენს. ეს თანხა მოიცავს შემდეგს:

- ხელფასი – 51.4%
- სხვა საქონელი და მომსახურება – 48.6%
 - კვება – 32.2%
 - კომუნალური ხარჯები – 11.6%
 - კაპიტალური ხარჯები – 1.6%
 - რბილი ინვენტარი და უნიფორმა – 1.1%
 - საოფისე ხარჯები – 1.1%
 - სხვა ხარჯები – 1.1%

კაპიტალური ხარჯები გულისხმობს ტექნიკის, ტრანსპორტისა და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენისა და რემონტის ხარჯებს.

ბიუჯეტის სტრუქტურის გამო შეუძლებელია მომსახურების ღირებულების გამოთვლა (ბავშვის და აქტივობის მიხედვით), გარდა კვებისა. ბიუჯეტი არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან პუნქტს სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით, გარდა საბაზისო მომსახურებისა.

მატერიალური შემოწირულობები: ცენტრს ჰყავს კერძო და კორპორატიული მხარდამჭერები, რომელთაგანაც ცენტრი მატერიალურ შემოწირულობას იღებს. მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში ცენტრი იღებს საკვები პროდუქტების რეგულარულ შემოწირულობებს (ძირითადად ზეთი, ფქვილი და ლობიო) მსოფლიო

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

სასურსათო პროგრამისაგან. საკვების შემოწირულობა მიღებული აქვთ ასევე UMCOR-ისაგან. ფონდი „სოკოსაგან“ ცენტრმა შემოწირულობის სახით მიიღო ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, სასკოლო მასალები, სარეცხის მანქანა, აკორდეონი, ფარდები, ლოგინის თეთრეული, სათამაშოები, ფოტოაპარატი და ფოტომასალები, ტელეფონი, სპორტული მასალები, სამზარეულოს მასალები, უთო და საყოფაცხოვრებო ნივთები. გარკვეული ფინანსური დახმარება იქნა მიღებული შენობის შეკეთებისათვის.

ხარჯები: ცენტრის უდიდესი დანახარჯი მოდის ხელფასზე, კვებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. კვებაზე გაწეული დანახარჯი შეესაბამება ბიუჯეტში ჩადებულ თანხას, თუ 56 ბავშვისათვის დღეში 3 ლარი იქნება გათვალისწინებული.

ფინანსური დოკუმენტაცია: ცენტრს აქვს ყველა ფინანსური დოკუმენტაცია. მზადდება ყოველთვიური ფინანსური ანგარიშები.

თანამშრომლების კმაყოფილება ცენტრის ფინანსური მდგომარეობით: ცენტრის ფინანსური მდგომარეობით კმაყოფილი იყო თანამშრომლების ნახევარზე ნაკლები. მათი უმრავლესობა უკმაყოფილო იყო დაბალი ხელფასით. კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემად იყო მიჩნეული ცენტრში სარემონტო სამუშაოების აუცილებლობა (ნახსენები იყო გადახურვა და კანალიზაციის სისტემა), თუმცა შეფასების გუნდის დაკვირვებით, შენობა კარგ მდგომარეობაშია.

3.6 ფიზიკური გარემო

ცენტრის ფართობი და ფართობის გადანაწილება: ცენტრის შენობა 1965 წელს არის აგებული, როგორც საბავშვო ბაღი 120 ბავშვისათვის. ერთსართულიანი შენობის საერთო ფართობია 797 კვ.მ.

<p><u>„საცხოვრებელი ერთეული“ (3)</u></p> <ul style="list-style-type: none"> - სააბაზანო ბავშვებისათვის – 1 - სააბაზანო – 1 (რამდენიმე საშხაპე) - ტუალეტი – 1 (რამდენიმე უნიტაზი ერთეული“ - შესასვლელი ოთახი, სადაც ბავშვები ფეხსაცმელს ტოვებენ - 1 - საგარდერობე ოთახი – 1 	} X3 „საცხოვრებელი“
<p><u>აქტივობის ოთახები</u></p> <ul style="list-style-type: none"> - საკლასო ოთახები- 3 - სამლოცველო– 1 	
<p><u>„ტექნიკური“ ოთახი</u></p> <ul style="list-style-type: none"> - სამზარეულო -1 - სასადილო -1 - სათავსოები (საკვები, თეთრეული და მარაგი) – 3 - სამრეცხაო - 1 	} 6 „ტექნიკური ოთახი“
<p><u>თანამშრომლების ოთახები</u></p> <ul style="list-style-type: none"> - იზოლატორი/ექიმის ოთახი - 1 - ფსიქოლოგის ოთახი - 1 - ბუღალტერია – 1 - დირექტორის ოთახი - 1 	

ცენტრს აქვს დიდი ეზო (2603 კვ.მ), ამგრამ პერსონალი აცხადებს, რომ ესაჭირობათ სპორტული დანიშნულების მოედნები (ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი).

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

სანიტარული და უსაფრთხოების პირობები: ცენტრის შენობა ზოგადად კარგ მდგომარეობაშია. თანამშრომლებმა აღნიშნეს სარემონტო სამუშაოების საჭიროების შესახებ, კონკრეტულად ნახსენები იყო გადახურვა და კანალიზაციის სისტემა.

ოთახები თბება ბუნებრივ აირზე მომუშავე სისტემით, რომელიც ჩართული იყო შემოწმების დროს და შენობას საკმარისად ათბობდა. ცენტრს მიეწოდება ელექტროენერგია და ელექტროგაყვანილობა კარგ მდგომარეობაშია. ჰოლანდიური ფონდის ხელშეწყობით ცოტა ხნის წინ დამონტაჟდა ცხელი წყლის სისტემა (წყლის დიდი ელექტროგამათბობელი); ცხელი წყალი მოდის სამზარეულოსა და ყველა სააბაზანოში. ყველა ტუალეტში არის საპონი, პირსახოცი და ტუალეტის ქაღალდი. ყველა ოთახს აქვს ფანჯარა, რაც შენობის სათანადოდ განიაგების საშუალებას იძლევა. ავადმყოფი ბავშვებისათვის არის ცალკე გამოყოფილი ოთახი.

საკვები ყველა ბავშვისათვის ერთად მზადდება. სამზარეულო და სასადილო ოთახი სუფთაა და არსებობს საკვების შესანახი შესაბამისი სათავსოებიც.

ცენტრი იყენებს ძველ სარეცხის მანქანებს. აქვთ ახალი სარეცხის მანქანებიც, რომლებიც დამონტაჟებული არ არის. დამკვირვებლებს ეს სარეცხის მანქანები არ უნახავთ.

დასაძინებელი პირობები: ცენტრში სამი საძინებელი ოთახია, თითოეულში 16-19 ბავშვით, რაც ძალიან ბევრია ოჯახური ტიპის დაწესებულებისათვის. საწოლები ძალიან მჭიდროდაა განლაგებული და ოთახი ამისათვის ძალიან პატარაა. თითოეულ საძინებელ ოთახს აქვს საკუთარი აბაზანა და ტუალეტი, კარადა და შესასვლელი ოთახი, სადაც ბავშვები ფეხსაცმელს ტოვებენ. ეს ყველაფერი შეადგენს „ოჯახურ ერთეულს“. აბაზანები ისეა მოწყობილი, რომ სქესების მიხედვით დაყოფის საშუალებას იძლევა, მაგრამ არა ასაკების მიხედვით. თითოეულ ბავშვს აქვს ცალკე საწოლი ბალიშით, ლეიბით, ზეწრითა და საბნით. ცენტრში იგივე საწოლებია, რაც საბავშვო ბაღში იყო და ძალიან პატარა ზომისაა უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. აღმზრდლებს, მათივე განცხადებით, ღამით არ სძინავთ და მათთვის ცენტრში არ არის დასაძინებელი ადგილი.

ბუნეფიციარი ბავშვების პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვა: ბავშვებს არ აქვთ პირადი ნივთების შესანახი ადგილი საძინებელში, მაგრამ საერთო ოთახში თითოეულ ბავშვს აქვს კარადა. თანამშრომლების უმრავლესობა თვლიდა, რომ ცენტრში არის ადგილი, სადაც ბავშვს განმარტოება შეუძლია, თუ ამას მონდომებს (ასეთი ადგილებია საძინებელი ოთახი და აქტივობის ოთახი). თუმცა, ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ „არ ვაძლევთ ამის საშუალებას, რადგან ათასი რამ შეიძლება მოხდეს. საშიშია, რა იცი, რა მოუვა აზრად. არასასურველია. არც არის ასეთი ტერიტორია (სადაც განმარტოება შეიძლება) არსად.“

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

4. „ლამპიონი“

4.1 ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები

მიღება: ცენტრის წესდება აკონკრეტებს მხოლოდ ბენეფიციარი ბავშვების სამიზნე ასაკობრივ ჯგუფს (4-დან 14 წლამდე ასაკის, თუმცა ცენტრს დაგეგმილი აქვს ზედა ზღვრის გაზრდა 16 წლამდე). დირექტორის თანახმად, ამჟამად ცენტრში ბავშვების 10% 6 წლის ან უფრო მცირე ასაკისაა, ბავშვების 67% 6-დან 12 წლამდე ასაკისაა, 10% - 12-დან 14 წლამდე ასაკის და 13% - 14-დან 18 წლამდე ასაკის. ხდება და-ძმის დაშორება, თუ ერთ-ერთი მათგანი ცენტრის სამიზნე ასაკობრივ ჯგუფში ვერ ხვდება (თუმცა თანამშრომლებს კარგად ესმით და-ძმის არდაშორების პრინციპი) - „თუ მათ პატარა ძმა ან და ჰყავთ, (ცენტრი) ელოდებან სანამ ისინი 6 წლის გახდებიან და შემდეგ ისინიც აქ მოჰყავს“ - ამბობს თანამშრომელი; „აქ ექვსი და-ძმაა. ბებიამ მოიყვანა აქ და 6 წლის განმავლობაში არ უნახავს“.

შემთხვევითად არჩეული ბავშვების პირადი საქმეების მიხედვით გამოვლინდა, რომ ყველაზე უფრო ტიპიური ბენეფიციართა ჯგუფებია: ობლები, მშობლის სათანადო მზრუნველობას მოკლებული და მიტოვებული ბავშვები. ნაპოვნი იყო ქუჩაში ცხოვრების ისტორიის მქონე ბავშვის მხოლოდ ერთი შემთხვევა. თანამშრომლების თანახმად, ცენტრი ემსახურება ბავშვებს ღარიბი ოჯახებიდან (რესპონდენტების 100%-ის აზრით), მშობლის სათანადო მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს (89%) და ობოლ ბავშვებს (83%). ცენტრის განმარტებით, ობლები არიან ის ბავშვები, რომელთაც არც ერთი მშობელი არ ჰყავთ, თუმცა შეიძლება ჰყავდეთ სხვა ნათესავები. თანამშრომლების უმრავლესობამ განაცხადა, რომ თითქმის ყველა ბენეფიციარი ბავშვი თბილისიდანაა და იგივე უბნიდან, სადაც ცენტრი მდებარეობს. ნახსენები იყო თანამშრომლების შეილების ცენტრში სიარულის ორი შემთხვევა.

წესდების თანახმად, ცენტრს არ შეუძლია ჰყავდეს 50 ბავშვზე მეტი. ცენტრი აწარმოებს ბავშვების ყოველდღიურ და ყოველთვიურ სიებს, რომელთა მიხედვითაც ბენეფიციარების რაოდენობაა დღეში 43 და თვეში 47. პერსონალის თანახმად, გასული წლის განმავლობაში ახალი ბავშვების მიღების ძალიან ცოტა შემთხვევა დაფიქსირდა.

ყველა ბავშვის პირადი საქმე მიუთითებს მომართვის წყაროს. მომართვის ყველაზე უფრო ხშირი წყარო, ბავშვების შემთხვევითად შერჩეული პირადი საქმეების მიხედვით, არის მარტოხელა დედებისა და მშობლების/ოჯახის წევრების მიერ წარმოებული მომართვა სიღარიბის გამო. თანამშრომლების გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ მშობლებისა და ნათესავების მიერ ბავშვის ცენტრში მოყვანა მართლაც ყველაზე ხშირი იყო.

„ერთხელ შემოაპარეს ეპილეფსიიანი ბავშვი, მაგრამ როცა გავიგეთ, გავრიცხეთ.“
- დირექტორი

ცენტრს აქვს ფორმალურად ჩამოყალიბებული მიღების კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს შემდეგი კატეგორიის ბავშვების მიღებას: ასოციალური ქცევის მქონე/რთული ბავშვები, ქუჩის ბავშვები, მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, ობლები და მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ ცენტრის ბენეფიციართა შორის მხოლოდ ბოლო სამი ჯგუფის

წარმომადგენლები არიან. ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ „რთული ბავშვები“, როგორც წესი, ცენტრში არ მიიღებიან და რომ მათი ბენეფიციარი ბავშვები „ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ჯანმრთელები“ არიან („ბავშვს არ ვიღებთ ჯანმრთელობის ცნობის გარეშე“). ბავშვებს იღებენ ოჯახის სიღარიბის გამო, ობლობის გამო და იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მრავალშვილიანი ოჯახიდანაა.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

პერსონალს მიაჩნია, რომ ბავშვების მიღების შესახებ გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს. რესპონდენტების 28%-მა აღნიშნა გამგეობის როლი ამ პროცესში, რესურს ცენტრი კი არავის უხსენებია. გაკეთებული იყო ერთი ასეთი განცხადება: „ადრე გამგეობა იღებდა გადაწყვეტილებებს, ახლა დირექტორს აქვს ეს უფლება, მაგრამ ის ჯერ ძალაში არ არის“. დირექტორს გააზრებული აქვს სახელმწიფო სამსახურების როლი (რომელიც ნახსენებია, როგორც „სოციალური საკითხების კომისია“) ბავშვების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე (ოჯახის პირველადი შეფასება და ბავშვის ცენტრში მოთავსება), მაგრამ თითქოს არ აქვს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს სახელმწიფო სოციალური მუშაკების სხვა ფუნქციები. მან განაცხადა, რომ „(2007 წლის) იანვრიდან განათლების სამინისტრო წყვეტს ბავშვების მიღებას“.

პრობლემების/საჭიროებების შეფასება: ბავშვების პირადი საქმეები არ შეიცავს ინფორმაციას მათი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. თანამშრომლების თანახმად, პრობლემებისა და საჭიროებების დადგენა ხდება ბავშვებთან ინტერვიუების შედეგად, რომელთაც ფსიქოლოგი, დირექტორი და აღმზრდელები ატარებენ. გარდა ამისა, სოციალური მუშაკი აგროვებს ინფორმაციას ბავშვის ოჯახური სიტუაციის შესახებ, რაც შემდეგ „განიხილება ცენტრში“. ყველაზე უფრო ხშირად ნახსენები იყო შემდეგი პრობლემები (მნიშვნელოვნების მიხედვით): ფსიქოსოციალური პრობლემები, პრობლემები ცენტრის დატოვების შემდეგ, ოჯახის ფინანსური სიტუაცია და ოჯახური მზრუნველობისა და სიტბოს ნაკლებობა.

ბენეფიციარების პირადი საქმეები: ცენტრი თითოეული ბავშვისათვის აწარმოებს პირად საქმეს, რომელიც შეიცავს შემდეგს: გამგეობის გადაწყვეტილებას ბავშვის ცენტრში მიღების შესახებ, დაბადების მოწმობას ან მის ასლს, ბავშვის ფოტოსურათს, ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობას (მათ შორის ცნობას იმის შესახებ, რომ ბავშვს ცენტრში შემოსვლისას რაიმე ინფექცია არ აღენიშნებოდა), ჩანაწერებს ოჯახური სიტუაციის შესახებ (მარტოხელა დედა, დაშორებული მშობლები და ა.შ.) და საცხოვრებელი პირობების შესახებ „სოციალური პირობების აქტს“, რომელსაც ადრე გამგეობის სოციალური მუშაკები ამზადებდნენ. ბავშვების ფსიქოლოგიური შეფასებები ცალკე ინახება.

ცენტრში დარჩენის მაქსიმალური ვადა: ცენტრს არ აქვს ბავშვების დარჩენის ხანგრძლივობის რაიმე შეზღუდვა გარდა ზედა ასაკობრივი ზღვარისა. თანამშრომლების მიხედვით, დარჩენის მაქსიმალური ნებადართული ვადა არის 10 წელი (რესპონდენტების 56%-ის აზრით), 11 წელი (22%) და 14 წელი (22%). თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ბავშვები ცენტრში ცხოვრობენ 10-11 წლის განმავლობაში (რესპონდენტების 44%-ის აზრით), 5-7 წლის განმავლობაში (39%) ან 5 წელზე ნაკლებს (17%). თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ სერვისის მიერ დაწესებული ასაკობრივი შეზღუდვები და ბენეფიციარების დარჩენის მაქსიმალური ვადა ერთი და იგივეა („თუ ბავშვი 4 წელზე მეტისა, ის აქ 15 წლამდე რჩება“).

„გაშვილობილება ძალიან კარგია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბავშვები ვერ მიიღებენ ისეთ კარგ განათლებას, როგორსაც ჩვენთან იღებენ. კარგი იდეაა, გაშვილობილებული ბავშვებისათვის დღის ცენტრის გახსნა.“
- ინდივიდუალური ინერვიუ თანამშრომელთან

გაწერა: ცენტრს არ აქვს გაწერის წერილობითი კრიტერიუმები. თანამშრომლების თანახმად, ძირითადად ბავშვები ცენტრიდან მიდიან იმის გამო, რომ აღწევენ ზედა ასაკობრივ ზღვარს (რესპონდენტების 67%), როცა ოჯახის საცხოვრებელი სიტუაცია უმჯობესდება (39%) ან როცა „მშობელს მიჰყავს ბავშვი“ (28%). გაწერის

სხვა მიზეზები იყო: ოჯახის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და „ბავშვის სურვილის“ გათვალისწინება. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი ზედა ასაკობრივ ზღვარს აღწევს, როგორც თანამშრომლების უმეტესობამ განაცხადა, ხდება ბავშვის სხვა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თელა ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ინსტიტუციაში გადაგზავნა. ასეთი ბავშვების პირად საქმეებში გაკეთებულია შესაბამისი ჩანაწერები.

სხვაგან გადაყვანის მიზეზებია ასევე: ოჯახის მოთხოვნა ან ოჯახური სიტუაციის ცვლილება და დირექტორის გადაწყვეტილება („დირექტორს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია“). ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ ოჯახის გაერთიანების შემთხვევები ხშირი არ არის. ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია, ბავშვი ცენტრიდან მონასტერში წავიდეს. ნახსენები იყო და-ძმის გაშვილობილების მხოლოდ ერთი შემთხვევა. გადაწყვეტილებას ბავშვების გაწერის შესახებ იღებს დირექტორი (რესპონდენტების 89%-ის აზრით), ან დირექტორი აღმზრდელებთან ერთად (11%). ადრე იმ შემთხვევებში, როცა დედა ითხოვდა ბავშვის წაყვანას ოჯახური პირობების გაუმჯობესების ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, ცენტრი ინფორმაციას აწვდიდა ხოლმე გამგეობის არასრულწლოვანთა კომისიას. კომისია იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას და ცენტრი უბრალოდ შუამდგომლობდა გამგეობასა და ოჯახს შორის. მამასადამე, ხდებოდა გამგეობის ინფორმირება გაწერის ყველა შემთხვევასთან დაკავშირებით. ამჟამად, 2007 წლის იანვრიდან, ამ პროცესზე პასუხისმგებელია სახელმწიფო სამსახურები. 2007 წლის იანვრიდან გაწერის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა და ის აწარმოა სახელმწიფო სამსახურმა.

შემდგომი მეთვალყურეობა: თანამშრომლების ნახევარზე მეტი მიიჩნევდა, რომ ექვს თვეში ერთხელ ხდება იმ ბავშვების მეთვალყურეობა, რომელთაც ცენტრი დატოვეს. პერსონალის მესამედი თვით, რომ დაკავშირება ხდება თვეში ერთხელ, ხოლო ზოგიერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ შემდგომი მეთვალყურეობა პრაქტიკულად საერთოდ არ ხდება. დირექტორმა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ კონტაქტი ბავშვთან მას შემდეგ, რაც იგი ოჯახში ბრუნდება; მეთვალყურეობა არც იმ შემთხვევაში ხდება, როცა ბავშვი სხვა ინსტიტუციაში გადაჰყავთ ასაკის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო. დირექტორმა მოგვაწოდა ინფორმაცია შემდგომი მეთვალყურეობის რამდენიმე შემთხვევის შესახებ, რასაც სისტემატური ხასიათი არ აქვს.

4.2 ცენტრის მომსახურება

მიზნები და ინდიკატორები: ცენტრის დოკუმენტაციის თანახმად, მისი ძირითადი მიზნებია: „ასოციალური ბავშვებისათვის“ ოჯახური ტიპის გარემოს შექმნა, განათლება, დასაქმება, ბავშვების ინტერესების გათვალისწინება და ბაზისური მომსახურება. შემთხვევათა უმრავლესობაში თანამშრომლების მოსაზრება ცენტრის მიზნების შესახებ არ შეესაბამება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს. თანამშრომლების უმრავლესობამ (89%) ბავშვების კულტურული, მორალური და რელიგიური აღზრდა ძირითად მიზნად დაასახელა. მათ მიერ ნახსენები სხვა მიზნებია: განათლება, ჯანდაცვა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებისათვის ოჯახური სიტუაციის უზრუნველყოფა. რესპონდენტების მხოლოდ 6%-მა დაასახელა ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაცია ან ოჯახური სიტუაციის გაუმჯობესება, როგორც ცენტრის ერთ-ერთი მიზანი. ყველა თანამშრომელი მიიჩნევდა, რომ ცენტრის მიზნები შესრულებულია. დოკუმენტებში არ არსებობს ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა შეფასება იმისა, სრულდება თუ არა მიზნები. დირექტორის თანახმად, ყოველწლიური ანგარიშები მზადდებოდა ხოლმე თბილისის მერიისათვის, 2007 წლის იანვრის შემდეგ კი ცენტრისათვის არ უთხოვიათ ანგარიშის წარმოდგენა.

ცენტრის აქტივობები: ცენტრს გააჩნია შინაგანი მუშაობის ძლიერი სტრუქტურა, რაც გულისხმობს აქტივობების წერილობით ჩამონათვალს, მათ გრაფიკსა და აღწერილობას (შინაარსს). ცენტრში ხდება საბაზისო მომსახურების მიწოდება: 24-საათიანი რეზიდენტული ტიპის მზრუნველობა, ოთხჯერადი კვება, პირადი ჰიგიენა, ტანსაცმელი და სხვა მატერიალური საჭიროებები. ეს უკანასკნელი მოიცავს პირველად სამედიცინო დახმარებას, სამედიცინო კონსულტაციებსა და

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

მედიკამენტების მიწოდებას და ხორციელდება ცენტრის სამედიცინო პერსონალის მიერ გარე ორგანიზაციებთან (მაგალითად, „გენეზისთან“) და საავადმყოფოებთან თანამშრომლობის გზით.

ცენტრი ორგანიზებულია ოთხი „ოჯახური ერთეულის“ სახით, თითოეული მათგანი

„აქ და-ძმა ერთად ცხოვრობს, როგორც ოჯახში. ისინი ისევე იქცევიან, როგორც ოჯახში, ერთად თამაშობენ, ერთ მავიდასთან სხედან და სადილობენ, ერთად გვეგმავენ აქტივობებს.“

„როგორც ეს ოჯახში ხდება – ბავშვები მეცადინეობენ, სკოლიდან მოსვლის შემდეგ იცვლიან ტანსაცმელს და სათამაშოებს თავის ადგილას ალაგებენ.“

- ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან

მოიცავს შესასვლელ ოთახს, ორ საძინებელ ოთახს ბავშვებისათვის (6-13 ბავშვი თითო ოთახში) და ერთს – აღმზრდელისათვის, ტუალეტსა და აბაზანას, საცხოვრებელ ოთახსა და საცავს. თითოეულ „ოჯახურ ერთეულს“ ჰყავს სამი „აღმზრდელი დეიდა“: ორი - დღისით და ერთი დამხმარე აღმზრდელი - ღამით, აღმზრდელი დეიდები 6-საათიან ცვლებში მუშაობენ დღისით და 12-საათიან ცვლებში - ღამით. თანამშრომლებს შორის არსებობს ზოგადი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბავშვებისათვის ოჯახური ტიპის გარემოს შექმნა გულისხმობს ზრდისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნას, მზრუნველ მოპყრობას, თბილ და ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას და ბავშვებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების სწავლებას. ბავშვებმაც და ოჯახის წევრებმაც დაადასტურეს, რომ კავშირები ცენტრის ბავშვებს შორის და ბავშვებსა და

აღმზრდელებს შორის ძალიან მჭიდრო და „ოჯახურია“. „ისინი (მასწავლებლები) ისე გვექცევიან, როგორც საკუთარ შვილებს და ჩვენ ისინი დედებივით გვიყვარს“- აღნიშნეს ბავშვებმა ფოკუს-ჯგუფის დროს.

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები, რომელთა სწავლებაც ცენტრში ხდება, ძირითადად შემდეგია: პირადი ჰიგიენა, რეცხვა და დასუფთავება, ჩაცმა და სუფრასთან მოქცევის წესები. მოზრდილი ბავშვები თავად ირეცხავენ თეთრეულს და აუთოვებენ ტანსაცმელს. 12 წელზე უფროსი გოგონები მზარეულს ეხმარებიან სამზარეულოში. ბიჭები ბაღში ჩატარებულ სამუშაოებში იღებენ მონაწილეობას გაზაფხულსა და ზაფხულში. ზოგჯერ ბავშვებს საშუალება ეძლევათ, ისწავლონ საკუთარი ფულის გამოყენება.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, როგორცაა ხატვა, აპლიკაციების კეთება, ძერწვა, ლექსების სწავლა, მეტყველების განმავითარებელი სავარჯიშოები, „ინტელექტუალური თამაშები“, სიმღერა და „შინაგანი კულტურის“ ჩვევების შექმნა. თანამშრომლების თანახმად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, სანამ უფროსი ასაკის ბავშვები სკოლაში არიან, ცალკე აქტივობები ტარდება.

სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი დადის სკოლაში; მათ სკოლაში და უკან – ცენტრისაკენ, თან ახლავს ცენტრის მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი აგვარებს ბავშვის გადმოყვანას იმ სკოლაში, სადაც ცენტრის ბავშვები დადიან. ცენტრის პედაგოგები დროდადრო ესწრებიან გააკვეთილებს სკოლაში და სკოლის მასწავლებლებთან ბავშვების აკადემიური პროგრესის შესახებ კონსულტაციებს მართავენ, ცენტრში ბავშვებს ეხმარებიან გააკვეთილების მომზადებაში. სასკოლო ასაკის ბავშვები ჩართულნი არიან ხელფონებისა და ხელგარჯილობის აქტივობებშიც. კვირაში ერთხელ ცენტრში ტარდება სპორტული და გასართობი ღონისძიებები. ცენტრი აღნიშნავს ბავშვების დაბადების დღეებს, აწყოებს ლაშქრობებსა და ექსკურსიებს და ბავშვები საზაფხულო ბანაკებში მიჰყავს.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ცენტრი დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვების ესთეტიკურ, ეთიკურ, რელიგიურ და მორალურ აღზრდას და ამ კომპონენტისადმი დიდ ერთგულებას იჩენს.

„ბებიამ მოიყვანა 4 და-ძმა. შეუძლებელია დედისა და ბებულის მოძებნა, რადგან მათ მისამართი შეიცვალეს“

„ბავშვები ხშირად საუბრობენ ოჯახზე; ჩვენ არ გვინდა, რომ ოჯახებზე ვესაუბროთ და მტკივნეულ საკითხებს შევხებით, მაგრამ ისინი თვითონ საუბრობენ ამაზე.“

- ინდივიდუალური ინტერვიუები თანამშრომლებთან

ოჯახებთან მუშაობა: როგორც ყველა თანამშრომელი აცხადებს, ბენეფიციარი ბავშვების 80%-ზე მეტს ჰყავს ოჯახი (ზოგიერთმა 95%-იც კი დაასახელა). არ ხდება ოჯახებთან რაიმე სახის სისტემატური ან სტრუქტურირებული მუშაობა და ეს არც მიიჩნევა ცენტრის პრიორიტეტად. ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ ცენტრის თანამშრომლები უბიძგებენ მშობლებს, რომ ბავშვები ცენტრში დატოვონ. „ჩვენ ბინას ვკირაობთ და ახალი ბინა ვერ ვიშოვეთ, (თანამშრომელმა) უთხრა დედაჩემს, რომ საბავშვო ბაღი გაიხსნა და აქ მომიყვანეს“ - იხსენებს ერთი ბავშვი. რაც შეეხება დირექტორის აზრს, ოჯახური სიტუაციის შესწავლა ხდება „ბავშვის შემოყვანიდან ერთი კვირის განმავლობაში“.

თანამშრომლების უმრავლესობა აცხადებს, რომ ოჯახებთან ხშირი (თვეში ერთხელ) კონტაქტი აქვთ და ეს ხდება ძირითადად ოჯახების ცენტრში ხშირი ვიზიტისა და თანამშრომლების ოჯახებში სტუმრობის ან დარეკვის გზით. არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც ბავშვებს კვირაში რამდენჯერმე აკითხავენ. კითხვაზე ოჯახებთან კონტაქტის შესახებ, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ბავშვებმა გააკეთეს შემდეგი ტიპის განცხადებები: „გვინდა, რომ დღე ვიყოთ და საღამოს წავიდეთ სახლში“ ან „გვირჩევნია, გვქონდეს ჩვენი ოჯახი“.

ცენტრი იყენებს „გადაცემის“ დოკუმენტებს, როდესაც ბავშვი ცენტრიდან მისი ოჯახის წევრებს მიჰყავთ ან ცენტრში მოჰყავთ. „მშობლებს ბავშვების წაყვანა შეუძლიათ შაბათ-კვირას და არდადეგებზე, თუ მოინდომებენ“ - განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა. ცენტრს შემუშავებული აქვს განაცხადის ფორმა, რომელიც ოჯახის წევრებმა უნდა შეავსონ ყოველ ჯერზე, როცა ბავშვი ცენტრიდან გაჰყავთ. „ისინი ბავშვებს სახლში არ გვატანენ ამ განაცხადის შევსების გარეშე“ - განაცხადეს მშობლებმა ფოკუს-ჯგუფის დროს. ბავშვებმაც და ოჯახის წევრებმაც აღნიშნეს, რომ ბევრი ბავშვი შაბათ-კვირას, დაბადების დღეებზე და დღესასწაულებზე, „როცა სკოლა არ არის“, სახლში ბრუნდება. როგორც ჩანს, არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც ცენტრში მხოლოდ დღისით მოდიან, თუმცა დამატებითი კვლევაა საჭირო ამ მოსაზრების დასადასტურებლად.

„გვყავდა ერთი აღსაზრდელი, რომელმაც სექსუალური გადახრები ჰქონდა /ბიჭი 12-13 წ/. პირველ რიგში დედას დაეურეკეთ. ვუთხარი, რომ შევამჩნიეთ რომ იწვევდა ბიჭებისკენ. გადაურეკეს სექსოლოგს. დედამ მოკიდა ხელი, დაჰყავდა და უმკურნალა, დედამ წაიყვანა სახლში“.

„პატარა, ენურეზიანი ბავშვები წვანან „აღზრდელ დეიდასთან“, რათა გადააყენონ დამე რამოდენიმეჯერ.“

- დირექტორი

თანამშრომლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ოჯახებთან მუშაობა სოციალური მუშაკის მოვალეობაა; თუმცა ასევე აღინიშნა, რომ დირექტორი და ფსიქოლოგიც ასრულებენ ამ სამუშაოს.

ოჯახის რეინტეგრაციის შემთხვევები იშვიათია და როგორც წესი, ეს მაშინ ხდება, როდესაც ბავშვი მაქსიმალურ ასაკობრივ ზღვარს მიაღწევს. როგორც თანამშრომლებმა განაცხადეს, „მათი ოჯახები არ

არიან მზად რეინტეგრაციისათვის“. ყველა მშობელმა ცენტრისადმი სერიოზული მიჯაჭვულობა გამოავლინა, თუმცა ყველამ (100%) აღნიშნა, რომ ისინი ბავშვებს სახლში წაიყვანდნენ, შესაბამისი ეკონომიური მდგომარეობა რომ ჰქონდეთ და

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

ბავშვებს ეს აქტოვობები შემდეგშიც უფასოდ რომ მიეწოდებოდეთ. 2007 წლის
 განმავლობაში ოჯახის რეინტეგრაციის შემთხვევები არ ყოფილა.

ბავშვის უსაფრთხოება და დაცვა: ცენტრს არ გააჩნია შინაგანი პოლიტიკა ბავშვის
 უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის, გარდა ავადმყოფი ბავშვების
 იზოლირებულ სამედიცინო პალატაში მოთავსებისა. თანამშრომლები ძალიან
 მონდომებულები არიან, უზრუნველყონ ბავშვების უსაფრთხოება და დაცვა და ყველამ
 აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ცენტრში პრობლემა არ არსებობს. თუმცა, ცენტრის
 ამჟამინდელი პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა ბავშვის დაცვისა და
 უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდა.
 მაგალითებია: შფოთვისა და ჰიპერაქტივობის პრობლემების მქონე ბავშვის
 ტრანკვილიზატორებით მკურნალობა; ბავშვების ქცევითი პრობლემების წარმოშობის
 გენეტიკური ახსნა, ან ჰომოსექსუალურად მიჩნეული ბავშვის სამედიცინო
 მკურნალობისათვის გაშვება. რამდენიმე თანამშრომელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე
 გოგონა ინტერესს იჩენს „უბნის“ ბიჭების მიმართ. ეს მიჩნეულ იქნა, როგორც
 საფრთხე და დაცვითი ღონისძიების სახით თანამშრომლები უფროსი ასაკის
 გოგონებს თანხლები პირის გარეშე გარეთ ადარ უშვებენ: „არ ვუშვებთ გარეთ
 მასწავლებლების გარეშე, მაღაზიაში საღებავი რეზინის საყიდლად. ეს მხოლოდ
 იმიტომ, რომ ისინი იმ ბიჭებს არ შეხვდნენ“.

ნახსენები არ ყოფილა ფიზიკური დასჯის არც ერთი შემთხვევა. ბავშვებმა აღნიშნეს,
 რომ მასწავლებლები მხოლოდ ძალიან იშვიათად უბრაზდებიან და როგორც წესი,
 „გვარიგებენ – ეს არ გააკეთო, და თუ ცუდად მოვიქცევით, ისინი წყნარად გვირჩევენ,
 რა უნდა გავაკეთოთ“.

ზოგადად თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ თუ ცენტრში ბავშვის უსაფრთხოება
 რისკის ქვეშაა, ამ საკითხებს ისინი შინაგანად მოაგვარებენ, შეატყობინებენ
 დირექტორს და ჩართავენ სოციალურ მუშაკსა და ფსიქოლოგს. დირექტორმა
 განაცხადა, რომ ძალიან სერიოზული პრობლემების შემთხვევაში, რაც მოსალოდნელი
 არ არის, დაურეკავენ პოლიციას და აღმზრდელს. ოჯახები ნახსენები არ ყოფილა.

ბავშვის მონაწილეობა (ჩართულობა): თანამშრომლების უმრავლესობამ განაცხადა,
 რომ ბავშვებს რეგულარულად ეკითხებიან აზრს ცენტრის შესახებ და ამ აზრს
 ითვალისწინებენ. თანამშრომლების თანახმად, გამოიყენება შემდეგი მეთოდები:
 გამოკითხვები/ანკეტები, სპეციალური შეხვედრები, წერილობითი თანხმობა და
 ანონიმური წერილების ყუთი. არც ერთი ამ გამოკითხვის ჩანაწერები არ არსებობს –
 გარდა ანონიმური წერილებისა. თანამშრომლები იზიარებენ იმ აზრს, რომ
 ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი ამ მონაცემების გაანალიზებაზე არიან
 პასუხისმგებელნი. ბავშვებმაც აღნიშნეს, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი
 აზრის გამოთქმა და ცენტრის თანამშრომლები მათ აზრს ითვალისწინებენ.

4.3 ადამიანური რესურსები

პერსონალის რაოდენობა: ცენტრს 35 თანამშრომელი ჰყავს, მათგან 19 მუშაობს
 უშუალოდ ბავშვებთან.

	სრულ განაკვეთზე	ნახევარ განაკვეთზე	მოსხლისე
აღმზრდელი	9	-	-
დამხმარე აღმზრდელი	4	-	-
მასწავლებლები (მუსიკისა და ხატვის)	2	-	-
ფსიქოლოგი	1	-	-
სოციალური მუშაკი	1	-	-
ექიმი	-	1	-
ექთანი	2	-	-

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

ადმინისტრაცია	4	1	-
დამხმარე პერსონალი	7	4	-

პერსონალის საშუალო ასაკია 42 წელი, ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი 26 წლისაა და ყველაზე უფროსი – 59 წლის.

თანამშრომლების მიღება და პირადი საქმეები: ცენტრს არ გააჩნია თანამშრომლების აყვანის ფორმალური კრიტერიუმები ან მექანიზმები. თანამშრომლებიდან ბევრი ადრე მუშაობდა საბავშვო ბაღში, რომელიც იმავე შენობაში იყო განთავსებული 2001 წელს ცენტრის გახსნამდე. მათ შორისაა დირექტორიც, რომელიც ბაღის გამგე იყო და ვისი ინიციატივითაც გაიხსნა ცენტრი. თანამშრომლები ამ დაწესებულებას ჯერ კიდევ საბავშვო ბაღს უწოდებენ. ზოგიერთი მშობელი და ბავშვიც მოიხსენიებს ცენტრს ამგვარადვე.

დირექტორის თანახმად, როცა ვაკანსია ჩნდება, „ის პერსონალს აცნობებს ვაკანსიის შესახებ და თუ ვინმე არის დაინტერესებული პოზიციით, ინტერვიუზე იბარებენ“.

თითოეულ თანამშრომელს აქვს პირადი საქმე, რომელიც შეიცავს: დიპლომის ასლს, ტრენინგის სერტიფიკატების ასლებს (თუ ასეთი სერტიფიკატები არსებობს), და ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან. თანამშრომლების სამუშაოს აღწერილობა განსაზღვრულია ცენტრის წესდებაში და არ დევს პირად საქმეებში.

თანამშრომლების განათლება და მომზადება: დირექტორის თანახმად, „ყველა თანამშრომელი პრაქტიკოსია (საბავშვო ბაღის ყოფილი თანამშრომლები).“ თანამშრომლების განათლება ყოველთვის სრულად არ შეესაბამება მათ ფუნქციას. მაგალითად, სოციალურ მუშაკს არანაირი განათლება ან ტრენინგი არ აქვს გავლილი სოციალურ სამუშაოში და განაცხადა, რომ ასეთი ტრენინგი ესაჭიროება. თანამშრომლების მხოლოდ 28%-მა აღნიშნა, რომ გავლილი აქვთ სამსახურთან დაკავშირებული ტრენინგები და 22%-მა შესძლო ასეთი ტრენინგების ჩამოთვლა. ცენტრს არ აქვს თანამშრომლების პროფესიული განვითარების გეგმა. თანამშრომლების უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ სფეროში გაიაროს ტრენინგი.

პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობა და პერსონალის სამუშაო საათები: დღის განმავლობაში, როცა ცენტრის ყველა თანამშრომელი ცენტრში იმყოფება, პერსონალისა და ბავშვების თანაფარდობაა 1:2, ხოლო ღამით ეს თანაფარდობაა 1:14. ღამით ცენტრში ყოველთვის იმყოფება 5 ადამიანი (ერთი დარაჯი და თითო ოჯახის ერთეულზე ერთი დამხმარე აღმზრდელი). ცენტრში არ არსებობს ტაბელი. ცენტრის თანამშრომლების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს. ზოგიერთი თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ საათს მუშაობენ, ემთხვევა სრული განაკვეთის შესაბამის სამუშაო საათებს (ფსიქოლოგი, ექიმი და ექთანი – დღეში 8 საათი და კვირაში 5 დღე), „აღმზრდელი დეიდები“ მუშაობენ ყოველ მესამე დღეს 6-საათიან ცვლებში, ხოლო სოციალური მუშაკი მუშაობს დღეში 5 საათი და კვირაში 5 დღე.

როგორც დირექტორმა განაცხადა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რჩევით, მათ ამჟამინდელი პერსონალი უნდა შეამცირონ და მათ შორის, გააუქმონ სოციალური მუშაკის პოზიციაც, ხოლო დანარჩენ პერსონალს ხელფასი მოუმატონ. განათლების სამინისტრო ამ გადაწყვეტილებას ცენტრის სოციალური მუშაკის დაბალი პროფესიული კვალიფიკაციით ხსნის. თუმცა, რეკომენდებულია, რომ ცენტრს შტატში ჰყავდეს სოციალური მუშაკი.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

გუნდური მუშაობა და სამუშაოთი კმაყოფილება: ყველა თანამშრომელი აცხადებდა, რომ მათი მოვალეობები ცენტრში ნათლად არის განსაზღვრული. ისინი მიიჩნევენ, რომ გუნდურად კარგად მუშაობენ. თანამშრომლები მოტივირებულები არიან და მოსწონთ საკუთარი სამუშაო. თანამშრომლების 50% არ იყო დარწმუნებული სამუშაო უსაფრთხოების შესახებ, თუმცა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ცენტრი მუშაობას გააგრძელებს. თანამშრომლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი სამუშაოთი კმაყოფილება გაიზარდა პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში (ხელფასის მომატება, შენობის განახლება და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები).

4.4 ცენტრის მენეჯმენტი

ცენტრის იურიდიული სტატუსი: ოჯახური ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრი „ლამპიონი“ განთავსებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში, თბილისის ისანი-სამგორის რაიონში და ფუნქციონირებს 2001 წლიდან. ამჟამად ცენტრის იურიდიული სტატუსია საბიუჯეტო ორგანიზაცია, მაგრამ დირექტორის თანახმად, დაგეგმილია სტატუსის შეცვლა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

ცენტრის მენეჯმენტის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები: ცენტრს არ ჰყავს დირექტორთა საბჭო, მაგრამ არსებობს პედ. საბჭო, რომელიც შედგება ბავშვებთან მომუშავე ყველა თანამშრომლისა და დირექტორისაგან. ამ საბჭოს შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება და წარმოებს ფორმალური შეხვედრების ჩანაწერები (უკანასკნელი ოქმი 2007 წლის მარტით იყო დათარიღებული). შეხვედრების დროს განიხილება ადმინისტრაციული საკითხები და სამომავლო გეგმები. ზოგჯერ განიხილება პრობლემური ბავშვების შემთხვევებიც. კვირაში ერთხელ, დირექტორი აწვობს შეხვედრას ფინანსურ და ტექნიკურ პერსონალთან კვირისათვის საჭირო მარაგის შესახებ.

კითხვარების შევსებისას რესპონდენტების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილებებს ცენტრის ფუნქციონირების შესახებ დირექტორი/დირექტორის მოადგილე იღებს. რესპონდენტთა 44% ასევე მიიჩნევდა, რომ თანამშრომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. ყველა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ დირექტორის და/ან დირექტორის მოადგილის წინაშე.

თანამშრომლების ცენტრის მენეჯმენტით კმაყოფილება: თანამშრომლების 83%-მა განაცხადა, რომ ცენტრის ამჟამინდელი მენეჯმენტი კარგია, 17%-მა კი ის დაახასიათა, როგორც „არც კარგი, არც ცუდი“. ყველა თანამშრომელმა, ისევე როგორც ბავშვებმა და მშობლებმა, ხაზი გაუსვეს დირექტორის დაუღალავ შრომასა და გულმოდგინებას.

4.5 ფინანსები და აქტივები

შენობის მფლობელობა: ცენტრი მდებარეობს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში, რმელიც, დირექტორის თანახმად, მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

ცენტრის ბიუჯეტი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული ცენტრის 2007 წლის ბიუჯეტი 187.000 ლარს შეადგენს. ბიუჯეტი ისეა შედგენილი, რომ აქტივობების ან ბავშვების მიხედვით მისი დაყოფა შეუძლებელია.

2007 წლის ბიუჯეტი შეიცავს:

- ხელფასი – 48.5%
- სხვა საქონელი და მომსახურება – 47.9%
 - კვება – 30.2%
 - კომუნალური გადასახადი – 11.1%

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

- საოფისე ხარჯი – 2.8%
 - რბილი ინვენტარი და ტანსაცმელები – 2.2%
 - სხვა ხარჯები – 1.7%
 - კაპიტალური ხარჯები - 3.6%
- კაპიტალური ხარჯები მოიცავს ტექნიკის, ტრანსპორტისა და სხვა ძირითადი ნივთების შეძენისა და გარემონტების ხარჯებს.

ხელფასი, კვება და კომუნალური ხარჯები ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი კომპონენტებია. საკვებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა შეესაბამება ბავშვების მაქსიმალური რაოდენობის (50) მიხედვით, ბავშვზე დღეში 3 ლარის დანახარჯის შემთხვევაში გასაწევ დანახარჯებს.

მატერიალური შემოწირულობები: ცენტრი დროგამოშვებით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწირულობების იღებს კერძო დონორებისაგან და ორგანიზაციებისაგან. შემოწირული იყო გარკვეული ტექნიკაც, მაგალითად, 31-ე ქარხნის გაზის გამათბობლები. ცენტრი უკვე დიდი ხანია, თანამშრომლობს მსოფლიო სასურსათო პროგრამასთან, რომელიც ცენტრს ამარაგებს საკვები პრიდუქტებით (ფქვილი, ზეთი, ლობიო და მარილი). კომპანია „კოკა კოლას“ ერთეულ შემთხვევებში ბავშვებისათვის ტკბილეული მოაქვს.

ხარჯები: მოლაპარაკებას მომწოდებლებთან თვითონ ცენტრი აწარმოებს. საკვები პროდუქტების მომწოდებელი ტენდერის შედეგად შეირჩა. მომწოდებლებს თანხა პირდაპირ განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან ერიცხებათ.

ხელფასზე გაწეული ხარჯები ბიუჯეტით გათვალისწინებულ 88.200 ლარზე ნაკლებია (ცენტრისაგან მიღებული შტატებისა და ხელფასების სიების თანახმად). რეალური წლიური ხარჯი ამ მხრივ არის 69.240 ლარი უშუალოდ ხელფასებზე და 13.848 ლარი სოციალურ გადასახადებზე, რაც ჯამში 83.088 ლარს შეადგენს წელიწადში (ეს დაახლოებით 5.000 ლარით ნაკლებია, ვიდრე ბიუჯეტშია გათვალისწინებული).

ფინანსური დოკუმენტაცია: ცენტრს ჰყავს ბუღალტერი, რომელიც აწარმოებს მთელ ფინანსურ დოკუმენტაციას. ცენტრს აქვს ყველანაირი ფინანსური დოკუმენტაცია გარდა საბანკო გადარიცხვებისა, რადგან ცენტრი თვითონ არ აწარმოებს პირდაპირ ხარჯვას, როგორც დირექტორმა განმარტა. ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ამზადებს ყოველთვიურ ფინანსურ ანგარიშებს.

თანამშრომლების კმაყოფილება ცენტრის ფინანსური მდგომარეობით: თანამშრომლების მხოლოდ მესამედი თვლის, რომ ცენტრის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ყველაზე დიდ ფინანსურ პრობლემებს შორის ბევრმა თანამშრომელმა დაასახელა დაბალი ხელფასი (მაგალითად, სოციალური მუშაკის ხელფასია დღეში 70 ლარი). მეორე პრიორიტეტული სფერო ცენტრის შენობის შეკეთებაა. თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ არსებობს სერვისის მიწოდების გარკვეული მოთხოვნები, რაც არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგალითად, ცენტრს ესაჭიროება მასალა აქტივობებისათვის (საკანცელარიო საქონელი), სახელმძღვანელოები და სასკოლო ნივთები სკოლის ასაკის ბავშვებისათვის, სამედიცინო/სტომატოლოგიური ხარჯები და სპორტული მოედნები და მოწყობილობა ეზოში.

4.6 ფიზიკური გარემო

ცენტრის ფართობი და ფართობის გადანაწილება: ცენტრი განთავსებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში, 4.800 კვ.მ. ფართობზე. შენობის ნახევარი დაზიანდა

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
 ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
 „გადავარჩინოთ ბავშვები“

მიწისძვრის შედეგად და ამჟამად არ გამოიყენება. შენობის რეკონსტრუქცია და შეკეთება ერთ-ერთი პრიორიტეტად მოიაზრება.

“ოჯახური საცხოვრებელი ერთეულები” (4)

- შესასვლელი-1
- თამაშისა და მეცადინეობისათვის განკუთვნილი ოთახი
- საძინებელი ოთახები: გოგონებისათვის - 1, ბიჭებისათვის - 1
- საძინებელი ოთახი აღმზრდელებისათვის - 1
- ტუალეტი და პირსაბანი - 1
- საცავი/საკუჭნაო - 1

თანამშრომლების ოთახები

- დირექტორის ოთახი - 1
 - ბუღალტერის ოთახი - 1
 - ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ოთახი - 1
 - ექიმისა და ექთნის ოთახი - 1
 - იზოლატორი - 1
- } თანამშრომლების ოთახები - 5

საერთო აქტივობის ოთახები

- მუსიკის ოთახი - 1
 - შემოქმედებითი კუთხე (ფოიეში) - 2
 - სამლოცველო - 1
- } 3 საერთო აქტივობის ოთახი

“ტექნიკური” ოთახები

- საერთო აბაზანა/ტუალეტი - 1
 - სამრეცხაო - 1
 - სასადილო - 1
 - სამზარეულო - 1
 - სათავსოები (საერთო, თეთრეულისა და ხილ-ბოსტნეულის შესანახად) - 3
 - დერეფნები - 2
- } 9 “ტექნიკური” ოთახი

სანიტარული და უსაფრთხოების პირობები: ცენტრს არ აქვს სანიტარული ინსპექციის მიერ განხორციელებული შემოწმების დოკუმენტები (არსებობს ადრე ჩატარებული ასეთი შემოწმებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რადგან ქვეყანაში არ არსებობს უწყება, რომელიც ამას განახორციელებდა. კერძო კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე ცენტრში რეგულარულად (თვეში ერთხელ) ტარდება დეზინფექციის სამუშაოები.

შენობის მდგომარეობა სახიფათოა. შენობის ერთი ნაწილი არ გამოიყენება და კედლები ძლიერ არის დაზარალებული. სახურავიდან რანმენიშე ადგილას წყალი ჩამოდის და რამდენიმე თანამშრომელმა განაცხადა, რომ ეშინიათ, „ჭერი არ ჩამოინგრეს“. შენობას არ აქვს საძირკველი, მაგრამ როგორც დირექტორმა განაცხადა, შეკეთებას ექვემდებარება. ესტავრაციის შესაძლებლობისა და ღირებულების დასადგენად საჭიროა ინჟინერული შეფასების ჩატარება.

ჰოლანდიური ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, საერთო აბაზანა (ერთადერთი საშხაპეობიანი აბაზანა ცენტრში) აღიჭურვა ახალი წყლის გამათბობლით. განახლდა ცხელი წყლის სისტემა სამზარეულოშიც. ოჯახურ ერთეულებში (სადაც ბავშვები ყოველდღიურად იბანენ) ცხელი წყალი არ მოდის. ყველა ტუალეტსა და აბაზანაში საკმარისი რაოდენობით არის საპონი, ტუალეტის ქაღალდი და პირსახოცები. ცენტრს აქვს ძველი სარეცხის მანქანებით აღჭურვილი სამრეცხაო, თუმცა აქვს რამდენიმე ახალი სარეცხის მანქანაც. დირექტორის ინფორმაციით, სპეციალისტები აცხადებენ, რომ წყალგაყვანილობის მდგომარეობა ცენტრში არ იძლევა სარეცხის მანქანების დამონტაჟების საშუალებას.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ცენტრს მიეწოდება ელექტროენერგია, მაგრამ ელექტროგაყვანილობა არ არის
უსაფრთხო. ცენტრში გათბობა ბუნებრივ აირზეა, ჩართული იყო მონიტორინგის
განხორციელების დროს და შენობაში საკმარისად თბილოდა. ფანჯრების მეშვეობით
შესაძლებელია ოთახების სათანადოდ განიავება. ავადმყოფი ბავშვებისათვის
გამოყოფილია ცალკე ოთახი.

საკვები ყველა ბავშვისათვის ერთად მზადდება, სამზარეული და სასადილო ოთახი
სუფთაა და ცენტრში არსებობს საკვების შენახვისათვის გამოყოფილი სათანადო
სათავსოები.

დასაძინებელი პირობები: თითოეულ „ოჯახურ ერთეულს“, რომელიც ბავშვების ორი
საძინებლისაგან შედგება, აქვს ერთი სველი წერტილი ტუალეტითა და პირსაბანებით.
ცენტრის ფართობი საკმარისია იმისათვის, რომ ყველა ბავშვი დაიტოს, მაგრამ
რადგან შენობის ნახევარის გამოყენება ამჟამად შეუძლებელია, საძინებელ ოთახები
ბავშვებით გადატვირთულია. ჩვეულებრივ, საძინებელში 5-8 ბავშვს სძინავს, მაგრამ
შაბათ-კვირას, როდესაც ცენტრში მომუშავე პერსონალის რაოდენობა უფრო
ნაკლებია, ხდება 4 ოჯახის შეერთება 2 ოჯახად. ამის შედეგად, თითო საძინებელში
12-13 ბავშვია. თითოეულ ბავშვს ცალკე საწოლი აქვს ბალიშით, ლეიბით, ზეწრითა
და საბნით. მცირეწლოვან და ენურეზიან ბავშვებს აღმზრდელის საძინებელ
ოთახებში სძინავთ, მაგრამ საკუთარ საწოლებში. ცენტრისათვის საწოლები და სხვა
ავეჯი ასოციაცია „გენეზისმა“ შეიძინა.

ბუნეფიციარი ბავშვების პირადი ცხოვრებისა და საკუთრების დაცვა: ცენტრში
არსებობს ადგილი, სადაც ბავშვებს საკუთარი ნივთების შენახვა შეუძლიათ
(კარადები საერთო ოთახის გარეთ, და ზოგ შემთხვევაში – საძინებელ ოთახებშიც).
თანამშრომლების თანახმად, თუ ბავშვს განმარტოების სურვილი გაუჩნდა, ცენტრში
ამისათვის ადგილი გამოიძებნება (თუმცა თითოეულმა თანამშრომელმა ამ
დანიშნულებისათვის სხვადასხვა ოთახი დაასახელა). თანამშრომლებმა ასევე ახსენეს,
რომ „თუ მშობელი მოვა, მათ (ბავშვს და მშობელს) განმარტოებით შეუძლიათ
ერთმანეთს შეხვდნენ (ერთ-ერთი თანამშრომლის ოთახში)“. ბავშვებთან ფოკუს
ჯგუფის დროს გამოიკვეთა ზედმეტად გადატვირთული საძინებელი ოთახების
პრობლემა („უმჯობესი იქნებოდა) თითოეულ ბავშვს ცალკე საძინებელი ოთახი რომ
ჰქონოდა“).

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

ნაწილი III – რეკომენდაციები

1. რეკომენდაციები ყველა ცენტრისათვის:

- 1.1. ოთხივე ცენტრისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა საშუალო და გრძელვადიანი რესტრუქტურიზაციის გეგმების შემუშავება. თითოეული გეგმა უნდა მოიცავდეს სამიზნე ჯგუფების, მიღების კრიტერიუმების, მიზნებისა და ინდიკატორების, სერვისის მოდელისა და შინაარსის, პერსონალთან დაკავშირებული საკითხებისა და ბიუჯეტის კომპლექსურ და დეტალურ გადასინჯვას.

მიღების კრიტერიუმები ასევე უნდა ასახავდეს, რომ სერვისი ფოკუსირებულია ოჯახისაგან ბავშვის ჩამოშორების პრევენციასა და ოჯახის რეინტეგრაციაზე. უნდა ხდებოდეს თითოეული ბავშვის ოჯახური სიტუაციისა და რეინტეგრაციის შესაძლებლობების შეფასება და რეინტეგრაციის შესაძლებლობების კვლევა და შესწავლა, როცა ეს შესაძლებელია.

სასურველია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ იქნას გარეშე ექსპერტების ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც ცენტრებში იმუშავებენ და დაეხმარებიან მათ ასეთი რესტრუქტურიზაციის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

- 1.2. ბავშვის დაცვა სისტემატურად უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვებთან დაკავშირებული მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელების ყოველ ასპექტში. მომსახურების განხორციელებაში მონაწილე ყველა პირისათვის ნათელი უნდა იყოს, თუ ვინ არის იურიდიულად და მორალურად პასუხისმგებელი ბავშვის დაცვის საკითხებზე. აუცილებელია, თითოეულ ცენტრში მოხდეს ბავშვის დაცვის შინაგანი სტანდარტების, პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოითხოვს გარკვეული დროის გამოყოფას და სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების მომზადებას.
- 1.3. საჭიროა ცენტრში მომუშავე ადამიანური რესურსების განვითარება და მათი შესაძლებლობების ამაღლება. ბევრი თანამშრომელი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდება სამუშაოს და ბავშვებს, მაგრამ აღიარებს, რომ უფრო ეფექტური მუშაობისათვის საჭიროა მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესება. დასაწყისისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ცენტრის თანამშრომლებისათვის პიროვნული და პროფესიული განვითარების პროგრამები, რაც ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მომსახურების მიმწოდებლების ნდობის მოპოვებისა და ცვლილებების დემონსტრირების კუთხითაც.

თითოეულ ცენტრში უნდა ჩატარდეს საჭიროებების ანალიზი, რათა დადგინდეს ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებები და ტრენინგისათვის პრიორიტეტული სფეროები. ადამიანური რესურსების განვითარება აუცილებლად უნდა მოიცავდეს კომპლექსურ ტრენინგს ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხებზე ყველა თანამშრომლისათვის. ტრენინგი ბავშვებისათვის პირველი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით ამ ზოგადი ტრენინგის სავალდებულო კომპონენტი უნდა იყოს; განსაკუთრებით გადაუდებელია ეს საჭიროება გლდანში.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

14. ყველა ცენტრში უნდა დამკვიდრდეს შემთხვევის ინდივიდუალური მართვის სისტემა, რაც გულისხმობს: ბავშვის/ოჯახის შეფასებას, ინდივიდუალური მომსახურების გეგმას რეგულარული გადასინჯვებით, და მომსახურებიდან დაგეგმილი „გაწერისა“ და შემდგომი მეთვალყურეობის მექანიზმებს.

შემთხვევების ინდივიდუალური მართვის აქცენტი უნდა იყოს: (1) ოჯახისაგან ბავშვის განცალკევების პრევენციაზე, (2) ინსტიტუციური მზრუნველობის, როგორც უკანასკნელი შესაძლო ვარიანტის, და ისიც მხოლოდ მინიმალური დროით გამოყენებაზე (3) ოჯახის გაერთიანების მხარდაჭერაზე ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია. თანამშრომლებმა უნდა მიიღონ კომპლექსური და პრაქტიკული ტრენინგი შემთხვევის მართვის რეჟიმში მუშაობაზე, მულტიდისციპლინარული გუნდის ინდივიდუალურ შემთხვევებზე მუშაობის ჩათვლით.

„ლამპიონსა“ და „სათნობაში“ უკვე არსებობს ძლიერი შინაგანი სტრუქტურა; შემთხვევის მართვის სისტემაში ჩართვა კი თანამშრომლების მუშაობას უფრო კარგად გამოკვეთილ მიმართულებას შესძენდა. გლადნისა და „მომავლის სახლის“ შემთხვევაში შემთხვევის მართვის სისტემის დანერგვა სისტემური მიდგომის ელემენტებს შემოიტანდა ცენტრში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა თანამშრომლებისათვის ეფექტურობის გრძნობის შექმნას, რაც მათ ასე სჭირდებათ და გააუმჯობესებდა ცენტრის მომსახურების ხარისხს.

15. თითოეულ ცენტრში ბავშვების მონაწილეობის არსებული მაგალითები კარგი საფუძველია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს თანამშრომლების განწყობა, მოუსმინონ და პატივი სცენ ბავშვების აზრებს. პერსონალმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვის ერთ-ერთი უფლებაა, მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც მის ცხოვრებას ეხება (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12).

მაგალითად, თუ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება ძალადობის ან უგულვებელყოფის გამო ბავშვის მშობლებისაგან ჩამოშორების შესახებ, ბავშვს, როგორც „დაინტერესებულ მხარეს“, საშუალება უნდა მიეცეს, მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში და გამოთქვას საკუთარი შეხედულებები. მსგავსადვე, ბავშვს საშუალება უნდა მიეცეს, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი მისი ოჯახის შესაძლო გაერთიანების შესახებ და მისი აზრი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ცენტრები ასევე უნდა ცდილობდნენ, რომ მშობლების თანხმობა რაც შეიძლება სწრაფად მოიპოვონ და მშობლებთან და მომვლელებთან ჰქონდეთ სისტემატური და სტრუქტურირებული ურთიერთობა, რომელიც უნდა გრძელდებოდეს მანამ, სანამ ბავშვი ცენტრის მომსახურებას იღებს.

16. ყველა ცენტრში უნდა მოხდეს თანამშრომლების მიღების პროცესის ფორმალიზება. რესტრუქტურისაციის გეგმის ფარგლებში შესაძლებელია საჭირო გახდეს პერსონალთან დაკავშირებული საკითხების გადასინჯვა. ამ პროცესის დასრულების შემდეგ უნდა გადაისინჯოს ხელფასის დონე, რათა უკეთ ასახოს პერსონალის დატვირთვა, კვალიფიკაცია/კომპეტენცია და ბაზრის მოთხოვნები.

ერთ-ერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ცენტრში მართლაც გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანები მუშაობდნენ არის ის, რომ მოხდეს ცენტრში ყველა ძირითადი პოზიციის სამუშაო აღწერილობისა და სამუშაო პირობების გადასინჯვა (გრაფიკი, ხელფასი და დანამატები), ვაკანსიების

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თავიდან გამოცხადება და ახლანდელი თანამშრომლების წახალისება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ თანამშრომლების აყვანის ღია და გამჭვირვალე პროცესში.

ასევე შემოდებული უნდა იქნას კომპენსაციისა და დანამატების (თანამშრომლებზე ზრუნვის) გეგმა – ასეთი გეგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება გლდანისათვის, სადაც შესრულებული სამუშაო ემოციურად განსაკუთრებულად შრომატევადია. ასეთი გეგმა შესაძლოა გულისხმობდეს მთელი პერსონალის შეკრებებს მათთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით, შესაძლებლობების განვითარებისა და დასვენების საშუალებებს, თანამშრომლებისათვის ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, დაჯილდოების სისტემასა და გუნდის შეკავშირების საჭირო სხვა შესაძლებლობებს. ამას თანამშრომლების მოტივაციაზე დადებითი ეფექტი ექნება და გარდა ამისა, გააუმჯობესებს პერსონალის გუნდურ მუშაობას ცენტრებში.

17. ყველა ცენტრში უნდა გაძლიერდეს გუნდური მუშაობის პრაქტიკა და უნდა გასცილდეს მხლოდ ცენტრის ყოველდღიური საკითხების განხილვას. გუნდური მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს ბენეფიციარი ბავშვების ინდივიდუალური გეგმების განხილვასა და თანამშრომლების უნარების განვითარებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გეგმებზე.

18. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ცენტრებსა და მათი ადგილმდებარეობის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებს (რესურს ცენტრები, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ორგანოები და სხვა შესაბამისი სტრუქტურები) შორის თანამშრომლობის გაძლიერება. ეს უნდა გულისხმობდეს ცენტრებსა და სახელმწიფო სამსახურებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას, ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას და ცენტრებსა და სახელმწიფო სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ბენეფიციარი ბავშვების ოჯახებში გაერთიანებისა და მათთვის ოჯახური მზრუნველობის ალტერნატიული ფორმებს მოძებნის საკითხებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სოციალური მუშაკების ჩართვამ ბავშვების მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში უკვე გამოიღო შედეგი და გამოიწვია სერვისების უკეთესი ორიენტირება სამიზნე ჯგუფებზე. შემდეგ საფეხურზე შესაძლებელია, სახელმწიფო სოციალური მუშაკების მოწვევა თითოეულ ცენტრში პერსონალის საერთო შეხვედრაზე, სადაც ისინი თანამშრომლების კითხვებსა და შენიშვნებს უპასუხებენ.

ცენტრებს საკუთარი როლისა და სამუშაოს მიმართულების განსაზღვრისათვის ძალიან დაეხმარებოდა, თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათ მიაწვდიდა ანგარიშგების გეგმას, ძირითადი ინდიკატორების ჩათვლით.

19. ცენტრებისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამჟამინდელი მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება. მენეჯმენტის ოპტიმიზაციის ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს მენეჯმენტის მოვალეობების დაყოფა ორ ნაწილად ისე, რომ ცენტრს ყავდეს ოპერაციების/ლოჯისტიკის მენეჯერი და მომსახურების შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი მომსახურების (სერვისის) მენეჯერი. გაურკვეველია, შესაძლებელი იქნება თუ არა მართვის სისტემის ამგვარად შეცვლა გლდანში მისი იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე, მაგრამ საჭიროა ამ საკითხის გათვალისწინება.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

1.10. ოთხივე ცენტრის შემთხვევაში უნდა მოხდეს შენობის საკუთრების საკითხის გარკვევა. „მომავლის სახლისა“ და „ლამპიონის“ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი საინჟინრო შეფასება და ჩასატარებელი რემონტის/რესტავრაციის ხარჯების გამოანგარიშება. თუ ასეთი შეფასება გამოავლენს, რომ შენობა შეკეთებას არ ექვემდებარება ან ეს ძალიან ძვირია, მაშინ იგივე უბანში უნდა მოიძებნოს რაიმე სხვა შენობა მომსახურების განსათავსებლად. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებამ უჩვენა, რომ შეკეთება შესაძლებელია, ეს უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად ცენტრში მყოფი ბავშვების უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.

1.11. უნდა მოხდეს ოთხივე ცენტრის ბიუჯეტის გადასინჯვა, რათა უკეთ ასახოს მომსახურების რეალური ღირებულება ბოლოდროინდელი წლიური და ყოველთვიური დანახარჯების ანალიზიდან გამომდინარე. ბიუჯეტის სტრუქტურა უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მომსახურების თვიურ ღირებულებას ბავშვის ან სერვისის მიხედვით და უნდა ასახავდეს ცენტრში ბავშვებისათვის მიწოდებული მომსახურების პრიორიტეტებს. მაგალითად, თუ გლდანის ცენტრში ბავშვების იდენტიფიცირება და მათთვის იურიდიული დოკუმენტაციის აღებაში მხარდაჭერა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად, მაშინ ბიუჯეტში უნდა იყოს ამ ფაქტის ამსახველი შესაბამისი პუნქტი.

ასევე საჭიროა ყველა ცენტრში გამჭვირვალობის ამაღლება, განსაკუთრებით, მომსახურებებისა და შესყიდვის კუთხით. სასურველია, რომ ფინანსური პროცედურების წარმოებაში შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ ცენტრებს თვითონ შეეძლოთ შესყიდვების წარმოება და ამას მათთვის სამინისტრო აღარ აკეთებდეს.

2. რეკომენდაციები გლდანის სოციალური რეაბილიტაციის ცენტრისათვის

2.1. გლდანი ასრულებს კრიზისული ცენტრის როლს საგანგებო სიტუაციებში მყოფი ბავშვებისათვის. ასეთი მომსახურება ძალიან საჭიროა და რეკომენდებულია, რომ ცენტრმა ამ მიმართულებით განაგრძოს მუშაობა. გარკვეული წინასწარი სამუშაოების შედეგად, ცენტრმა შეიძლება დაიწყოს ფუნქციონირება, როგორც ხარისხიანმა კრიზისული/გადაუღებელი მომსახურების ცენტრმა ბავშვებისათვის.

კრიზისულმა ცენტრმა შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვებისათვის მოკლევადიანი შედეგების მიღწევას, მაგრამ მხოლოდ ეს ცენტრები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს შედეგები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდეს თუ მხარდაჭერისა და შემდგომი მეთვალყურეობის სათანადო სტრუქტურები არ არსებობს.

თუ გადაწყდა, რომ გლდანის დაწესებულებას ბაშეთა კრიზისული ცენტრის როლი დაეკისროს, მაშინ ცენტრზე პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო სამსახურები უნდა გაძლიერდეს შტატების (სოციალური მუშაკებისა და იურისტების) რაოდენობისა და პროფესიული უნარების თვალსაზრისითაც. ცენტრში მყოფ ბავშვების შემთხვევებისათვის ხშირად საჭირო იქნება სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ სად მოხდება მომავალში მათი განთავსება და ხშირად ასეთი გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს სპეციალიზირებულსა და დეტალურ ცოდნას ბავშვზე ძალადობის, უგულვებელყოფისა და ექსპლუატაციის საკითხების შესახებ. გარდა ამისა,

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

უნდა შეიქმნას გლდანის ბენეფიციარებისათვის მიმღები მომსახურებების მთელი ქსელი (გადაუდებელი გაშვილობილების ჩათვლით).

- 2.2. ცენტრს უნდა ჰქონდეს ბენეფიციარების მიღების მკაცრი კრიტერიუმები. თუ გადაწყდა, რომ ცენტრი სხვადასხვა სერვისით მოემსახურება ბენეფიციართა განსხვავებულ ჯგუფებს, ცენტრს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქციები მომსახურებაში ჩართული ბავშვების უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

შენობა საკმარისად დიდია, რათა შესაძლებელი იყოს ორი ტიპის მომსახურების მიწოდება (მაგალითად, კრიზისული ცენტრი ბავშვებისათვის და გადაუდებელი ცენტრი ოჯახებისათვის.), მაგრამ ეს საჭიროს გახდოდა შენობის გადანაწილების მთლიანად გადახედვას, მენეჯმენტისა და პერსონალის გადასინჯვასა და შესაბამისი პერსონალის ხანგრძლივ და ძალიან ინტენსიურ გადამზადებას.

ჩვენი რეკომენდაციაა, ცენტრმა ხანმოკლე და საშუალო ხანგრძლივობის გეგმებში გააგრძელოს კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვებისათვის გადაუდებელი მზრუნველობის აღმოჩენა, თუმცა მკაფიოდ განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ანუ არ გაუწიოს მომსახურება 18 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს და მოხდეს ასაკობრივი ჯგუფების განცალკევება (6-12 და 13-18).

- 2.3. უნდა გადაწყდეს, თუ რა იქნება ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა შენობის ფიზიკური შესაძლებლობებისა და ბავშვებისათვის ოჯახურთან მაქსიმალურად მიახლოებული გარემოს შექმნის აუცილებლობის გათვალისწინებით. სასურველია, რომ ერთ საძინებელ ოთახში არ რჩებოდეს ოთხ ბავშვზე მეტი და უზრუნველყოფილი უდა იყოს ასაკობრივი ჯგუფების განცალკევებაც.

გარკვეული სარემონტო და გადაკეთების სამუშაოების შედეგად შესაძლებელი იქნება რამდენიმე ბინის ტიპის ერთეულის შექმნა, რომელთაგან თითოეული შედგება ოთხი საძინებელი ოთახისაგან, მომვლელის ოთახისაგან, აბაზანისა და ტუალეტისაგან სარეცხი მანქანით, საცხოვრებელი/სასადილო ოთახისა და მცირე სამზარეულოსაგან. ბავშვების თითოეული ჯგუფს, შესაძლოა, ჰყავდეს მიმაგრებული აღმზრდელი. მომსახურების მიწოდების ფარგლებში ბავშვებს უნდა ასწავლიდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებს და ამაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ბავშვების თითოეულ ჯგუფზე მიმაგრებული აღმზრდელი.

- 2.4. როგორც კრიზისულმა ცენტრმა, გლდანმა უნდა მიიღოს გადაუდებელ სიტუაციაში მყოფი ბავშვი, მიუხედავად ცენტრში მოსვლის დროის ან მომართვის წყაროსი. პირველადი შეფასების პროცესი მაღალ პროფესიონალურ დონეზე უნდა ავიდეს და უნდა გულისხმობდეს შემდეგს: დაუყოვნებელ სამედიცინო შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ჩარევას, პირველად ფსიქოლოგიურ შეფასებასა და გადაუდებელ კონსულტაციას და ბავშვის ოჯახური სიტუაციის კომპლექსურ გამოკვლევას.

პირველადი შეფასების პერიოდის განმავლობაში ბავშვი უნდა რჩებოდეს განცალკევებულ მიმღებ პუნქტში. ეს პირველადი პროცესი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და გადაწყვეტილება იმის შესახებ, დარჩება თუ არა ბავშვი ცენტრში უნდა ეფუძნებოდეს ამ პროცესის შედეგებს. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვისათვის მიზნით მაქსიმალური ობიექტურობის

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავის ახლანდელი მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

უზრუნველსაყოფად ასეთი გადაწყვეტილება, შესაძლებელია, ერთობლივად
მიიღოს ადგილობრივმა რესურს ცენტრმა და ცენტრის პერსონალმა.

2.5. ბავშვების მიღებაზე პასუხისმგებელი თამამშრომლებისათვის აუცილებელია
რეგულარული ტრენინგები ბავშვზე ძალადობის, ბავშვის უგელებელყოფისა
და ექსპლუატაციის საკითხების და კრიზისული ინტერვენციის ტექნიკებისა
და მეთოდოლოგიების შესახებ. უნდა არსებობდეს გადამისამართების
(მიმართულების წარმოების) სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისეთი
გადაუდებელი სიტუაცია, რომელიც აღემატება ცენტრის შესაძლებლობებს,
რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს სხვაგან.

2.6. პირველადი შეფასებისა და ბავშვის ცენტრში დატოვების შესახებ
გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თითოეული ბავშვისათვის უნდა შედგეს
ინდივიდუალური მომსახურების გეგმა. ცენტრმა უნდა იმუშაოს შემთხვევის
ინდივიდუალური მართვის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტით ბავშვის
მოკლე და საშუალოვადიან საჭიროებებზე.

გლდანი, როგორც კრიზისული ცენტრი, არ უნდა აწარმოებდეს
რეზიდენტული ტიპის მომსახურებას და თითოეულ ბავშვთან მიმართებაში
მიზანი უნდა იყოს ის, რომ ბავშვი ცენტრში დარჩეს იმ მინიმალური დროის
განმავლობაში, რაც საჭიროა გრძელვადიანი გამოსავალის მოსაძებნად.
საჭირო იქნება, რომ განისაზღვროს ეს მაქსიმალური დრო.

2.7. ბავშვების საკუთარ ოჯახებში რეინტეგრაცია არასოდეს უნდა იყოს
დაუგეგმავი და მოუმზადებელი პროცესი, თუ გავითვალისწინებთ მათი
ოჯახების პრობლემების სერიოზულობას. რეინტეგრაცია უნდა
განიხილებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ პირველადი შეფასების საფუძველზე
დადგინდა, რომ ეს არ შეეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს და
მისი მიღება სახელმწიფო სამსახურთან ერთად უნდა ხდებოდეს.

აუცილებელია ოჯახის შეფასება და მონიტორინგი მას შემდეგ, რაც ბავშვი
ოჯახში დაბრუნდება. ცენტრის საშუალო ძალიან წაადგება, თუ
თანამშრომლები გაივლიან ტრენინგს ბავშვის დაცვის საშუალებების
შესახებ საქართველოს ოჯახური ძალადობის შესახებ კანონისა და სხვა
შესაბამისი იურიდიულ დოკუმენტების მიხედვით.

2.8. გლდანის ცენტრის ყველაზე ხშირი პრობლემებიდან გამომდინარე (ბავშვზე
ძალადობა, ოჯახური ძალადობა, ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება
ბავშვების მიერ და ბავშვების იდენტიფიკაცია), რეკომენდებულია სერვისში
სპეციალობების განაწილება.

ცენტრის მიმღებ პუნქტს უნდა ჰქონდეს რესურსები იმისათვის, რომ
აწარმოოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება 24 საათის განმავლობაში –
ან საკუთარი კარგად მომზადებული ექიმისა და ექთნის საშუალებით, ან სხვა
სპეციალიზებულ კლინიკებში მიმართვის გზით.

ცენტრში ასევე უნდა იყოს გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარება
სერვისში ახლად შემოსული ბავშვებისათვის, რომლებიც ხშირად ძალადობის,
უგელებელყოფისა და ექსპლუატაციის მსხვერპლნი არიან. ამ მომსახურების
მიმწოდებელი ფსიქოლოგისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა შესაბამის
საკითხებზე მაღალი დონის ტრენინგის გავლა.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

სოციალური მუშაკი, რომელიც ბავშვის იდენტიფიცირებასა და ოჯახური
სიტუაციის სწრაფ შეფასებაზე მუშაობს, ასევე საჭიროებს პროფესიული
დონის ამადლებას.

2.9. თვით ცენტრში რეკომენდებულია, მოხდეს მომსახურების სტრუქტურის მეტი
სპეციალიზაცია. დაგეგმილი და სტრუქტურირებული აქტივობები
ინდივიდუალურად უნდა იყოს მორგებული ბავშვის უნარებს. თანამშრომლების
სამუშაო განრიგი და მოვალეობები ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ
ბავშვებისათვის სისტემატური დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფდეს.

მაგალითად, ერთობლივად მომუშავე რამდენიმე სამსახური უზრუნველყოფდა
ბავშვებისათვის კომპლექსური დახმარების გაწევას:

- ფსიქოსოციალური სამსახური (სამსახურის ლიდერთ), რომელიც
შედგება ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და იურისტისაგან,
პასუხისმგებელი იქნება ბავშვის მოკლე და საშუალო ხანგრძლივობის
ფსიქოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ბავშვის
იდენტიფიკაციაზე და მისთვის იურიდიული დოკუმენტების მოპოვებაზე,
ოჯახთან კონტაქტზე, სახელმწიფო სამსახურებთან ურთიერთობაზე
ბავშვის სხვა სერვისში გრძელვადიანი განთავსების მიმართულებით და
ბავშვის (და როცა შესაძლებელია, მისი ოჯახის) თვითრეპრეზენტაციის
ხელშეწყობაზე.
- საგანმანათლებლო სამსახური (სამსახურის ლიდერთ) შეიძლება
შედგებოდეს მასწავლებლებისაგან, რომლებიც მომზადებულნი არიან
დაჩქარებული სწავლების მეთოდებში და აქვთ შესაბამისი სასწავლო
გეგმები. საგანმანათლებლო სამსახური ასევე პასუხისმგებელი იქნება
ბავშვების ჩვეულებრივ სკოლებში რაც შეიძლება სწრაფად ჩართვაზე
და სკოლის მასწავლებლებთან მუშაობაზე.
- ოკუპაციური თერაპიის სამსახური (სამსახურის ხელმძღვანელით)
პასუხისმგებელი იქნება ბავშვებისათვის სტრუქტურირებულ და
გაწერილ აქტივობებზე, როგორცაა ხელოვნება, ხელგარჯილობა და
სპორტი. კარგი იქნებოდა, თუ ცენტრში მოეწყობოდა სპორტული
დარბაზი.
- თუ ბავშვების თავისებურებები და რაოდენობა ამას მოითხოვს, უნდა
შეიქმნას პროფესიული კონსულტაციის სამსახურიც (რომელსაც ასევე
ეყოლება ხელმძღვანელი), რომელიც პროფესიული განათლებისა და
დასაქმების საშუალებებთან კავშირებს უზრუნველყოფს და აწარმოებს
უფროსი ასაკის ბავშვებისათვის სამსახურისათვის მომზადებისა და
შემდგომი მონიტორინგის სისტემას. როცა შესაძლებელი იქნება, ასეთი
სერვისით მშობლებმაც უნდა ისარგებლონ.

2.10. ამჟამად ცენტრს არ აქვს რესურსები იმისათვის, რომ აღმოფხვრას ბავშვების
ძირეული პრობლემები ოჯახში. ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახლო
მომავალში ცენტრმა შესძლოს ოჯახების რთული და კომპლექსური
კრიტიკული პრობლემების: ოჯახური ძალადობის, ბავშვზე ძალადობისა და
მისი ექსპლუატაციის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის, წარმატებით
მოგვარება ისე, რომ ასეთი ოჯახებიდან წამოსულ ბავშვებს შეეძლოთ
ოჯახებში უსაფრთხოდ დაბრუნება. ასეთი დახმარება ოჯახებისათვის
თავისთავად განვითარებულ სერვისს წარმოადგენს.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თელავ ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

თუ ცენტრმა მაინც გადაწყვიტა ამ მიმართულებით მუშაობა, მან უნდა დაიქირაოს სპეციალისტების სხვა ჯგუფი. სხვა შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ მოხდეს კავშირების დამყარება და გაძლიერება იმ სახელმწიფო სამსახურებთან და არასამთავრობო პროგრამებთან, რომლებიც მუშაობენ კრიზისულ სიტუაციებში მყოფ ოჯახებთან.

2.11. ცენტრში არსებობს საჭიროება იმისა, რომ მოხდეს ბავშვის უსაფრთხოებისა და დაცვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება. საჭიროა, ჩატარდეს ტრენინგი ყველა ბავშვისა და თანამშრომლისათვის. ამ ტრენინგის ფარგლებში, სამედიცინო პერსონალმა და აღმზრდელებმა მაინც ინდა გაიარონ სრული თანამედროვე ტრენინგი პირველად დახმარებაში. უნდა არსებობდეს ანგარიშგების მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმები, მათ შორის ცენტრის გარეთ ანგარიშგების შესაძლებლობების შესახებ იმ შემთხვევებისათვის, როცა ბავშვის უსაფრთხოებასა და დაცვას საფრთხე ემუქრება ცენტრში. უნდა გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს გარე მონიტორინგის სისტემა.

2.12. მიუხედავად ცენტრის რესტრუქტურისაციის სამომავლო გეგმებისა, არსებობს დაუყოვნებლივი საჭიროებები ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. ეს გულისხმობს: ახალი ავეჯის შექმნას რათა იყოს საშუალება ბავშვების ნაკლებად მჭიდროდ იყვნენ განთავსებული, ელექტროგაყვანილობის შეკეთებას - განსაკუთრებით შენობის იმ ნაწილებში, სადაც ბავშვებს სძინავთ, ყველა სანიტარული მოწყობილობის შეკეთებას (აბაზანებსა და ტუალეტებში). ასევე, რეკომენდებულია, რომ მოხდეს შენობის მფლობელობის საკითხის გარკვევა.

3. რეკომენდაციები „მომავლის სახლის“, „ლამპიონისა“ და „სათნოებისათვის“

3.1. ცენტრების მომავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, უნდა ჩატარდეს ბავშვების ოჯახური სიტუაციის საფუძვლიანი შესწავლა, რათა გამოიყოს ის ბენეფიციარები, რომელთა ოჯახებისათვის ცენტრში ბავშვის განთავსების მიზეზი (მაგალითად, სიღარიბე) შეიძლება წარმატებით გადაიჭრას სახელმწიფო დახმარების, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პროგრამებში ჩართვის გზით.

უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ამ ოჯახების რეინტეგრაციის მიმართულებით მუშაობის გეგმა. არც ერთი ბავშვი არ უნდა დაბრუნდეს ოჯახში სანამ ოჯახის ინტერვენციის შემდგომი შეფასება არ მოგვცემს გარანტიას იმისა, რომ დაბრუნება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს შეესაბამება. იმ შემთხვევებში, სადაც ოჯახის რეინტეგრაცია შეუძლებელია, განსაკუთრებით „ლამპიონში“ და „სათნოებაში“, სადაც ბევრი მცირეწლოვანი ბავშვია, უნდა გაძლიერდეს კავშირები გაშვილობილების შესაძლებლობთან.

სასურველია, რომ გარეშე ექსპერტების ჯგუფმა ან ჯგუფებმა განხორციელონ ეს საწყისი სამუშაოები და გააერთიანონ ის ცენტრების პრაქტიკული უნარების განვითარებასთან. ასეთი პროფესიული მომზადების შედეგად, სამივე ცენტრს უნდა ჰქონდეს სოციალური სამუშაოს ძლიერი რესურსები ოჯახებთან სამუშაოდ და ბავშვების რეინტეგრაციის ხელშესაწყობად, რათა რეზიდენტული ტიპის მზრუნველობა მართლაც უკანასკნელი გამოსავალი იყოს და ისიც, მხოლოდ მინიმალური ხანგრძლივობით.

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

3.2. „მომავლის სახლისა“ და „ლამპიონისათვის“ ცენტრების მომავალთან დაკავშირებული რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოხდეს შენობების მდგომარეობის შეფასება მათი გარემონტებისა და გადაკეთების შესაძლებლობების დადგენის მიზნით. „ლამპიონში“ სასურველია გამოიყენებოდეს შენობის მხოლოდ წინა ნაწილი და სრულიად დაინგრეს შენობის უკანა მხარე სტრუქტურული დაზიანების გამო. გარდა ამისა, ორივე ცენტრის შემთხვევაში გასარკვევია შენობების მფლობელობის საკითხი.

3.3. სამივე ცენტრისათვის ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ჩამოაყალიბებენ კარგად განსაზღვრულ კრიტერიუმებს ბავშვების მიღებისა და, განსაკუთრებით, ცენტრიდან გაწერისათვის. „მომავლის სახლი“ ერთსა და იმავე შენობაში არ უნდა აწარმოებდეს რეზიდენტული ტიპის მზრუნველობას ბავშვებისათვის და თავშესაფარს ახალგაზრდა უსახლკარო მოზრდილების/ოჯახებისათვის.

3.4. თუ ოჯახის შეფასება დაადასტურებს, რომ ოჯახური პრობლემების მოგვარების შემდეგ რამდენიმე ბავშვი შეძლებს ოჯახში დაბრუნებას, შესაძლებელი გახდება, რომ თოთოეული ცენტრი გადააკეთდეს მცირე ოჯახური ტიპის სახლად მცირე რაოდენობის ბენეფიციარებისათვის და დღის ცენტრად.

„სათნობაში“, სადაც ამ მხრივ ფართობის პრობლემა შეიძლება შეიქმნას, პრიორიტეტული რეკომენდებული სერვისი იქნება მცირე, საოჯახო ტიპის სახლი და არა რეზიდენტული მზრუნველობის სრულიად დახურვა და მისი დღის ცენტრად გადაკეთება.

გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, შესაძლებლად გვეჩვენება „სათნობისა“ და „ლამპიონის“ მართვის ფუნქციების გაერთიანება – ანუ, შესაძლებელია, რომ ორივე ცენტრს ჰყავდეს საერთო ოპერაციების/ლოჯისტიკის მენეჯერი და საერთო მომსახურების (სერვისის) მენეჯერი.

3.5. თუ გადაწყდა, რომ ცენტრები ორივე სერვისს აწარმოებენ, სასურველია, მოხდეს თანამშრომლების შემადგენლობის გადასინჯვა, რათა დაკმაყოფილდეს მომსახურების მოთხოვნები. სავარაუდოდ, ეს ნიშნავს თანამშრომლების ამჟამინდელი რიცხოვნობის შემცირებას, სამუშაო აღწერილობებისა და სამუშაო გრაფიკის გადასინჯვას და დარჩენილი პერსონალისათვის ხელფასის მომატებას.

თოთოეულ ცენტრში ზოგიერთი თანამშრომელი (მაგალითად, ფსიქოლოგი) აიღებს ვალდებულებას, მოემსახუროს როგორც რეზიდენტული ტიპის მომსახურებას, ასევე დღის ცენტრს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მომსახურების გამრავალფეროვნება (მცირე ოჯახური ტიპის სახლი და დღის ცენტრი), საჭირო გახდება კადრების შესაბამისი გადამზადება და/ან ახალი თანამშრომლების დაქირავება ამჟამინდელი პერსონალის სანაცვლოდ. პერსონალთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება, კადრების პროფესიული მომზადება და რესტრუქტურისაციის სამუშაოები უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ მოხდება მომსახურების დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება).

3.6. გრძელვადიანი დაგეგმვისას (3-5 წლით) შეძლება ვიფიქროთ ცენტრებში რეზიდენტული ტიპის მზრუნველობის სრულიად გაუქმებაზე. თუმცა, ახლო

თბილისის რეზიდენტული ტიპის ოთხი „თავშესაფრის“ სწრაფი შეფასება
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანგარიში მომზადებულია კატარუინა ვარგანისა და თეონა ასლანიშვილის მიერ, ფედერაცია
„გადავარჩინოთ ბავშვები“

მომავალში მომსახურება მთლიანად და დაუყოვნებლივ არ უნდა გაუქმდეს და არ უნდა გადაკეთდეს მხოლოდ დღის ცენტრად (ეს გამოიწვევდა სხვა რეზიდენტული ტიპის დაწესებულებაში გადაგვეყვანა ის ბავშვები, რომელთათვისაც სხვა გამოსავალი ვერ მოინახა). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ლამპიონისა“ და „სათნობისათვის“, სადაც ბავშვებს შორის ემოციური კავშირები ძალიან ძლიერი ჩანს. გარდა ამისა, ბევრი ბავშვისათვის სხვა უბანში გადაყვანა ნიშნავს საკუთარ ოჯახებთან ხშირი კონტაქტის შეწყვეტას, რადგან ოჯახებს ხშირად არ აქვთ საშუალება, სხვა (მოშორებულ) ადგილას ხშირად მიაკითხონ ბავშვებს. იმ შემთხვევაში, თუ შენობების შეფასებისას მათი მდგომარეობა განახლებისა და შეკეთების ცუდ პროგნოზს იძლევა, რეკომენდებულია მოიძებნოს სხვა შენობა იმავე უბანში, სადაც განთავსდება მომსახურება.

- 3.7. თუ „მომავლის სახლის“ შენობა სტრუქტურულად დაზიანებული არ არის და ტექნიკურად და ფინანსურად შესაძლებელია მისი შეკეთება, ყველაზე სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს: ელექტროგაყვანილობა, აბაზანები და ტუალეტები და სამედიცინო პერსონალისათვის განკუთვნილი ოთახი. ბავშვების საწოლი ოთახები არ უნდა იყოს განლაგებული ისეთ ოთახებში, რომელთა ფანჯარაც გარეთ არ გადის და აღმზრდელებს ღამით არ უნდა ეძინოთ, განსაკუთრებით ბავშვების ოთახებში. გარდა ამისა, საჭიროა ბავშვებისათვის ახალი ავეჯის შეძენა.
- 3.8. სამომავლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, სასურველია, რომ „მომავლის სახლს“ ჰქონდეს პროფესიული კონსულტაციის სამსახური, როგორც უფროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი მომსახურების განუყოფელი ნაწილი. ასეთი სამსახური პასუხისმგებელი იქნება ბავშვების სხვადასხვა პროფესიული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებაზე, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების მოძიებაზე, ბავშვების დასაქმებისა და ტრენინგისათვის მომზადებაზე და შემდგომ მონიტორინგზე.